

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამა: ქართველური ენათმეცნიერება

მუავანაძე მარინა

ნაწილაკი ძველ ქართულ ენაში

(ორიგინალური ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის მიხედვით)

ნაშრომი შესრულებულია ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ნაშრომის ხელმძღვანელი: ლელა ციხელაშვილი,
თსუ ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019

ანოტაცია

ნაწილაკთა შესწავლა საკმაოდ კომპლექსური საკითხია, რადგან მეტყველების ამ ნაწილს მჭიდრო კავშირი აქვს სხვადასხვა კატეგორიასთან: კილოსთან, მოდალობასთან, ევიდენციულობასთან... არსებობს ცალკეული გამოკვლევები ამ თემებზე, გარკვეული ჯგუფის ნაწილაკებზე, მაგრამ ჭირს იმ ტიპის ნაშრომის დაძებნა, რომელშიც საკითხი კომპლექსურად იქნებოდა შესწავლილი თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით. ჩვენი სამაგისტრო ნაშრომი მოკრძალებული ცდაა ნაწილაკთა ფორმოზრივ-ფუნქციური ანალიზისა და მათი ზოგადი, ერთგვარი მიმოხილვითი, კომპლექსური შესწავლისა ძველი ქართული ენის V-X საუკუნეების ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულ ძეგლებში. ამ ეტაპზე საკვლევად არ აგვიღია ნათარგმნი ძეგლები, რადგან ქართულ თარგმანებში ნაწილაკთა ბერძნულ-სომხურ შესატყვისებზე დაკვირვება, საკითხის დიაქრონიულ ჭრილში განხილვა და ნაწილაკების როლის გარკვევა სხვადასხვა კატეგორიის ფორმირება-გრამატიკალიზებაში სამომავლო პერსპექტივად გვესახება. ჩვენი აზრით, ნაშრომის **მეცნიერულ სიახლეს** სწორედ ყველა ჯგუფის ნაწილაკის ერთ ნაშრომში თავმოყრა- სისტემატიზაცია და ამ კუთხით დაკვირვების შედეგები წარმოადგენს.

კვლევისას გამოვიყენეთ აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი მეთოდები. კვლევის ძირითადი შედეგები ასახულია დასკვნაში. ნაშრომის **პრაქტიკულ ღირებულებად** გვესახება დანართის სახით წარმოდგენილი ანბანურ რიგზე დალაგებულ ნაწილაკთა ცხრილი, რომელიც, ვფიქრობთ, დაეხმარება ძველი ქართული ენის ტექსტებზე მომუშავე დამწყებ სპეციალისტებსა თუ სტუდენტებს.

Annotation

Studying particles is quite a complex issue because this part of speech has a close connection to different categories like mood, modality, evidentiality, etc. There are some studies concerning these issues, particles of a particular group but it is difficult to find such works in which the issue is studied in a complex manner taking the modern challenges into consideration. The present master's thesis is a modest attempt to analyze particles structurally and functionally, and to study and discuss them in a complex manner in the old Georgian original hagiographic monuments of V-X centuries.

At this stage, we have not studied translated monuments because we consider observing Greek-Armenian equivalents of particles in Georgian translations, discussing the issue diachronically and defining the role of particles in the formation-grammaticalization of different categories as prospects. We think that gathering and systemizing particles of all the groups in one work and the results of observing in this perspective are the scientific novelty of the research.

We used descriptive and historical-comparative methods when studying the issue. The main findings are included in the conclusion. We think that the list of particles in alphabetical order presented as an annex is a practical value of the work. It will assist students and specialists who are beginners in working on the texts of the old Georgian language.

სარჩევი

შესავალი	6
კითხვითი ნაწილაკები ძველ ქართულში	9
1.1. კითხვითი ნაწილაკების გამოყოფისათვის ძველ ქართულში	9
1.2. -ა კითხვითი ნაწილაკი	11
1.3. -მე კითხვითი ნაწილაკი	15
1.4. <i>ნუ, ნუკუე, ანუ</i> ნაწილაკები	19
1.5. <i>განა, ნუთუ, ხომ</i> კითხვითი ნაწილაკები	23
მიმართებითი ნაწილაკები	27
2.1. მიმართებითი ნაწილაკების ზოგადი დახასიათებისთვის	27
2.2. <i>-ესე, -ეგე, -იგი</i> ნაცვალსახელები მიმართებითი	28
ნაწილაკის ფუნქციით	28
2.3. -ცა მიმართებითი ნაწილაკი	30
2.4. -რად ნაცვალსახელი ნაწილაკის ფუნქციით	35
დადასტურებითი და უარყოფითი ნაწილაკები	36
3.1. უარყოფითი ნაწილაკები	36
3.1.1. <i>არა</i> უარყოფითი ნაწილაკი	36
3.1.2. <i>ვერ</i> უარყოფითი ნაწილაკი	40
3.1.3. <i>ნუ</i> ნაწილაკი	42
3.2. დადასტურებითი ნაწილაკები	45
შესაძლებლობა-დაეჭვების გამომხატველი ნაწილაკები	47
4.1. <i>ხოლო, ხოლოთუ // თუ ხოლო, ხოლოთუ ვითარ, გინც ხოლოთუ, ჰელამეთუ, ჰეთუმცა...</i> შესაძლებლობა-დაეჭვების ნაწილაკები	47
4.2. -ძი ნაწილაკი	50
სხვათა სიტყვის ნაწილაკები	54
სხვა ნაწილაკები	58
6.1.1. -მე განუსაზღვრელობითი ნაწილაკის ფუნქციით	58
6.1.2. -მე ნაწილაკი კავშირების შემადგენლობაში	60
6.2. -მცა ნაწილაკი	63

6.3. -ვე ნაწილაკი.....	70
6.4. -რე ნაწილაკი.....	72
6.5. -ლა ნაწილაკი.....	74
6.6. უტე ნაწილაკი.....	75
6.7. რეცა ნაწილაკი.....	75
6.8. კნინლა, -აკ ნაწილაკები.....	77
6.9. მეზრ ნაწილაკი.....	78
6.10. სამე ძველ ქართულში.....	78
6. 11. მრავალგზისობის გამომხატველი.....	80
ხოლმე და -ყე /-კე ნაწილაკები.....	80
დასკვნა.....	84
გამოყენებული ლიტერატურა.....	92
შემოკლებათა განმარტებები.....	98
დანართები.....	99

შესავალი

ქართული ენა ხასიათდება ნაწილაკთა მრავალფეროვნებით როგორც ფუნქციური, ასევე ფორმოზრივი თვალსაზრისით. მათი წარმოშობის, ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი მუდმივად მიმდინარეობს ენაში. დროთა განმავლობაში ფუნქციური ცვლილებები აისახა ფორმოზრივაც. აღნიშნული პროცესები განსაკუთრებით კარგად ჩანს ძველი ქართული ენის დონეზე, როდესაც ხდება ნაწილაკთა **ფორმირება** და **ფუნქციური დიფერენციაცია**.

როგორც ცნობილია, ნაწილაკი **დამოუკიდებელი მნიშვნელობის უქონელი** ბგერა, ბგერათა კომპლექსი ან დამოუკიდებელი სიტყვაა, რომელიც დაერთვის წინადადების რომელიმე წევრს ან მთელ წინადადებას და უცვლის მას მნიშვნელობას. საკუთრივ ნაწილაკი **მოკლებულია თავისთავადობას** და ლექსიკური ღირებულება მხოლოდ სხვა სიტყვებთან ურთიერთობისას უვლინდება.

ფორმოზრივი თვალსაზრისით ნაწილაკები იყოფა ორ ჯგუფად: **შერწყმული** და **ცალკე მდგომი** ნაწილაკები. შერწყმული ნაწილაკები პირდაპირ ერთვის სიტყვებს, ესენია: -ა, -მე, -მეა, -ლა, -ვე, -რე, -ცა, -მცა, -ძი, -ო. ასევე შერწყმულად მიიჩნევა სხვათა სიტყვის ნაწილაკი -**თქუა**, რომელიც დეფისით უკავშირდება სიტყვებს. მიმართებითი ნაწილაკის ფუნქციით ძველ ქართულში გვხვდება კითხვით სიტყვასთან შერწყმული, თანამედროვე ორთოგრაფიული სისტემის მიხედვით, დეფისით გამოყოფილი, ჩვენებითი ნაცვალსახელები: -**ესე**, -**ეგე**, -**იგი** და ნაცვალსახელი -**რაჲ**.

ცალკე მდგომი ნაწილაკები სიტყვისგან დამოუკიდებლად არსებობენ და უცვლიან მნიშვნელობას მთელ წინადადებას, ესენია: **არა**, **ვერ**, **ნუ**, **ჰე**, **ნუთუ**, **ხოლო**, **ხოლოთუ**, **თუხოლო**, **ხოლოთუ ვითარ**, **გინც ხოლოთუ**, **ჰელამე**, **ჰეთუმცა**, **უტე**, **მებრ**, **სამე**, **რეცა**, **კნინლა**.

დროთა განმავლობაში რამდენიმე ნაწილაკი ფუნქციის მიხედვით დაუახლოვდა ერთმანეთს და გარკვეული ჯგუფები შექმნა. სემანტიკის მიხედვით, ძველ ქართულში, ძირითადად, გამოიყოფა შემდეგი სახის ნაწილაკთა ჯგუფები:

კითხვითი: -ა, -მე, -მეა, ნუ, ნუუკუე, ნუთუ (ანუ).

დადასტურებითი: ჰე.

უარყოფითი: არა, ვერ, ნუ.

მიმართებითი: -ცა, -იგი, -ესე, -ეგე, -რაჲ.

განუსაზღვრელობითი: -მე (-ვე).

სხვათა სიტყვის: -ო, -თქუა.

შესაძლებლობა-დაეჭვების: ხოლო, ხოლოთუ, თუხოლო, ხოლოთუ ვითარ, გინც ხოლოთუ, ჰელამე/ჰელამეთუ, ჰეთუმცა, -ძი.

სხვა ნაწილაკები: -მცა, -ვე, -რე, -და, -აკ, ხოლო, უტე, რეცა, სამე, მეზრ, კინდა.

თითოეული ნაწილაკი განსაზღვრული სემანტიკური და სტილისტური ნიუანსებით განსხვავდება ერთმანეთისგან. როგორც აღვნიშნეთ, რიგ შემთხვევებში ნაწილაკები იცვლიან ფუნქციებს, კერძოდ, შესაძლოა ერთი ფუნქცია ჩაენაცვლოს მეორეს. ამასთანავე, დროთა განმავლობაში შესაძლოა რამდენიმე ფუნქცია განუვითარდეს ერთ კონკრეტულ ფორმას, თუმცა ფუნქციური მრავალფეროვნების დროს ამოსავალი უნდა იყოს მხოლოდ ერთი ძირითადი ფუნქცია, დანარჩენი - მეორეული.

როგორც აღმოჩნდა, ნაწილაკთა კლასიფიკაცია ენათმეცნიერთა წრისათვის არ არის ერთგვაროვანი და ცალსახა. მათი გამოყოფა ფუნქციური თვალსაზრისით იმდენადვე იქნება მოცულობითი და მრავალფეროვანი, რამდენადაც ამის შესაძლებლობას ქართული ენის შინაგანი პოტენციალი და მოდალობათა მრავალფეროვნება განაპირობებს. ნაწილაკთა ჩამოყალიბების გარდამავალი პროცესების ობიექტური ანალიზი მხოლოდ **ემპირიული მასალის** შესწავლითაა შესაძლებელი.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ძველი ქართული ენის ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში დადასტურებული ნაწილაკების შესწავლის ცდას. ემპირიულ მასალად აღებული გვაქვს **ი. აბულაძის** რედაქციით გამოცემული „ძველი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლების“ **I ტომი**, რომელიც მოიცავს **V-X** საუკუნეების ორიგინალურ ლიტერატურას. **კრიტიკული** გამოცემები მოიცავს შესწავლილ ძეგლთა არსებულ **ნუსხებს**, რომლებიც ხელმისაწვდომი იყო იმ პერიოდისათვის. გამოცემას, როგორც წესი, საფუძვლად უდევს უძველესი ტექსტი. პირველ ტომში 14 ორიგინალური ძეგლიდან ნაწილი მხოლოდ ერთი ხელნაწერთაა ცნობილი („კოლაელ ყრმათა მარტვილობა“, „მარტვილობა დავით და ტირიჭანისი“, „იოანე ზედაზნელის ცხოვრება“, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“). რამდენიმე ძეგლი

მხოლოდ გვიანდელი ხელნაწერებითაა შემონახული (აბიბოს ნეკრესელის, კონსტანტი კახისა და მიქაელ-გობრონის მარტვილობები - XVII- XVIII სს.). ძველი ნუსხებით (IX-XI სს.) შემორჩენილია შემდეგი ძეგლები: „შუმანიკის წამება“ (პარხლის მრავალთავი, XI ს.¹ A-95), „ევსტათის მარტვილობა“ (XI ს. H-341), „აბო თბილელის მარტვილობა“ (IX-XI სს. მრავალთავები და კრებულები), „ქართლის ცხოვრება“ (X ს. შატბერდული ვარიანტი) (ი. აბულაძე 1863:5-7).

დასახელებული ძეგლების გამოწვლილვითი შესწავლით მიღებული მასალა დახარისხებულია ექსელის საოფისე პროგრამის გამოყენებით, რომელიც ნათლად წარმოაჩენს ნაწილაკების ფუნქციონირების სიხშირესა და სტატისტიკას, რაც ხელს უწყობს შესწავლის პროცესის სწორად წარმართვას. ნაშრომში ფუნქციური მახასიათებლების გათვალისწინებით ხდება ნაწილაკების კლასიფიკაცია, კერძოდ, თითოეული თავი აერთიანებს ერთი ჯგუფის ფარგლებში წარმოდგენილ რამდენიმე ნაწილაკს. ცალკე თავი ეთმობა სხვა ნაწილაკებს, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჯგუფებს გარეთ დარჩა.

კვლევისას გამოვიყენეთ აღწერითი და ისტორიულ-შედარებითი მეთოდები. კვლევის ძირითადი შედეგები ასახულია დასკვნაში. ნაშრომის **პრაქტიკულ ღირებულებად** გვესახება დანართის სახით წარმოდგენილი ანბანურ რიგზე დალაგებულ ნაწილაკთა ცხრილი, რომელიც, ვფიქრობთ, დაეხმარება ძველი ქართული ენის ტექსტებზე მომუშავე დამწყებ სპეციალისტებსა თუ სტუდენტებს.

¹ ძეგლის გადაწერის თარიღის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა. ბოლო დროს უფრო მისაღებია მოსაზრება, რომ იგი X საუკუნეში უნდა იყოს გადაწერილი (კ. დანელია, ზ. სარჯველაძე 1997:146).

თავი I

კითხვითი ნაწილაკები ძველ ქართულში

1.1. კითხვითი ნაწილაკების გამოყოფისათვის ძველ ქართულში

ძველ ქართულში კითხვით წინადადებაში კითხვით სიტყვებსა და ინტონაციასთან ერთად ან მათ მონაცვლედ ხშირად გამოიყენებოდა კითხვითი ნაწილაკები, რომელთა ნაწილიც ახალი ქართულს აღარ ახასიათებს, საშუალო ქართულში კი გადმონაშთის სახით გვხვდება. ნაწილაკებზე საუბრისას ა. შანიძე ასახელებს ხუთ კითხვით ნაწილაკს: -ა, -მე, განა, ნუთუ, ხომ (ა. შანიძე 1980:608). ამათგან -ა და -მე ნაწილაკები მხოლოდ ძველი ქართული ენისთვისაა დამახასიათებელი (ა. შანიძე 1980:608-609; 1976:146). -მე და -ა კითხვითი ნაწილაკები შეიძლებოდა ერთადაც ყოფილიყო გამოყენებული მრჩობლი -მე-ა ნაწილაკის სახით (ა. შანიძე 1980:608-609; ზ. სარჯველაძე 1997:160-161; ვ. დანელია 2009:94). მათთან ერთად კითხვით ნაწილაკებს წარმოადგენენ აგრეთვე ნუ და ნუუკუე (<ნუ+უკუე (შ. ძიძიგური 1973:109; ვ. დანელია 1998:112)), რომლებიც თანამედროვე ნუთუ ნაწილაკის ფუნქციით გამოიყენებოდა ძველ ქართულში (ზ. სარჯველაძე 1997:160) და ნუთუ, რომელიც ნეოლოგიზმს წარმოადგენს IX საუკუნის სამწერლობო ქართულში (ვ. დანელია 1998:112).

ამრიგად, ძველი ქართულის დონეზე გამოიყოფა შემდეგი კითხვითი ნაწილაკები: -ა, -მე, -მე-ა, ნუ, ნუუკუე, (ნუთუ). ამათგან -ა, -მე-ა, ნუუკუე, ნუთუ მხოლოდ კითხვით ნაწილაკებს წარმოადგენენ. -მე, კონტექსტიდან გამომდინარე, შესაძლოა განუსაზღვრელობითი ნაწილაკიც ყოფილიყო, ხოლო ნუ - უარყოფითი.

თუკი ახალი ქართულისათვის აუცილებელი არ არის კითხვითი სიტყვის ან კითხვითი ნაწილაკის არსებობა კითხვით წინადადებაში, რადგანაც კითხვითობას ძირითადად ინტონაცია განსაზღვრავს, ძველი ქართულისათვის იმავეს ვერ ვიტყვით. ისეთ წინადადებაში, რომელშიც კითხვითი სიტყვები არ იყო წარმოდგენილი, კითხვითობა, როგორც წესი, ნაწილაკებით გამოიხატებოდა. საზოგადოდ, ძველ ქართულში დასტურდება სამი ტიპის კითხვითი წინადადება:

ა) კითხვითსიტყვიანი, რომელშიც კითხვითობას გამოხატავდა კითხვითი ნაცვალსახელი ან კითხვითი ზმნიზედა. კითხვით სიტყვასთან შეუთავსებელი იყო

კითხვითი -ა ნაწილაკი, რასაც ვერ ვიტყვით კითხვით -მე ნაწილაკზე, პირიქით, ეს უკანასკნელი უფრო ხშირად სწორედ კითხვით სიტყვას ერთვოდა:

„*მე ვარქუ, ვითარმედ: „რაჲ გინებს“?*” [შუმ. 18:27 A²], შდრ.: გინებსა D³; გნებავს GH⁴.

„*რაჲ-მე არიან საქმენი მათნი?*“ [ზარზმ. 325:14]

„*სადა-მე იყო აღზრდაჲ შენი, დედოფალო?*“ [მოქც. ქართლ. 105:8-9]

ბ) არაკითხვითსიტყვიანი, რომელშიც კითხვითობას კითხვითი ნაწილაკ(ებ)ი გამოხატავდა, ძირითადად, -ა:

„*იაკობ მანდა არსა?*“ [შუმ. 18:27 A⁵], შდრ.: არის EGL⁶.

გ) იშვიათად დასტურდებოდა ისეთი კითხვითი წინადადებები, რომლებშიც კითხვის სპეციფიკური მაწარმოებლები (კითხვითი სიტყვა ან ნაწილაკი) გამოყენებული არ იყო (თ. უთურგაიძე 1966:215). საზოგადოდ, ჰაგიოგრაფიული ძეგლებისათვის კითხვითი წინადადება ნაკლებადაა დამახასიათებელი. კითხვითი მოდალობის გამომხატველი წინადადებების მცირე მოცემულობაში კითხვითობა ძირითადად კითხვითი სიტყვებით ან/და კითხვითი ნაწილაკებით გამოიხატებოდა. ამ ტიპის წინადადებები კითხვის მაწარმოებელი ელემენტის გარეშე ბატონდება საშუალ ქართულში და უკვე ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს ახალ ქართულ ენაში, თუმცა გვხვდება რამდენიმე მაგალითი ძველშიც:

„*და აწ მატლთა მაგათივს მხიარულ ხარ?*“ [შუმ. 25:30-31]

„*აწ მე მიძულებთ ამას ყოფად?*“ [შუმ. 15:22-23]

„*საბასტანით წამოხუედით?*“ [მოქც. ქართლ. 140:29-30], შდრ.: წარმოხუედითა S⁷.

კითხვითი ინტონაციის შესწავლა ძველი ქართული ენის ტექსტების საშუალებით, ცხადია, ვერ მოხერხდება, თუმცა ვარაუდების გამოთქმის შესაძლებლობას ხშირად ის ქართველური ენები და დიალექტები იძლევიან, რომელთაც შემოუნახავთ ძველი ქართული ენის ვითარება. ჩვენს ხელთ არსებული ძველი

² A – 95, პარხლის მრავალთავი (X ს.).

³ A-19 (Xს.).

⁴ A-832 (XIII-XIV სს.), H-341 (XI ს.).

⁵ A - A – 95, პარხლის მრავალთავი (X ს.).

⁶ E - A-833, G – A-832 (XIII-XIVსს.).

⁷ S-1141 (X საუკუნის კრებული, შატბერდული ვარიანტი).

ქართული ენის სამწერლობო მასალაზე დაყრდნობით შევეცდებით წარმოვადგინოთ ენის განვითარების პირველი საფეხურის ვითარება კითხვითი ნაწილაკების ფუნქციონირებასა და ფომობრივ მახასიათებლებთან დაკავშირებით.

1.2.-ა კითხვითი ნაწილაკი

-ა ნაწილაკთან დაკავშირებით ენათმეცნიერთა შორის ერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ყოველი მათგანი ცალსახად ადასტურებს კითხვითობის გამოხატვის ფუნქციასა და გამოყენების პრინციპს წინადადებაში. ყველასათვის უდავოა, რომ -ა ნაწილაკი ძველი ქართული ენის ფაქტია (ა. შანიძე 1980:608-609; 1976:146; ე. ბაბუნაშვილი 1954; თ. ყაუხჩიშვილი 1946:274; თ. უთურგაიძე 1966; ზ. სარჯველაძე 1997:160; კ. დანელია 2009:94 და სხვ.) და თანამედროვე ქართულში მხოლოდ დიალექტებში შემორჩა, კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში, განსაკუთრებით ფშაურ დიალექტში, ასევე ხევსურულშიც (ა. შანიძე 1980:608; თ. უთურგაიძე 1966:217-218; კ. დანელია 2009:94 და სხვ.).

რაც შეეხება სხვა ქართველური ენების ვითარებას, -ა ნაწილაკს სვანურში ისევ -ა ხმოვანი შეესატყვისება, ხოლო მეგრულში - **-ო**. როგორც ჩანს, -ა კითხვითი ნაწილაკი **საერთოქართველურია** და ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე განსხვავებული სიხშირით იჩენს თავს (ა. შანიძე 1980:608; თ. უთურგაიძე 1966:214-219 და სხვ.).

საერთოქართველური -ა ნაწილაკის ფონეტიკური და ფუნქციური ეკვივალენტი დასტურდება **უდიურშიც**. ნ. რუხაძის დაკვირვებით, ქართველურსა და **ლეზგიურ** ენებში ვლინდება ერთგვაროვანი ფონეტიკური და მორფოლოგიური პროცესები. უდიურში, ქართულის მსგავსად, დაცულია არქაული ვითარება და -ა ნაწილაკი საკმარისია კითხვის მარკირებისათვის წინადადებაში. ქართულში -ა ნაწილაკი დაერთვის ყველა სიტყვას, უდიურში კი - კითხვით სიტყვებს გარკვეულ შემთხვევებში (მხ.რ. III პირის ნაცვალსახელთან, ეწვეა პირის ნიშნის მაგივრობას; გასუბსტანტივებულ მსაზღვრელთან, ზოგიერთ ადვერბთან, **ვინ** და **რა** ნაცვალსახელებთან). მთავარი მაინც

ისაა, რომ -ა ნაწილაკი კითხვით მნიშვნელობას უკავშირდება ორივე ენაში (ნ. რუხაძე 2008:358-360).

პოზიციის თვალსაზრისით -ა ნაწილაკი მყარია - ყოველთვის **სიტყვის ბოლოში** გვხვდება და არ განიცდის ფონეტიკურ ცვლილებებს. წინადადების წევრებს შორის ყველაზე ხშირად დაერთვის **შემასენელს**. როგორც წესი, კითხვითი ნაწილაკი წინადადების ბოლოში გვხვდება და, რადგანაც ქართულში ზმნას ახასიათებს წინადადების დასრულება, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სწორედ ამან განაპირობა -ა ნაწილაკის შემასმენელზე დართვა ყველაზე ხშირად (ა. შანიძე 1980:608; თ. უთურგაიძე 1966:214-215 და სხვ.).

ვნახოთ -ა ნაწილაკის გამოყენების რამდენიმე მაგალითი ჩვენ მიერ შესწავლილი ძეგლებიდან. მათი ნაწილი ხელნაწერთა ნუსხებში -ა ნაწილაკს აღარ დაირთავს, რადგანაც ვარიანტები მოგვიანო პერიოდისაა და შესაბამისად შეინიშნება აღნიშნული კითხვითი ნაწილაკის გასვლა ენიდან:

-ა ნაწილაკი **შენარჩუნებულია**:

„*არა მისი განზრდილი ხარა?*“ [შუშ. 18:7 A⁸], შდრ.: ხარა + შენ BCDEFGHIKL.

„*შენ-ლა თავი თვისი არა შეიწყალე და განსდევ ღმრთისაგან, შენ მემცა შემიწყალე?*“ [შუშ. 20:7-8].

„*ვითარცა აბრაჰამ ჰკითხავს ღმერთსა: „უკუეთუ იყვნენ ხუთნი მართალნი, წარსწყმიდოა ქალაქი იგი?“* [გობრ. 175:19-20 B⁹]. წარსწყმიდნეა E, წარსწყმიდნოა I.

„*ძღ ღმრთისაჲ ხარა შენ?*“ [ევსტ. 41:1-2 H¹⁰].

„*ამას ღმრთისა დაბადებულსა ღმრთად ვხადოდიო?*“ [ევსტ. 42:33-34 H].

-ა ნაწილაკი იკითხვისებში **დაკარგულია**:

„*ამქამოდე ცოცხალ-ლა არსა საწყალობელი იგი?*“ [შუშ. 21:21 A¹¹], შდრ.: არის BCDEFIL

„*არა გიცნობიესა,რამეთუ სიტყუანნი ეგე შენნი მომატყუებელ სიკუდილისა გექმნებიან შენ?*“ [აბ. 70:19-20 N¹²]. გიცნობიეს BL.

⁸ A - 95, პარხლის მრავალთავი (X ს.).

⁹ A-130 (1704-1713 წწ. შორის).

¹⁰ H-341 (XI ს.).

¹¹ 95, პარხლის მრავალთავი (X ს.).

¹² A-1109 (IX ს.).

„იაკობ მანდა არსა?“ [შუშ. 18:27 A¹³]. არის EGL.

„ძაძისა სამოსელი მცირედ-ლა შეგერაცხაა საგუემელად?“ [შუშ. 25:30 A¹⁴].

შეგერაცხა CEFGHK.

როგორც მაგალითებიდან ჩანს, -ა ნაწილაკი ერთვის ზმნურ ფორმას და კითხვითობას სძენს მას. საყურადღებოა ბოლო მაგალითი, რომელშიც ორი ა იყრის თავს. მათგან პირველი მესამე სუბიექტური პირის ნიშანია, მეორე კი კითხვითი ნაწილაკი, რომელიც ყველა ხელნაწერში (CEFGHK) არ დასტურდება. „შუმანიკის წამებაში“ გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ძირითად ტექსტში ზმნა ერთი კითხვითი ნაწილაკით ან საერთოდ უნაწილაკოდაა წარმოდგენილი, ხოლო იკითხვისებში იგივე ფორმა მრჩობლ -ა კითხვით ნაწილაკს გამოავლენს. ვნახოთ მაგალითები:

„შენ ღმერთი ძილსა შინა ნუ გგონიეს?“ [შუშ. 24:24-25 A¹⁵].

მოცემულ მაგალითში ზმნა **გგონიეს** H-341 ხელნაწერში (XI ს.) **გონიესაა** ფორმითაა წარმოდგენილი, ხოლო A-69 (XVI ს.) ხელნაწერში ოდენ **გგონიესა** ფორმა შეესაბამება, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული ზმნა ერთ შემთხვევაში საერთოდ არ დაირთავს კითხვით -ა ნაწილაკს, მეორე შემთხვევებში დართული აქვს და მეტიც, ორმაგი გამოყენებითაც გვხვდება. მსგავსი შემთხვევა დასტურდება ამავე ტექსტის მომდევნო მაგალითშიც:

„კეთილისა ამისთვის **სტირა**, ხუცეს?“ [შუშ. 22:6-7 A¹⁶].

აქაც სწორედ H-341 ხელნაწერში (XI ს.) გვხვდება -ა ნაწილაკის **ორმაგი გამოყენება** ზმნასთან **სტირაა**, ხოლო H-1336 ხელნაწერი (1669 წ.) ოდენ ზმნურ ფორმას გვიჩვენებს - **სტირ**. უძველეს ტექსტში კი (პარხლის მრავალთავი X ს.), რომელიც ძირითად ტექსტადაა გატანილი გამოცემაში, -ა ნაწილაკი ნორმის მიხედვით გამოიყენება, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აღნიშნული ნაწილაკის არქაულობას, ხოლო მისი სხვადასხვაგვარი გამოყენება მოგვიანო პერიოდის ძეგლებში ნაწილაკის ფუნქციონირების მოშლის შედეგი უნდა იყოს.

ჩვენი აზრით, კითხვითი -ა ნაწილაკის მრჩობლად გამოყენების მიზეზი შესაძლოა ყოფილიყო შემდეგიც (თუმცა დაბეჯითებით რამის თქმა გაჭირდება):

¹³ A - 95, პარხლის მრავალთავი (X ს.).

¹⁴ იქვე.

¹⁵ იქვე.

¹⁶ იქვე.

გარკვეულია, რომ -ა ნაწილაკიან კითხვით ფორმებზე მახვილი, კითხვითი ტონი მოდიოდა ბოლოდან მეორე მარცვალზე: სტი`რა (თ. უთურგაიძე 1966:218 და შმდგ.). კითხვითი ნაწილაკის დუბლირების შედეგად ტონი დაეცემოდა უკვე თავად კითხვით ნაწილაკს, რომელიც ამ შემთხვევაში ბოლოდან მეორე ხმოვანი აღმოჩნდებოდა: სტირა`ა. ამით კი მოხდებოდა კითხვითი -ა ნაწილაკის ერთგვარი აქცენტირება.

როგორც აღვნიშნეთ, -ა კითხვითი ნაწილაკი ძველ ქართულში ერთვოდა, ძირითადად, ზმნას, იშვიათად - სხვა მეტყველების ნაწილსაც (ნაცვალსახელს, ნაწილაკს) (თ. ყაუხჩიშვილი 1946:274; ე. ბაბუნაშვილი 1954; თ. უთურგაიძე 1966:215). ჩვენს ემპირიულ მასალაში -ა ნაწილაკის სხვა მეტყველების ნაწილზე დართვის შემთხვევები არ გამოავლინდა, რაც კიდევ ერთხელ გვაფიქრებინებს, რომ -ა ნაწილაკის ფუნქციონირების არე განსაზღვრული იყო ძველი ქართულის სალიტერატურო ენაში (ძირითადად ზმნის აუსლაუტში) და მისი გავრცელება სხვადასხვა მეტყველების ნაწილებთან (მათ შორის ნაწილაკებთან) ფუნქციონირების მოშლას უნდა უკავშირდებოდეს.

ძველ ქართულში -ა ნაწილაკის კითხვითობის ფუნქციაზე მეტყველებს მისი გამოყენება კითხვით წინადადებაში კითხვითი ნაცვალსახელებისა და კითხვითი ზმნიზედების ნაცვლად. როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ის არასდროს დასტურდება კითხვით სიტყვასთან ერთად წინადადებაში, რასაც -მე ნაწილაკთან დაკავშირებით ვერ ვიტყვით. გარდა ამისა, არის შემთხვევები, როცა წინადადებაში -ა და -მე კითხვითი ნაწილაკები ერთდროულადაა წარმოდგენილი, რასაც დეტალურად განვიხილავთ ქვემოთ.

-ა ნაწილაკის პოზიცია, როგორც მაგალითებიდანაც გამოჩნდა, მკაცრად განსაზღვრული და მყარი იყო ძველ ქართულში, მაგრამ ენამ მაინც ვერ შეძლო აღნიშნული ნაწილაკის შენარჩუნება. -ა ნაწილაკის გაქრობა კითხვითობის გამოხატვის ფუნქციით მახვილთანაა დაკავშირებული. როგორც ცნობილია, ქართულში სიტყვას მახვილი ბოლოდან მეორე მარცვალზე მოუდის, უმახვილოდ დარჩენილი -ა ხმოვანი (რომელიც სიტყვას აუსლაუტში ერთვოდა და, შესაბამისად, უმახვილო პოზიციაში ექცეოდა) კი თანდათან დაიკარგა და კითხვითობის გამოხატვა ინტონაციას ან კითხვით სიტყვას დაეკისრა. თანამედროვე ქართულში კითხვით წინადადებაში მახვილი სიტყვის

ბოლოში აღმოჩნდა, იმ დიალექტებში კი, რომლებშიც შემორჩენილია -ა ნაწილაკი, ისევ ბოლოს წინა მარცვალს მოუდის ან პირველ მარცვალზე გადაინაცვლებს, რაც თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენას არ ახასიათებს (თ. უთურგაიძე 1966:218).

ამრიგად, -ა ნაწილაკი ძველი ქართულის კუთვნილებაა და მხოლოდ კითხვითობას გამოხატავს. ის ხშირად ენაცვლება კითხვით სიტყვებს და წინადადებაში კითხვით შინაარსს აჩენს. დროთა განმავლობაში კითხვითი ინტონაციისა და კითხვითი სიტყვების გააქტიურებამ განაპირობა კითხვითი ნაწილაკების გაქრობა ენაში. თანამედროვე ქართულში საერთოქართველური -ა ნაწილაკი ქართულის მხოლოდ რამდენიმე დიალექტშია შემორჩენილი. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის შესწავლის დროს კითხვით ნაწილაკებთან დაკავშირებით საინტერესო იქნებოდა დიალექტური მონაცემების გათვალისწინება.

1. 3. -მე კითხვითი ნაწილაკი

ძველი ქართული ენის ტექსტებში არც ისე იშვიათად გვხვდება -მე ნაწილაკი კითხვით წინადადებაში კითხვითი ნაწილაკის ფუნქციით, რაც არაერთგზის შემჩნეულა ენათმეცნიერთა მიერ, თუმცა ნაწილაკის კვალიფიკაციასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა გვაქვს. მეცნიერთა ნაწილი მას არ მიიჩნევს კითხვით ნაწილაკად რიგი გარემოებების გამო (თ. უთურგაიძე 1966:226), ნაწილი კი მის ხშირ გამოყენებას კითხვით წინადადებაში სწორედ კითხვითობის ფუნქციით ხსნის (ა. შანიძე 1980:608-609; 1976:146; ე. ბაბუნაშვილი 1954:237-238; თ. ყაუხჩიშვილი 1946:274-275; ზ. სარჯველაძე 1997:160; კ. დანელია 2009:94 და სხვ.).

როგორც -ა ნაწილაკზე საუბრისას აღვნიშნეთ, ძველ ქართულში კითხვით წინადადებაში კითხვითი სიტყვების გვერდით, მათთან ერთად და მათ მონაცვლედ ხშირად გვხვდება ნაწილაკები, რომელთა ფუნქცია ასევე კითხვითობის გამოხატვაა. -მე ნაწილაკი გვხვდება ძირითადად ისეთ წინადადებებში, რომლებშიც კითხვითი

სიტყვა ან კითხვითი ნაწილაკი იქნება წარმოდგენილი (მათ გარეშეც დასტურდება კითხვით წინადადებაში, თუმცა იშვიათად¹⁷), რაც არაბუნებრივია ქართულისათვის.

მოგვყავს მაგალითები ჩვენი საკვლევე ტექსტებიდან, როცა -**მე** ნაწილაკი ერთვის კითხვით სიტყვას:

„რამ-მე არს სახილავი ესე?“ [ზარზმ. 325:8-9].

„რამ-მე არიან საქმენი მათნი?“ [ზარზმ. 325:14].

„ვითარ-მე გაქებდე შენ, ღუაწლისა მძლეო წმიდაო მოწამეო?“ [აბ. 80:26 N¹⁸]. ვ^რ E¹⁹.

„სადა-მე იყო აღზრდაა შენი, დედოფალო?“ [მოქც. ქართლ. 105:8-9 S].

“მეფეო ჩემო, ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტიანეთაო, სადაა-მე მოგელოდი... აწ ვითარ-მე მიეცი კელსა შეურაცხთა უშჯულოთა და უნდოთა კაცთასა...” [გრიგ. 264:36-265:3].

გვხვდება სხვა მეტყველების ნაწილთანაც:

“მეფეო ჩემო, ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდეო ქრისტიანეთაო, სადაა-მე მოგელოდი, აღმოსავალით-მე ანუ დასავალით, ჩრდილოა-მე ანუ სამხრით?” [გრიგ. 264:36-38].

გარდა ამისა, არის შემთხვევები, როდესაც -**მე** კითხვითი ნაწილაკი წინადადებაში გამოყენებულია -ა კითხვით ნაწილაკთან ერთად, რაც -**მე** ნაწილაკის კითხვითობას **ექვევშ** აყენებს. შესაძლოა გამოიყოს რამდენიმე შემთხვევა:

ა) -ა უშუალოდ მოსდევს -**მე** კითხვით ნაწილაკს (პირუკუ რიგი გამორიცხულია), მაგ.: *“პოვოსტა სარწმუნოვებაა ქუეყანასა ზედა?”* [ლ. 18:8] (ა. შანიძე 1976:146; თ. უთურგაიძე 1966:215; კ. დანელია 2009:94). ზ. სარჯველაძეს ე.წ. მრჩობლი -**მე**ა ნაწილაკი ცალკე ერთეულად გააქვს კითხვით ნაწილაკებში (ზ. სარჯველაძე 1997:160):

„უწყი-მეა, დედაო, რადსთვის მოვედ აწ?“ [გრიგ. 297:27-28].

ბ) -**მე** ტმესის საფუძველზე ზმნაშია ჩართული, -ა კი აბსოლუტურ ბოლოში ერთვის მას:

„ჯელ-მე-ეწიფებისა ძეთა სიძისათა გლოვად?“ [მ. 9:15];

¹⁷ ეგებისმე მუცელსა დედისასა თვისასა მეორედ შესვლად და გამოშობად? [ი. 3:4 C]. (თ. უთურგაიძე 1966:220).

¹⁸ A-1109 (IX ს.).

¹⁹ A-833.

„მი-მე-ვინ-უთხოვდეს სამარებსა შინა წყალობასა შენსა?“ [ფს. 87:12] (თ. უთურგაიძე 1966:215).

გ) ხშირად -ა და -მე ნაწილაკები წინადადების სხვადასხვა სიტყვას ერთვის:

„არამე უპყრასა და აღმოიქუას იგი?“ [მ. 12:11] (თ. უთურგაიძე 1966:216).

„პირველ უტყუ ვიდრე-მე იყო ღმერთი შენისა სიტყვსაებრ?!“ [ზედ. 195:15-16]

-ა და -მე ნაწილაკების ორმაგ გამოყენებასთან დაკავშირებით ენათმეცნიერებს შორის რამდენიმე ვარაუდი არსებობს. საზოგადოდ, ქართულ ენაში ერთი შინაარსის ორი საშუალებით, მრჩობლად გამოხატვა სტილისტურად და მორფოლოგიურად გაუმართლებელია, ჭარბია, პლეონასტურია და გარკვეულ ხარვეზებზე მეტყველებს. ეს ხარვეზი შესაძლოა განპირობებული იყოს -მე ნაწილაკის არამყარი ფუნქციით, რაზეც, გარდა პოზიციისა, მისი გამოყენების აუცილებლობის არარსებობაც მიუთითებს. როგორც ვიცით, ქართულს კითხვითობის გამოხატვა მხოლოდ ინტონაციის საშუალებითაც შეუძლია, -მე ნაწილაკი კი დამატებით ერთვის რომელიმე სიტყვას და აძლიერებს კითხვით შინაარსს. ჩვენი აზრით, -მე გამოხატავს არა იმდენად კითხვითობას, რამდენადაც კითხვით წინადადებაში გარკვეული მოდალური შინაარსი შემოაქვს (დაეჭვების, ოპტატივის...) და ერთგვარ კითხვით-განუსაზღვრელობით ნაწილაკს წარმოადგენს. კითხვითი სიტყვების მომრავლებამ ენაში კიდევ უფრო სწრაფად დაუკარგა -მე ნაწილაკს კითხვითობის ფუნქცია და საბოლოოდ საერთოდ გავიდა გამოყენების სფეროდან.

მეცნიერთა მეორე ნაწილი -მე ნაწილაკის კითხვითობის ფუნქციის მთავარ არგუმენტად იმას ასახელებს, რომ ის ხშირად შეენაცვლება ხელნაწერთა რედაქციებში -ა ნაწილაკსა და კითხვით სიტყვებს და მათს ფუნქციას ითავსებს წინადადებაში. ე. ბაბუნაშვილის მოსაზრებით, კითხვითი სიტყვები (ვინ, რა, სად...) თავდაპირველად მიმართებას გამოხატავდნენ რთული წინადადების კომპონენტებს შორის, რაც დასტუდება ძველ ქართულ ტექსტებშიც, კითხვითობას კი ასეთ სიტყვებს -მე ნაწილაკი სძენდა. დროთა განმავლობაში, როდესაც მიმართებითობა -ცა და -იგი, -ესე, -ეგე ნაწილაკებმა გამოხატა, საკუთრივ ამ სიტყვებმა შეიძინა მეორეული, კითხვითობის ფუნქცია და -მე ნაწილაკი განუსაზღვრელ ნაწილაკად კვალიფიცირდა. უკვე ძველ ქართულში მოშლილია -მე ნაწილაკის პირველადი, კითხვითობის, ფუნქცია და

ამიტომაც გვხვდება კითხვით სიტყვებსა და ნაწილაკებთან ერთად. -მე ნაწილაკის პირველადი ფუნქციის, კითხვითი შინაარსის გამოხატვის, სემანტიკურ და ფონეტიკურ შესატყვისად ქართველურ ენათაგან სვანურში -მი და -მო, ხოლო აფხაზურში -მა ელემენტები გამოიყენება (ე. ბაბუნაშვილი 1957:242).

საპირისპირო მოსაზრებას ავითარებს თ. უთურგაიძე ნაშრომში „კითხვითი -ა და -მე ნაწილაკები ქართულში“. ავტორი -ა და -მე ნაწილაკების მრჩობლად გამოყენების საფუძველზე ლოგიკურად ვარაუდობს, რომ ამ ნაწილაკებს შორის რომელიმე მათგანს დროთა განმავლობაში უნდა დაეკარგა კითხვითობის გამოხატვის უნარი და უფუნქციოდ უნდა გამოყენებულიყო ან, პირიქით, გვიან უნდა გასჩენოდა ეს მნიშვნელობა ერთ-ერთ მათგანს. შესაძლოდ მიაჩნია ისიც, რომ რომელიმე მათგანი საერთოდ არ იყოს კითხვითი მორფემა და ასეთად -მე ნაწილაკს ასახელებს. მეცნიერს მოსაზრებით, *„კითხვის წარმოების თვალსაზრისით სრულფასოვანია კითხვითი სიტყვები და -ა ნაწილაკი, ხოლო -მე-ს კითხვითობის მაწარმოებლად მიჩნევა საეჭვოა“* [თ. უთურგაიძე 1966:221].

მეცნიერი სამართლიანად ასკვნის, რომ -მე ნაწილაკი ნატვრითი კილოს მაწარმოებელია, რაზეც მიუთითებს მისი დისტრიბუცია. თანამედროვე ქართული ენის დიალექტებში, კერძოდ, თუშურ დიალექტში, ისევე როგორც ძველ ქართულში, -მე ნაწილაკი ნატვრითობის გამომხატველია. ამაზე -მცა ნაწილაკის შემადგენლობაში მ (<მე) ელემენტის მონაწილეობაც მეტყველებს. ხოლო სვანურის -მა და -მო კითხვითი ნაწილაკები, ქართული -მე-ს შესატყვისი, დამოუკიდებელი ნაწილაკებია და არასოდეს გვხვდება სხვა კითხვით ნაწილაკებთან ერთად, რასაც -მე ნაწილაკზე ვერ ვიტყვით (თ. უთურგაიძე 1966:226).

ამრიგად, -მე ნაწილაკისათვის ძირითადი ფუნქცია ძველ ქართულშივე განუსაზღვრელობის გამოხატვა იყო. რადგანაც -მე ნაწილაკი თავიდანვე გულისხმობდა **განუსაზღვრელ, გაურკვეველ, საკითხავ შინაარსს, სრულიად ბუნებრივად დაიმკვიდრა ადგილი კითხვით წინადადებაში** (როგორც ჩვენებითი ნაცვალსახელების მიმართებითი ნაწილაკის ფუნქციის გამოყენების შემთხვევაში მოხდა). ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს -მე ნაწილაკის **ჭარბ** გამოყენებასთან, რაც განაპირობა, მისი **იმანენტური** შესაძლებლობიდან გამომდინარე, **ფუნქციონირების არის გაფართოვებამ**. ამდენად, -მე ნაწილაკის

კითხვითობის გამოხატვის ფუნქცია ხელოვნურია და შეუძლებელია მისი გრამატიკალიზაცია.

რაც შეეხება თანამედროვე ქართული ენის ვითარებას, როგორც აღვნიშნეთ, -მე ნაწილაკი დიალექტებში, გარდა განუსაზღვრელობისა, სხვა ფუნქციითაცაა შემონახული. ეს საკითხი საფუძვლიანადაა გაანალიზებული თ. უთურგაიძის მიერ და აღნიშნულია ფაქტი, რომ თუმურ დიალექტში -მე ნაწილაკი ნატვრითობას გამოხატავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ის არაკითხვით წინადადებაშიც გვხვდება. თხრობით წინადადებაში -მე ნაწილაკი ზმნის II ხოლმეობითის ფორმას წარსული დროიდან მომავალი დროის ნატვრით ფორმად აქცევს და ფუნქციურად შეესაბამება ნეტავ ფორმას, რაც ძველი ქართულის -მცა ნაწილაკის თვისებაა: „დამსვამე წყილსა პირსაო! - ნეტავი დამსვა წყილს პირსა“. -მცა ნაწილაკი დღემდე ნატვრითობის გამოხატველია მთის დიალექტებში, ძველ ქართულში კი, სხვა მრავალ ფუნქციასთან ერთად, კავშირებითი კილოს წარმოებაც უკავშირდება. იმავეს უნდა გამოხატავდეს -მე ნაწილაკი ძველ ქართულში, რასაც დღეს დიალექტებში (თ. უთურგაიძე 1966:221-225).

1. 4. ნუ, ნუუკუე, ანუ ნაწილაკები

ძველ ქართულში ნუ ნაწილაკი გამოიყენებოდა ორი ფუნქციით:

ა) მოქმედების ამკრძალავი უარყოფითი ნაწილაკის ფუნქციით. ამ შემთხვევაში ერთვოდა ზმნის აწმყოს ან აწმყოს ხოლმეობითის მწკრივის ფორმას და გამოხატავდა უკუთქმით ბრძანებით (აკრძალვით) კილოს:

„*ნუ კაც-ჰკლავ, ნუ იპარავ, ნუ ცილსა ჰსწამებ!*“ [მ. 10:19].

„*ნუ იყოფინ ესე ჩემდა!*“ [შუმ. 15:23].

ბ) კითხვითი ნაწილაკის ფუნქციით და გამოხატავდა განა, ნუთუ ნაწილაკების მნიშვნელობას. ამ ფუნქციით ნუ გამოიყენებოდა კითხვით წინადადებაში (რიტორიკულში), მაგრამ მხოლოდ ძველ ქართულში და მხოლოდ ნათარგმნ ძეგლებში და წარმოადგენდა ბერძნული $\mu\lambda$ -ს კალკს, რომელიც ბერძნულში დაეჭვებით, ყოყმანით

უარყოფას, უკეთ, უარყოფის სურვილს (ეგებ არ, იქნებ არ) გამოხატავდა, იშვიათად - კითხვითობასაც (კ. დანელია 1998:111):

„ხოლო იყოსმე ვინ თქუენთაგანი კაცი, რომელსა სთხოვდეს ძმ²⁰ თვისი პურსა, ქვაჲ ნუ მისცესა მას?“ [მ. 7:9 C].

ეს წინადადება გაიაზრება როგორც: „იქნება თქვენგანი ვინმე კაცი, რომელსაც მისი ძე სთხოვს პურს, განა//ნუთუ ქვას მისცემს?“

როგორც აღმოჩნდა, ამ ფუნქციით, ძირითადად, ნათაგმნ ძეგლებში გვხვდება ნუ ნაწილაკი, ის ვერ იგუებს კითხვითობას და, შესაბამისად, ვერც შეინარჩუნა ეს ფუნქცია. ხშირად ნუ ნაწილაკს კითხვით წინადადებაში ნუუკუე, ანუ და იშვიათად ნუთუ ნაწილაკებით ცვლიდნენ იმ უხერხულობის თავიდან ასაცილებლად, რასაც ნუ ნაწილაკის კითხვით წინადადებაში ფუნქციონირება ქმნიდა. მიუხედავად ქართული ენის ბუნებისათვის შეუსაბამობისა, ძველი ქართული ენის ორიგინალურ ძეგლებში მაინც ვხვდებით ნუ ნაწილაკს კითხვით წინადადებაში, სავარაუდოდ, თარგმანების გავლენით (კ. დანელია 1998:112-114):

„შენ ღმერთი ძილსა შინა ნუ გგონიეს?“ [შუმ. 24:24-25 A²⁰]. გონიესაა H²¹, გგონიესა K²².

ამ მაგალითში გგონიეს ზმნა ორ ნუსხაში კითხვითი -ა ნაწილაკითაა წარმოდგენილი (ერთში მრჩობლი -ა ნაწილაკია) ნუ ნაწილაკთან ერთად, რაც აშკარად ცხადყოფს ნუ ნაწილაკის თავსებადობას სხვა (-ა, -მე) კითხვით ნაწილაკებთან.

ფაქტია, რომ კითხვით წინადადებებში ნუ ნაწილაკი კითხვითობის გამოხატველი არაა, რადგან მასთან ერთად წინადადებებში, როგორც წესი, -ა და -მე ნაწილაკები გვხვდება, რომლებიც იტვირთავენ კითხვითობის ფუნქციას, ნუ ნაწილაკი კი დამატებითად, ხელოვნურად, ბერძნულის კალკადაა გამოყენებული. შესაძლოა, ნუ ნაწილაკი კითხვითობის ფუნქციით რომელიმე დიალექტის გადმონაშთის სახითაც შენარჩუნებდა ძველ ქართულში და ამიტომაც სწორედ ეს ნაწილაკი შეესატყვისა ბერძნულ კითხვით μ² ნაწილაკს (კ. დანელია 1998:112-114).

²⁰ A-95, პარხლის მრავალთავი (X ს.).

²¹ H-341 (XI ს.).

²² A-69 (XVI ს.).

ბიბლიურ წიგნთა გვიანდელ ქართულ რედაქციებში მთარგმნელ-რედაქტორები **ნუ**-ს ცვლიდნენ კითხვითი ნიუანსის შემცველი ქართულისთვის უფრო ბუნებრივი **ნუუკუე**, ანუ, **ნუთუ** (იშვიათად) ნაწილაკებით ან სულ **ტოვებდნენ** ხოლმე (კ. დანელია 1998:112):

„**ნუ** შენცა გალილეათ ხარ?“ [ი. 7:52 FHIK]. **ნუუკუე** G.

ნუ ნაწილაკის მონაცვლედ გვხვდება **ნუუკუე** ნაწილაკიც, რომელიც ასევე კითხვით ნაწილაკად კვალიფიცირდება კითხვით წინადადებაში (ა. შანიძე 1976:148; თ. ყაუხჩიშვილი 1946:267; კ. დანელია 1998:109-114; ზ. სარჯველაძე 1997:160 და სხვ.). **ნუუკუე** **ნუ** ნაწილაკზე **უკუე** ფორმის დართვით მიიღება (**ნუუკუე** = **ნუ** + **უკუე** (თ. ყაუხჩიშვილი 1946: 267)) და ფუნქციურად დატვირთული კავშირ-ნაწილაკია ძველ ქართულში.

ნუუკუე-ს პირვანდელ ფუნქციას მაქვემდებარებელ კავშირად გამოყენება წარმოადგენდა შემდეგი მნიშვნელობებით:

ა) „რათა არ“, „რომ არ“ - ნეგატიური შინაარსის მაქვემდებარებელი კავშირი მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში:

„**ნუცა** დაუგებთ მარგალიტსა თქუნსა წინაშე ღოთთა, **ნუუკუე** დათრგუნონ იგი ფერკითა მათითა“ [მ. 7:6 DE] **რათა არა** C .

ბ) „თუ, თუკი, რომ“ პირობითი კავშირი პირობით წინადადებაში:

„**ნუუკუე** ცნას და მომკლას?!“ [აგ. ძეგლ. I, 18:6] ნიშნავს: „**რომ** გაიგოს და მომკლას?!“ (კ. დანელია 1998:112-113).

ნუუკუე კითხვითი ნაწილაკის ფუნქციით ძველ ქართულში ნიშნავდა: „**ნუთუ**, განა“; „შესაძლოა, ეგების“ და ფუნქციურად **ნუ**, **ნუთუ** კითხვითი ნაწილაკების იდენტური იყო. კითხვითი ნაწილაკის ფუნქციით გამოყენება მეორეული უნდა იყოს და თარგმანის გავლენით უნდა აიხსნას (კ. დანელია 1998:113). **ნუუკუე** ერთგვარი დადასტურებით-ჩაკითხვითი (ე. ბაბუნაშვილი 1957:238), კითხვით-დაეჭვებითი ნაწილაკია (ლ. ც.).

პოლისემიურობის გამო **ნუუკუე**-მ თანდათან დაკარგა კითხვითობის გაგება, შემდეგ სხვა ფუნქციებშიც შეეცილა სხვადასხვა ნაწილაკები და, საბოლოოდ, დაიკარგა კიდეც (კ. დანელია 1998:113).

ორიგინალურ ძეგლებში მას, ძირითადად, *შესაძლოა, ეგების, იქნებ* ნაწილაკების ფუნქციით ვხვდებით:

„ნუუკუე პოვოს რადმე ჩემ თანა ბიწი და მცეს მახული იგი მისი“ [მოქც. ქართლ. 119:29-30].

„ნუუკუე მიმიახლოს სიტყვს-გებად მის წინაშე ქრისტწსთვს“ [მოქც. ქართლ. 113:33-34].

„ნუუკუე ითხოვდეს, რამეთუ მე ამას ცხორებასა არღარად მეკმარების“ [შუშ. 18:23-24].

“ნუუკუე მთავართაგანსა ვისმე ეცოლოს” [შუშ. 24:7-8].

შესაძლოა, სწორედ ამ დაეჭვების, ნატვრის სემანტიკამ განამიპირობა კითხვით წინადადებებში მისი ფუნქციონირება (როგორც -*მე* ნაწილაკის შემთხვევაში). რომ არა შინაგანი პოტენციალი, მხოლოდ უცხო ენის გავლენით ვერ მოხდებოდა *ნუუკუე* ფორმის სხვადასხვა სემანტიკით დატვირთვა.

ასევე იყო ცდა კითხვითობის გამოხატვისა *ანუ* ნაწილაკითაც. ძველი ქართული ენის არა მხოლოდ ნათარგმნ, არამედ ორიგინალურ ლიტერატურაშიც ხშირად გვხვდება *ნუ* ნაწილაკზე დართული ა-ხმოვნისანი ფორმა *ანუ* ხან კავშირის, ხანაც ნაწილაკის ფუნქციით (კ. დანელია 1998:113).

ძველ ქართულში *ანუ* გამოდიოდა „*ან, თუ*“ მაცალკეებელი კავშირების ფუნქციით (იგი ძველში არ წარმოადგენდა *ანუ* მაიგივებელ კავშირს):

„სადაა არს ჩრდილოისა იგი ქუეყანაჲ, ანუ სადა არს სამოსელი იგი უფლისა ჩუენისაჲ?“ [მოქც. ქართლ. 113:9-12].

„შთაყარა იგი კლდესა, რომელსა-იგი თქუენცა ჰხედევდით ანუ არა“ [მოქც. ქართლ. 121:27-39].

კითხვით წინადადებაში მას, ძირითადად, *თუ* მაცალკეებელი კავშირის ფუნქცია ჰქონდა:

„ერსა უსწავლელსა აუწყებდეს, კეთილ არსა ანუ არა?“ [გრიგ. 289:33].

„სიტყუაჲ ღმრთისაჲ შესრული არს ანუ არა?“ [ზედაზნ. 195:20-21].

"# მეფეო ჩემო, ძლიერო და დიდებულო, სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდო ქრისტეანეთაო, სადადო-მე მოგელოდი, აღმოსავალით-მე ანუ დასავალით, ჩრდილოდო-მე ანუ სამხრით?" [გრიგ. 264:36-39].

ანუ, როგორც კითხვითი ნაწილაკი, გამოიყენებოდა „განა“ „ნუთუ“ ნაწილაკების ფუნქციით, ნუ ნაწილაკის მონაცვლედ (თავის მხრივ, ნუ ნაწილაკი სხვა კითხვითი ნაწილაკების მონაცვლეა) (კ. დანელია 1998:113):

„ანუ არა უწყით, რამეთუ რომელნი ბაგინისასა მას იქმედ, ბაგინისაგან ჭამედ?“ [I კორ. 9:13].

ანუ დასტურდებოდა კითხვით წინადადებებში კითხვით ნაწილაკებთან და კითხვით სიტყვებთან ერთადაც:

„ანუ არა უწყითა, რამეთუ სარგებელისათვის ამის ქუეყანისა წარმოგუავლინნა უფალმან ღმერთმან ჩუენმან იესუ ქრისტემან?“ [ზედაზნ. 202:35-38].

„რად-მე არს ანუ ნაბერწყალნი ისი, რომელ წარვლენ აღმოსავალით და დასავალით?“ [მოქც. ქართლ. 149:24-26].

ამგვარ პოზიციაში მისი ხშირი გამოყენება გახდა მიზეზი ანუ კავშირის კითხვით ნაწილაკთა შორის დამკვიდრებისა, თუმცა დროებით, რამდენადაც ამის აუცილებლობა ქართულში არ იყო, კითხვითობას საკუთრივ კითხვითი სიტყვები, კითხვითი ნაწილაკები და ინტონაცია გამოხატავდა, შესაბამისად, ანუ მაიგივებელი კავშირის ფუნქციით მკვიდრება ახალ ქართულში (კ. დანელია 1998:113).

1. 5. განა, ნუთუ, ხომ კითხვითი ნაწილაკები

ა. შანიძე თავის ფუნდამენტურ ნაშრომში²³ კითხვით ნაწილაკებად ასახელებს კიდევ სამ ფორმას, რომელთა შესახებ ძალიან მოკლე განმარტებებს იძლევა. მეცნიერის თქმით, ხომ (<ჰომ; ხო<ჰო) ნაწილაკი გამოხატავს კითხვას, რომელზეც მოსალოდნელია დადასტურებითი პასუხი ან პირდაპირ დადასტურებას გამოხატავს ადრე ნათქვამზე. ნუთუ შეიცავს განცვიფრებას, ხოლო განა ნაწილაკთან დაკავშირებით მხოლოდ

²³ ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, ტ. III, 1980.

პოზიციასთან დაკავშირებით ვიგებთ, რომ საკითხავ სიტყვას წინ დაერთვის (ა. შანიძე 1980:609). ნაწილაკთა ამგვარი დახასიათება, ცხადია, საკმარისი არ არის. თანამედროვე ვითარების ნათლად წარმოსაჩენად საჭიროა სინქრონიულთან ერთად დიაქრონიული ანალიზი და კვლევა-ძიება, რაც ოდენ ემპირიული მასალის საფუძველზე ხერხდება.

თანამედროვე ქართულის **გარნა** კითხვითი ნაწილაკი ძველ ქართულში **გარნა** ფორმით დასტურდებოდა. ახალი ქართულისაგან განსხვავებით, ძველ ქართულში **კავშირის** ფუნქციაც გამოიყენება და აქვს „გარდა“; „თუ არ“ მნიშვნელობა (კ. დანელია 1998:113). ჩვენ მიერ შესწავლილ ძეგლებში ეს ფუნქცია მკვეთრად გამოხატული.

გარნა „გარდა“, „თუ არ“ კავშირის ფუნქციით:

„ყოველნი წიგნნი აყენებდეს ყოველსა სხუასა ღმერთსა მიხედვად, გარნა ღმრთისა ერთისა“ [მოქც. ქართლ. 103:19-21].

“ჩუენდა არავინ მოავლინა ღმერთმან, გარნა შენ” [მოქც. ქართლ. 105:23-24].

„არა არს იგი ცეცხლი შემწუველი, გარნა სული ღმრთისაჲ განმანათლებელი“ [გრიგ. 294:17-18].

ნაწილაკის ფუნქციით გარნა ნიშნავდა: „მხოლოდ“, „მარტო“:

„განკითხვად მათი არარად ყო, გარნა ამათ რვათაჲვე შეკრვად ბრძანა“ [ევსტ. 32:21-22].

„არცა მამად, არცა დედად, არცა ძმანი, არცა ნათესავნი, გარნა შენ მხოლოდ უფალი შეგიყუარე“ [ევსტ. 44:29-30].

გარკვეულწილად **გარნა მაგრამ** კავშირის მნიშვნელობასაც ატარებს და ხშირად მონაცვლეობენ წინადადებებში. ორივე მათგანი უარყოფითი სემანტიკის კონსტრუქციაში გვხვდება. ახალ ქართულში ხდება **გარნა > გარდა** პროცესი. -ნა ელემენტი -და ელემენტის ვარიანტია სხვა ფორმებშიც (შდრ.: ზე-ნა - ზე-და) (შ. მიძიგური 1973:404:405):

„თქუენ კეთილად იტვთ, გარნა ნუ დაგიჯერებთ“ [შუმ. 15:20-21].

„გარნა თუ მისა ვერ შემძლებელ ხარ აღდგინებად, ვერცა ჩემდა შემძლებელ ხარ განყვანებად“ [შუმ. 24:17-18].

მოყვანილი მაგალითებიდან ნათელი ხდება, რომ **გარნა** ფორმა უარყოფით წინადადებებში გვხვდება და მასთან ერთად წარმოდგენილია შესაბამისი უარყოფითი

სიტყვები: არარად, არცა, არავინ, აღარა... გარნა ასეთ შემთხვევაში „გამორიცხვით ნაწილაკად“ გვევლინება. ამიტომაც გვხვდება მასთან ერთად წინადადებაში **მხოლოდ, ხოლო**, რომელიც ამ გამორიცხულობას კიდევ უფრო აძლიერებს. **ხოლო** ძველ ქართულში პოლიფუნქციური იყო: გამოიყენებოდა როგორც მაპირისპირებელი კავშირის, ისე ნაწილაკის ფუნქციით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში იგი გამოხატავდა როგორც დაეჭვებას („ეგების, იქნებ“), ისე გამორიცხვა-შეზღუდვას („მარტო“). ახალ ქართულში ოდენ კავშირის ფუნქციით გვხვდება (შ. ძიმიგური 1973:402-405).

საშუალ ქართულში **გარნა** ელემენტის ფონეტიკურად გამარტივების შედეგად მივიღეთ **განა** ნაწილაკი, რომელიც თანამედროვე ქართულში კითხვითი ფუნქციით გამოიყენება. საშუალ ქართულშივე **განა** ნაწილაკმა დადასტურებითობის ფუნქციაც შეიძინა („კიდევ“, „აკი“) (კ. დანელია 1998:113-114):

„ესდენ დიდი სიხარული გაეხარნეს მასცა განა!“ [ვეფხ. 1529:2].

ნუთუ (< ნუ + თუ) ნაწილაკის ფუნქციით ძველ ქართულში **ნუ** და **ნუუკუე** ნაწილაკები გვხვდება. კ. დანელიას მოსაზრებით, **ნუ** ნაწილაკით კითხვითობის გამოხატვა უცხო ენის გავლენის შედეგი, კერძოდ, ბერძნული ენის **კალკი** უნდა იყოს, რამდენადაც ამ ფუნქციით **ნუ** ნაწილაკი მხოლოდ თარგმანებში გამოიყენება და ქართულისათვის არაბუნებრივია. **ნუ** ნაწილაკი დაირთავს **თუ** ნაწილაკსაც და ასევე კითხვითობას გამოხატავს, თუმცა აქ კითხვითობაზე მეტად **გაოცება, განცვიფრება** ახასიათებს წინადადებას. **ნუთუ** ნაწილაკი შედარებით ახალია, „ნეოლოგიზმია“ და IX საუკუნიდან იჩენს თავს (კ. დანელია 1998:111-112). **ნუთუ**-ს შემცველ წინადადებაში სხვა კითხვითი ნაწილაკი (-ა, -მე) არ გამოიყენება.

საკუთრივ **თუ** ელემენტსაც კითხვით ნაწილაკად მიიჩნევს შ. ძიმიგური ნაშრომში „ნაწილაკური წარმოშობის ზმნიზედები“. მეცნიერის მოსაზრებით, ახალ ქართულში **თუ**, გარდა კავშირისა, კითხვითობის ფუნქციითაც გვხვდება შემდეგი ტიპის მაგალითებში: „მეფერები თუ?“ (ილია 282:11); „არა გჯერა თუ?“ (ილია 282:11) (შ. ძიმიგური 1973:403).

ხომ კითხვითი ნაწილაკი ძველ ქართულში არ გვხვდება. სავარაუდოდ, ამის მიზეზი კითხვითი -ა ნაწილაკის არსებობა უნდა ყოფილიყო. რადგანაც კითხვით წინადადებაში თითქმის ყოველთვის იყო წარმოდგენილი კითხვითი სიტყვა ან მისი

მონაცვლე კითხვითი ნაწილაკები, დამატებითი საშუალებების არსებობა საჭირო აღარ უნდა ყოფილიყო. დროთა განმავლობაში, როდესაც ფონეტიკური თუ გრამატიკული ფაქტორების გამო რამდენიმე კითხვითი ნაწილაკი დაიკარგა, მათი ადგილი **ხომ** ნაწილაკმა ჩაანაცვლა. ახალ ქართულში **ხომ** ნაწილაკი ისევე ხშირი გამოყენებისაა, როგორც ძველ ქართულში -ა ნაწილაკი უნდა ყოფილიყო.

თავი II

მიმართებითი ნაწილაკები

2.1. მიმართებითი ნაწილაკების ზოგადი დახასიათებისთვის

ძველ ქართულში რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი წინადადების მისამართ სიტყვასთან ან მთელ წინადადებასთან დამოკიდებული წინადადების მიმართების გამოსახატავად გამოიყენებოდა შემდეგი სახის ნაწილაკები: **-ცა, -ესე, -ეგე, -იგი და -რამ**. ამ რამდენიმე ნაწილაკის ერთი და იმავე ფუნქციით გამოყენება მათს საერთო წარმომავლობას უნდა უკავშირდებოდეს. **-ესე, -ეგე, -იგი და -რამ** ნაწილაკების ნაცვალსახელური წარმომავლობა აშკარაა. ასევე, ნაცვალსახელურ ელემენტად მიიჩნევა **-ცა** ნაწილაკიც, რომელსაც ზანურში ნაცვალსახელური **-თი** ელემენტი შეესატყვისება და გამოხატავს მესამე პირთან სიახლოვეს, როგორც **-იგი** (ე. ბაბუნაშვილი 1957:226).

მიმართებითი ნაწილაკების ფუნქციური მონაცვლეობა არ არის მკვეთრად განსაზღვრული ძველი ქართულისათვის. ამ პერიოდის ძეგლები ასახავს გარდამავალ პროცესს, როდესაც მიმართებითობის გამოსახატავად ერთმანეთს ენაცვლება სამივე საშუალება. მეტიც, ერთდროულად ორი ნაწილაკიც კი დასტურდება:

„ღმერთმან მოგიტევინ, რომელ-რამ-იგი ჰყავთ“ [შუმ.27:9 A²⁴], შდრ.: **რომელიცა-იგი HK²⁵; რათა-რამ-იგი G.**

„რომელი-იგი ბუნებითი ცოლი არს და შვილნი, იგინიცა ესრევე მოაქცინე შენსა სჯულსა, ვითარცა-ესე მე“ [შუმ.12:4-6].

როგორც ცნობილია, თავდაპირველად მიმართებას კითხვითი სიტყვები უნაწილაკოდ გამოხატავდნენ. დროთა განმავლობაში კითხვითი სიტყვებისათვის კითხვითობისა და მიმართებითობის ფუნქციათა გასამიჯნავად საჭირო გახდა ნაწილაკების დართვა. ამ ფუნქციით თავდაპირველად ჩვენებითი ნაცვალსახელები გვევლინება (ესე, ეგე, იგი). სპორადულად გვხვდება **რამ** ნაცვალსახელიც. მათ პარალელურად მკვიდრდება შედარებით უფრო მარტივი და თავისუფალი **-ცა** ნაწილაკი, რომელიც დღემდე ინარჩუნებს ამ ფუნქციას. დანარჩენი ნაწილაკები კი

²⁴ A-95, პარხლის მრავალთავი (Xს.).

²⁵ H - H-341 (XI ს.), K - A-69 (XVI ს.).

პირველადი ფუნქციის გააქტიურებისა და ომონიმის მოხსნის გამო გავიდნენ ფუნქციონირებიდან (ე. ბაბუნაშვილი 1957:228). გავეცნოთ თითოეული მათგანის წარმოშობისა და განვითარების საინტერესო ისტორიას ვრცლად.

2.2.-*ესე, ეგე, იგი* ნაცვალსახელები მიმართებითი ნაწილაკის ფუნქციით

რთულ ქვეწყობილ წინადადებებში მიმართებითი სიტყვების საწარმოებლად მველ ქართულში ხშირად გვხვდება *ესე, ეგე, იგი* ჩვენებითი ნაცვალსახელები. ამ ფუნქციით გამოყენებული ნაცვალსახელები დაერთვოდა კითხვით სიტყვებს (კითხვით ნაცვალსახელებსა და კითხვით ზმნიზედებს) ფორმაუცვლელი სახით - არც იბრუნებოდა და არც მრავლობითი რიცხვის ფორმა ეწარმოებოდა - და მიმართებითად აქცევდა მათ (ა. შანიძე 1976:147). როგორც ჩანს, აღნიშნული ფუნქციით ნაცვალსახელიც ნაწილაკივით იქცეოდა, როგორც ფორმაუცვლელი მეტყველების ნაწილი.

ესე, ეგე, იგი ერთვის კითხვით ნაცვალსახელებს და მიმართებითად აქცევს მათ:

„და გიჩუენო თქუნ, საყუარელთა ჩუენთა, რომელნი-ეგე ხართ ჭეშმარიტად შვილნი მისნი“ [კონსტ. 171:20-21].

„უწყი მე, რამეთუ გასმიეს თქუნ, რად-ესე მოაწია ღმერთმან ჩემ ზედა“ [კონსტ. 167:40-168:1].

„არა რომელი მე მნებავს, მას ვიქმ, არამედ რომელი-იგი მძულს“ [ზედაზნ. 205:3].

ესე, ეგე, იგი ერთვის კითხვით ზმნიზედებს და აქცევს მიმართებითად:

„მოვიდეს თავსა მას ზედა წყაროდსასა, სადა-იგი ნათელ-ელო წმიდათა მათ ყრმათა“ [კოლ.ყრმ. 185:22-24].

„იყო მათ ჟამთა შინა, ოდეს-იგი გიორგი კაბადუკიელი იწამა კეთილითა აღსრულებითა ქრისტეს მიმართ ღმრთისა ჩუენისა“ [მოქც. ქართლ. 106:20-23].

„ვითარ-იგი ამას ეტყოდა, მეყსეულად მოვიდეს სამნი ირემნი“ (გარეჯ. 231:9).

„განცხადებულად არა მიუთხრეს ესე, ვითარ-ესე ჯუართა-ცა მათ ადგილი არავინ იცის“ [მოქც. ქართლ. 113:2-4].

„რამეთუ დამდაბლდა და მიქსნა ჩუენ, აღმაღლდა ზეცად, ვინაჲ-ცა გარდამოქდა“ [აბ. 52:4-5].

საყურადღებოა ერთი წინადადების ფარგლებში სხვადასხვა მიმართებითი ნაწილაკის მონაცვლეობა, რაც კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის გარდამავალ პროცესს:

„წმიდათა მოციქულთაჲთა და მოწამეთაჲთა კელ-ყავ გამოთქუმად სრულიად ჭეშმარიტად, ვითარ-იგი იყო და ვითარცა შენ თვთ უწყი“ [აბ. 47:1-2 N²⁶]. შდრ.: ვითარ იყო და ვითარ შენ თვთ უწყი E²⁷.

„რომელი-იგი ბუნებითი ცოლი არს და შვილნი, იგინიცა ესრევე მოაქცინე შენსა სჯულსა, ვითარცა-ესე მე“ [შუმ. 12:4-6].

დამკვიდრებული ორთოგრაფიული წესის თანახმად, ნაწილაკის ფუნქციით **ესე, ეგე, იგი** კითხვით სიტყვას დეფისით უკავშირდება.

როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, ნაწილაკები, გარდა რთული წინადადების კომპონენტებს შორის მიმართებისა, ამავედროულად, გამოხატავდნენ **დეიქტურობასაც**: **ესე** პირველ პირთან სიახლოვეს გულისხმობდა, **ეგე** - მეორე პირთან, **იგი** - მესამე პირთან (ა. შანიძე 1976:147). სათქმელს თუ უფრო დავაზუსტებთ, დეიქსის ნაწილაკის ფუნქციით გამოყენებული თავად ჩვენებითი ნაცვალსახელები გამოხატავდნენ, როცა მათი ამოსავალი ფუნქციით იყვნენ გამოყენებული (ასევე, პირის ნაცვალსახელის ფუნქციითაც). ნაწილაკის ფუნქციით მათი გამოყენებისას აღნიშნული ფუნქცია ნეიტრალიზებულია (ფუნქციის ერთგვარ ნეიტრალიზაციაზე და განსაზღვრულობის აქცენტირებაზე შეიძლება საუბარი **ესე, ეგე, იგი** ნაცვალსახელების ნაწევრად გამოყენების შემთხვევაშიც) (ბ. ნერსესიანი 1983:149).

მიმართებითი ნაწილაკის ფუნქციით ჩვენებითი ნაცვალსახელების გამოყენება ადრეული საფეხურისთვის არაა დამახასიათებელი, ვინაიდან პირველ საფეხურზე მიმართებისათვის ოდენ კითხვითი სიტყვები გამოიყენებოდა, ნაცვალსახელები მომდევნო საფეხურზე დაერთო ომონიმის მოსახსნელად, მეტიც, დროთა განმავლობაში ორმაგად აწარმოა მიმართებითობა და ნაცვალსახელთან ერთად -ცა

²⁶ A - 1109 (IX ს.).

²⁷ A - 833 (XIII-XIV ს.).

ნაწილაკიც დაირთო: სადაცა-იგი, ვიდრეცა-იგი, ოდესცა-ეგე, ვითარცა-ესე... რადგანაც ნაცვალსახელები ფუნქციური და სემანტიკური მრავალფეროვნებითა და დამოუკიდებლად არსებობის უნარით ხასიათდებოდნენ, მათი ნაწილაკებად ჩამოყალიბება (გრამატიკალიზაცია მ. მ.) ვერ მოხერხდა და, საბოლოოდ, მიმართებითი ნაწილაკის ფუნქცია -ცა ნაწილაკმა დაიმკვიდრა (ა. შანიძე 1976:147).

ჩვენებითი ნაცვალსახელების ნაწილაკის ფუნქციით გამოყენების სამართლიან ახსნას გვთავაზობს შ. მიძიგური. მეცნიერი ვარაუდობს, რომ კითხვით სიტყვებთან ნაწილაკის ფუნქციით გადავიდა ნაწევარი, რომელიც ახლდა მთავარ წინადადებაში წარმოდგენილ მისამართ სიტყვას. ტავტოლოგიის თავიდან ასაცილებლად სახელი დაიკარგა და სახელის კუთვნილი ნაწევარი შეუერთდა კითხვით სიტყვებს, დაუკარგა რა მათ კითხვითობა და აქცია მიმართებითად, ამგვარად, ნაწევარი იქცა ნაწილაკად (შ. მიძიგური 1973:414).

2.3. -ცა მიმართებითი ნაწილაკი

-ცა ნაწილაკს ძველ ქართულშივე ორი ფუნქცია ჰქონდა:

1. მიმართებითობის გამოხატვა.
2. . „და, კიდევ, აგრეთვე“ მნიშვნელობების გამოხატვა.

პირველი ფუნქციის მიხედვით, -ცა ნაწილაკი ერთვის კითხვით ნაცვალსახელებსა და კითხვით ზმნიზედებს და მიმართებითად აქცევს მათ. ეს ფუნქცია ძველ ქართულში განუვითარდა ნაწილაკს და დღემდე შემორჩა. თანამედროვე ქართულში მიმართების გამოხატვის მთავარი საშუალება სწორედ -ც(ა) ნაწილაკია.

მოგვყავს მაგალითები ჩვენი ემპირიული მასალიდან, როცა -ცა ნაწილაკი ერთვის კითხვით ნაცვალსახელებს და მიმართებითად აქცევს მათ:

„რომლისაცა კაეტისა ინებო მთავრობად, მოგცე შენ“ [გობრ. 181:9].

„რამეთუ არავინ არს განდგომილთაგანი, რომელსაცა არა ვსძლე“ [კონსტ. 167:23].

„ბრძანეთ, რადცა გნებავს“ [გრიგ. 271:30].

„**იქმოდე, რადცა გნებავს, მე ქრისტეანე ვარ და არასადა უვარეყო სახელი მისი**“
[გობრ. 182:25-26].

„**რომელიცა დაესწავა, დაუვიწყებელად აქსოვდა**“ [გრიგ. 281:39-40].

„**ამისა შემდგომად ვინცა შეიცვალეობოდის კათალიკოზთაგანი, იწერებოდის**“
[მოქც. ქართლ. 97:40-98:2].

-**ცა** ნაწილაკი ერთვის კითხვით ზმნიზედებს:

„**გულნი მათნი განფიცებულ იყვნეს, ვითარცა რვალნი და დაყენებულ ვითარცა
სამყაროდ**“ [გობრ. 175:4-176:1].

„**რამეთუ იშვა ვითარცა კაცი, პატივ-ეცა ვითარცა ღმერთსა, ნათელ-ილო, ვითარცა
მსახურმან ვინმე სჯულისამან წყლისა და მიწისაგან**“ [მოქც. ქართლ. 88:15-19].

„**წარგ ზავნა ქუეყანად თვსად აფხა ზეთად, ვინადაცა მოეყვანა იგი**“ [გრიგ. 298:10-11].

„**ესეცა მოწაფფ იყოს მისი ჩუენ თანა, სადაცა ჩუენ ვიყვნეთ**“ [გრიგ. 267:25-26].

„**კაცმან მან მოციქულმან დაისწავა ჟამი იგი, ოდესცა ულოცა უფალსა მისსა**“
[გრიგ. 299:8-9].

„**ოდესცა ენებოს უფალსა, მაშინ გამოჩნდენ**“ [მოქც. ქართლ. 113:4-5].

განსხვავებით მიმართებითი ნაწილაკის ფუნქციით გამოყენებული ჩვენებითი ნაცვალსახელებისგან, -**ცა** ნაწილაკს არ შეუძლია დეიქტურობის გამოხატვა ქართულში, მხოლოდ მთავარი წინადადების მისამართ სიტყვასთან მიმართებას გამოხატავს. ზანურში კი, როგორც უკვე ვთქვით, მისი შესატყვისი ნაცვალსახელური ელემენტი -**თი** გამოხატავს პირველ პირთან სიახლოვეს (თინა - ის). ზანურთან შესატყვისობა კიდევ ერთხელ ადასტურებს -**ც** ნაწილაკის ნაცვალსახელურ წარმომავლობას (ე. ბაბუნაშვილი 1957:225-228).

ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში თავდაპირველად მიმართებითობას **იგი** გამოხატავდა, -**ცა** ნაწილაკი კი **ცოცხალი მეტყველებიდან** შემოვიდა და თანდათან დამკვიდრდა ენაში მოქნილობისა და სიმარტივის გამო. ამასთანავე, მოიხსნა ომონიმია ჩვენებითი ნაცვალსახელების ამავე ფუნქციით გამოყენების შემთხვევებთან (ე. ბაბუნაშვილი 1957:227-228).

-ცა ნაწილაკის მეორე ფუნქცია „და, კიდევ, აგრეთვე“ მნიშვნელობების გამოხატვაა. ნაწილაკი მიუთითებს, რომ სიტყვა, რომელსაც -ცა დაერთო, უკავშირდება სხვა სიტყვას, რომელიც უკვე ითქვა ან იგულისხმება. სწორედ ეს უნდა იყოს ნაწილაკის პირველადი და ძირითადი ფუნქცია, რომელიც დროთა განმავლობაში დაიჩრდილა და ნაწილაკის გამოყენების არე გავრცელდა ყველა მეტყველების ნაწილზე. კიდევ უფრო გვიან ჩამოყალიბდა კითხვით სიტყვებთან ანუ რთულ ქვეწყობილ წინადადებაში წევრ-კავშირებთან მიმართებითი ნაწილაკის ფუნქციით. დროთა განმავლობაში დაიკარგა პირველადი ფუნქცია, თუმცა მაინც იგრძნობა უკვე ცნობილ ვითარებაზე მითითება. საბოლოოდ, ორივე მნიშვნელობა ერთ ძირითად ფუნქციაზე დავიდა (ე. ბაბუნაშვილი 1957:218-228).

მოგვყავს ნიმუშები ჩვენი საკვლევ ტექსტებიდან -ცა ნაწილაკის მეორე მნიშვნელობის გათვალისწინებით:

„*ნოცა მოასწავა სარწმუნოებად ეკლესიისად კიდობანსა მას შინა*“ [გობრ. 179:28-29].

„*რამეთუ მისა არს სუფევად უკუნითი უკუნისამდე და მერმეცა, ამენ*“ [მოქც. ქართლ. 99:5-7].

„*მეცა, ხუცესი დედოფლისა შუშანიკისი, თანა ვჰყვანდი ეპისკოპოსსა მას*“ [შუშ. 13:12-13].

-ცა შედის უარყოფითი ნაწილაკების შემადგელობაშიც ამავე მნიშვნელობით (ამ შემთხვევაში მიუთითებს ცნობილ, უკვე ხსენებულ უარყოფით ნაწილაკზე). როგორც წესი, წინადადებაში ორი უარყოფითი ნაწილაკის არსებობისას -ცა უკანასკნელს ერთვოდა (ე. ბაბუნაშვილი 1957:221):

„*არა იყოს შემაწუხებელ ნაკლულევანებითა, არცა ნამეტნავ განგრძობითა*“ [კონსტ. 170:33].

„*ხოლო გზად იგი ჭემმარიტებისად არა გულისგმა-ყვეს და არცა მოიკსენნეს ალაგნი მისნი*“ [კონსტ. 168:37-38].

„*ყოლადვე არა შეშინდა, არცა შეძრწუნდა, არამედ სიხარულით შეიწყნარა მოწევნული იგი მის ზედა*“ [კონსტ. 167:9-10].

„ხოლო ვერი პირისა მისისაჲ არა იცვალა, არცა შეემთხვა თუალთა მისთა მრუმედ მხედველობაჲ“ [გრიგ. 308:6-7].

როგორც აღმოჩნდა, როდესაც წინადადებაში რამდენიმე უარყოფითი ნაწილაკია წარმოდგენილი, -ცა ნაწილაკი ერთვის უკანასკნელს. არის შემთხვევები, როდესაც -ცა ნაწილაკი ერთვის წინადადებაში წარმოდგენილ თითქმის ყველა უარყოფით ნაწილაკს:

„არცა ტანჯვათა, არცა გუემათა, არცა სიყმილმან საპყრობილესა შინა, არცა მახლმან, არცა სიკუდილმან ამათ ჯორცთა ჩემთამან შემძლოს მე განყენებად შენდა, უფალო იესუ ქრისტე“ [ევსტ. 43:27-30].

„მე, ჰეროდე, ვეძიე და ვერ ვპოვე ვერცა ყრმაჲ და ვერცა დედაჲ მისი და არცა იგი ძღუენი“ [მოქც. ქართლ. 127:8-10].

„ანუ ვინ არა სტიროდის მას, რომელსა არცა ჭირი ეხილვა, არცა შიში, არცა მახლი, არცა პყრობილებაჲ ქრისტსტეს?!“ [მუშ. 11:17-9].

-ცა ნაწილაკი ძველ ქართულში და უფრო ხშირად საშუალში დაერთო ზმნასაც: „გინებს გზათა ჩემთა ცნობაჲ გლახაკისა მხევლისა თქუენისათა, და გაუწყოცა“ [მოქც. ქართლ. 105:31-33 S²⁸], შდრ.: გაუწყო C²⁹.

„ვიდრემდის ჰკდეძებოდაცა მძლავრთა მათ“ [აბ. 75:1-2].

„რამეთუ ვისწავეცა ბრძენთ-მთავრისა მის სოლომონის მიერ თქუმული“ [აბ. 47:26].

„სხუათა მათ მამათა ძუალნი ჩემ ზედა დაუსუენენით, რომელ ყვესცა ესრეთ“ [გრიგ. 276:41-42].

„და ჰგონებდაცა უგულისხმოსა შინა გულსა თვსსა“ [დავ. ტირ. 187:4-5].

„ამით გამოსცდიდაცა მათ, რამეთუ აქუნდა მას იჰჳ მათა მიმართ“ [კონსტ. 170:13-14].

მოყვანილ მაგალითებში -ცა ნაწილაკი დაახლოებით იმავეს გამოხატავს ზმნასთან, რასაც სახელებთან („კიდევ, აგრეთვე“). განსაკუთრებით საინტერესოა მისი ტმესის სახით გამოყენების შემთხვევები, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ნაწილაკი ზმნისწინის დართვამდე გამოიყენებოდა ზმნასთან ამ ფუნქციით:

²⁸ S-1141, შატბერდული ვარიანტი (X ს.).

²⁹ H-600 (XIV ს.).

„დასწეულდა სწეულებითა მით, რომლითაცა მო-ცა-კუდა“ [მოქც. ქართლ. 104:27-28 S³⁰]. შდრ.: რომლითაცა შეისუნა C³¹.

-ცა ფუნქციურად უდრის -ვე ნაწილაკსაც. ეს მნიშვნელობა ახლოსაა „აგრეთვე“ მნიშვნელობით გამოყენებასთან (ე. ბაბუნიშვილი 1957:221):

„ვითარცა შენ შემოქმედი შენი უვარ-ჰყავ, ეგრეცა მე შენ შეურაცხ-გყავ“ [შუშნ. 15:10-11 A³²], შდრ.: ეგრეთვე G³³.

„ეგრეცა ჩუენ კაცნი პირმეტყუელნი მათ პირუტყუთა მსგავს ვიყვენით“ [ევსტ. 43:18-19].

„ეგრეცა შენ მცნებათა ღმრთისათა დამტკიცებული ჰგე მარადის“ [გრიგ. 278:34].

„ეგრევე მეორემან და მესამემან და ვიდრე შუდადმდე“ [მ. 22:26 DE]. შდრ.: ეგრეცა C. სახელზე დართვისას ჯერ ბრუნვის ნიშანი დაიწერება და შემდეგ ნაწილაკი. ასევე, თანდებულის დართვისას ბოლო პოზიციაში აღმოჩნდება ნაწილაკი:

„კაცთა მათგანცა ცნა ყოველი“ [გრიგ. 262:2].

„რომელთათვისცა თქუა ნეტარმან გრიგოლ სიტყუაჲ იგი დავითისი“ [გრიგ. 271:1].

„ამისთვისცა ძლევისა გვრგვნითა შეგამკო შენ“ [ახ. 79:4].

-ცა ნაწილაკი დასტურდება ცალკე მდგომ თანდებულებთან:

„და კაცი იგი კეთილი ყავთ განმგე ყოვლისა, ვითარცა-იგი ჩემ მიერცა განმგებელ იყო ყოველთა საჭიროთა სამსახურთა მონასტრისათა“ [ზარზმ. 344:31-32].

„ამას ზედაცა ინება სიხარულითი იგი მშუდობაჲ“ [კონსტ. 167:14-15].

„და ჰურიათა თანცა ბაგინად შევიდი და მათსა-ცა მას მსახურებასა ვხედევდი“ [ევსტ. 35:32-33 H³⁴]. შდრ.: ჰურიათაცა თანა BCDEFGHL.

ყველა შემთხვევაში -ცა ნაწილაკი გავრცობილი ფორმითაა წარმოდგენილი. -ცა ნაწილაკი -ა ხმოვნით დაბოლოებული გვხვდება როგორც ძველ, ასევე ახალ ქართულშიც. ძველი ქართული ენის ჩვენ მიერ შესწავლილ მასალაში გაუვრცობელი ფორმა საერთოდ არ დასტურდება. -ა ხმოვნის მოკვეცა გვიანდელი პროცესია ენაში.

³⁰ S-1141, შატბერდული ვარიანტი (X ს.).

³¹ H-600 (XIV ს.).

³² A-95, პარხლის მრავალთავი (Xს.).

³³ A-832 (XIII-XIV სს.).

³⁴ H-341 (XI ს.).

ა. შანიძე განიხილავს -ცა ნაწილაკის ნაცვალსახელთან „შეზრდილ და შეუზრდელ“ ფორმებს მაშინ, როცა -ცა ნაწილაკთან ერთად -ლა ნაწილაკიც დასტურდება: ვილაცას, ვილასაც, ვისლაც. ასეთ შემთხვევაში ნაწილაკები ან შეხორცებულია ფუძესთან, ან - შეუხორცებელი. შესაძლოა, ბრუნვის ნიშანი ნაწილაკებს შორისაც აღმოჩნდეს (ა. შანიძე 1980:106-107). რამდენიმე ფორმისგან თანამედროვე ქართულში შეხორცებული ვარიანტი დამკვიდრდა. ფორმათა მრავალფეროვნება ენის გამრდამავალი პერიოდისთვისაა დამახასიათებელი.

2.4. -რად ნაცვალსახელი ნაწილაკის ფუნქციით

მიმართებითი ნაწილაკის ფუნქციით ძველ ქართულში სპორადულად გამოიყენებოდა რად ნაცვალსახელიც, რომელიც -იგი, -ესე, -ეგე ნაცვალსახელებსა და -ცა ნაწილაკს ენაცვლებოდა კითხვით სიტყვებთან:

„რაოდენი-რად ყო ღმერთმან მათ თანა“ [საქ. მოც. 15:4].

ე. ბაბუნაშვილის ვარაუდით, რად ნაცვალსახელიც ჩვენებით ნაცვალსახელებს უნდა უკავშირდებოდეს, ისევე როგორც -ც(ა) ნაწილაკი. მეცნიერის მოსაზრებით, სამივე ელემენტს საერთო სწორედ ჩვენებითობა, მისამართი სიტყვის განსაზღვრულობა ახასიათებს. სწორედ ამან განაპირობა მათი ფუნქციური მონაცვლეობა (ე. ბაბუნაშვილი 1957:226-228). -ცა ნაწილაკიანი ფორმების შედარებით იშვიათად გამოყენება ძველ ქართულ ტექსტებში აიხსნება იმით, რომ მწიგნობრულ ენაში ამ ფუნქციით ჩვენებითი ნაცვალსახელი, სპორადულად კი რად უნდა ყოფილიყო გამოყენებული, -ცა ნაწილაკი კი გვიან უნდა შემოჭრილიყო ცოცხალი სასაუბრო მეტყველებიდან. ამითვე უნდა აიხსნას -ცა ნაწილაკიანი სიტყვაზე იგი-ს ან რად-ს დართვა, როგორც ჩანს, „წინადადების მწიგნობრულად გასამართავად“ [ე. ბაბუნაშვილი 1957:228]: *„რომელიცა-რად ჩემგან სარგებელ გეყოს“* [მრ 7:11 C].³⁵

³⁵მაგალითი მოყვანილია ე. ბაბუნაშვილის სტადიიდან „ნაწილაკები ძველ ქართულში“ (ე. ბაბუნაშვილი 1957:228).

III თავი

დადასტურებითი და უარყოფითი ნაწილაკები

3.1. უარყოფითი ნაწილაკები

უარყოფითი სემანტიკის გამოსახატავად ქართულში გამოიყენება ნაწილაკები: არა, ვერ, ნუ. ახალ ქართულში არა და ვერა ნაწილაკები მიგებითი ნაწილაკების ფუნქციითაც გვხვდება, ძველ ქართულში კი მიგებითობა იშვიათად დასტურდება. მიგებითობის ფუნქციით ნაწილაკი ყოველთვის გავრცობილია და მთელ წინადადებას უტოლდება, შინაარსობრივად დამოუკიდებელია, უკუთქმითი ნაწილაკი კი ახლავს ზმნას და ზმნით გამოხატულ მოქმედებას უარყოფს **ნებაყოფილებით, უნებლიეთ ან იძულებით**. სწორედ ამის მიხედვით გამოიყოფა აღნიშნული სამი სახის უკუთქმითი უარყოფითი ნაწილაკი (ა. შანიძე 1976:147; კ. დანელია 1998:109). გავეცნოთ თითოეულს ცალ-ცალკე.

3.1.1. არა უარყოფითი ნაწილაკი

არა ნაწილაკი ორი ფუნქციით გვხვდება ძველ ქართულში:

ა) დაერთვის ზმნის ყველა მწკრივის ფორმას და თხრობით წინადადებაში მარტივად უარყოფს შინაარსს (ა. შანიძე 1976:147; კ. დანელია:1998:109):

„არა დაუტევეს ადგილი წყალობისაჲ“ [გობრ. 173:26-27].

„არა დაწერილ არიან წიგნსა ამას“ [მოქც. ქართლ. 157:16].

„არა დავიწყებულ ყო სიმდაბლჳ ესე ჩემი“ [აბ. 47:10-11].

არის შემთხვევები, როდესაც არა ნაწილაკსა და ზმნას შორის მოქცეულია სხვადასხვა მეტყველების ნაწილი:

„არა მცირედი ჭირი მიაწიეს, რამეთუ იავარ-ყვეს ყოველი ნაყოფი მისი“ [კოლ. ყრმ. 185:17-18].

„და ესრეთ არა ღმერთ არს ცეცხლი იგი“ [ევსტ. 43:13-14].

დასტურდება ტმესის სახითაც:

„თუ სადამე იტყვს მსგავსად სიტყვსა მის, რომელი ჰრქუა ღმერთმან ელის „აღ-
ბოლო არა-ვკოცო კაცი შენი საკურთხეველისაგან ჩემისა“ [გობრ. 175:22-24 B³⁶]. შდრ.:
ალბ~ არა ვხოცო G³⁷.

ბ) არა ნაწილაკი, გარდა თხრობითისა, გვხვდება ბრძანებით წინადადებაში
კავშირებითის მწკრივის ფორმებთან ერთად (როცა სუბიექტი მეორე-მესამე პირშია ან
პირველი პირის მრავლობითში) და უკუთქმით ბრძანებით კილოს გამოხატავს:

„არა დაეტეოს გუამი ჩემი აქა ტფილისს შინა“ [ევსტ. 44:33].

„არა შეირყოს უკუნისამდე ადგილი იგი, რამეთუ არა მეფეთა საჯდომი არს“
[მოქც. ქართლ. 162:19-21].

„არა უნაკლულს იყო შენ პირველთა მათ მაღლითა კურნებისადათა, რომელთა
ვპრწმენე მე [ევსტ. 44:36-37].

გ) არა ნაწილაკი დასტურდება კითხვით წინადადებაშიც:

„არა გიცნობიესა, რამეთუ სიტყუანნი ეგე შენნი მომატყუებელ სიკუდილისა
გექმნებთან შენ?“ [აბ. 70:19-20].

„არა დაგიტევებიეს სიცოფლ იგი და უგუნურებად შენი?“ [აბ. 70:15-16 N³⁸]. შდრ.:
დაგიტევებიესა CE³⁹.

„აწ შენ ნუ დამაყენებ მე, ღმრთის მსახურო, რამეთუ რად მაღლ არს ყოფად ჩემი
აქა, სადა არა არს შიში, არცა სიკუდილი ქრისტესსთვის?“ [აბ. 61:22-23].

„არა მისი განზრდილი ხარა?“ [შუმ. 18:7].

გარკვეულ შემთხვევებში არა ნაწილაკი გამოხატავს განცვიფრებას, როგორც,
მაგალითად, ბოლო მაგალითში და მიიჩნევა განცვიფრების ნაწილაკად (ა. შანიძე
1980:613).

ამდენად, არა ნაწილაკი მონაწილეობს თითქმის ყველა ტიპის მოდალობის
გამომხატველ წინადადებაში და გარკვეული სემანტიკური ნიუანსი შემოაქვს.

ძველ ქართულსა და თანამედროვე ქართულის ზოგ დიალექტში არა უკუთქმითი
ნაწილაკი სრული სახით გამოიყენება, საშუალო ქართულის ადრეული პერიოდიდან, XI-

³⁶ A-130 (1704-1713 წწ.).

³⁷ A-832 (XIII-XIV სს.).

³⁸ A-1109 (IX ს.).

³⁹ C – H-600 (XIV ს.), E – A-833 (XIII-XIV სს.).

XII საუკუნეებიდან, უკვე ხმოვანმოკვეცილი ფორმით გვხვდება. ამავე პერიოდს უკავშირდება არა და ვერ ნაწილაკებს შორის ფუნქციური დიფერენციაციაც. ძველ ქართულში ეს ორი ნაწილაკი ხშირად მონაცვლეობდა ერთსა და იმავე პოზიციაში (ქ. ფეიქრიშვილი 1999:177):

როგორც წესი, ნაწილაკები სხვადასხვა მეტყველების ნაწილების შემადგენლობაშიც გვხვდება და ქმნის კომპოზიტებს. არა ნაწილაკი ხშირად გვხვდება ნაცვალსახელების, კავშირების, ზმნიზედებისა და საკუთრივ ნაწილაკების შემადგენლობაში და ახალ სემანტიკას ქმნის. ეს პროცესი ძველ ქართულშივე იწყება და თანამედროვე ქართულში უკვე დამკვიდრებული სახით გვხვდება. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი ძველი ქართული ენის ორიგინალური ძეგლებიდან (ა. შანიძე 1976:147; კ. დანელია:1998:109):

არა ნაწილაკი ნაცვალსახელების შემადგენლობაში:

„განცხადებულ არს ყოველთათჳს, ვითარმედ არავინ ყო აღწერაჲ იგი წიგნთაჲ“
[კონსტ. 164:6-7].

„რადთა არავინ უდებად მიეხოს მას“ [აბ. 73:19].

„რამეთუ იგი არს, რომელი ჰფარავს და განატფობს და არარაჲ არს, რომელი დაეფაროს სიცხესა მისსა“ [აბ. 55:1-3].

არა ნაწილაკი კავშირების შემადგენლობაში:

„და ჩუენცა ქრისტეანენივე ვიყვენით, არამედ ვერ შეუძლეთ წინა-აღდგომად ბრძანებასა მეფისასა, ამისთჳსცა მოვიგეთ მისგან პატივი“ [კონსტ. 169:14-16].

არა ნაწილაკის არსებობაზე მიუთითებს შ. ძიძიგური მაგრამ და თორემ კავშირების ამოსავალ ფორმათა შემადგენლობაშიც. მეცნიერის მოსაზრებით, ამ კავშირებმა მნიშვნელოვანი ფონეტიკური ევოლუცია განიცადეს და თითოეული რამდენიმე სახით დადასტურდა ენაში (მაგ-არა-მე* > მაგრამე > მაგრამ; თუ არ(ა) > თუარამე* > თუარამ > თუარემ > თვარემ(და) > თორემ) (შ. ძიძიგური 1973:400-407).

კავშირების ფუნქციით გამოიყენება -ცა-ნაწილაკდართული არა ნაწილაკიც, რომელიც ძველი ქართულის ადრეულ ძეგლებში -ცა ნაწილაკის გარეშეც დასტურდება (შ. ძიძიგური 1973:402):

„არა თუ უცხოდაგან თესლისა, არცა ხარჭისაგან შობილი, არამედ ყოვლადვე არაბიელთა თესლი [აბ. 56:14-15].

„ჯოჯიკ, არლარა ჩემი მაზლი ხარ, და არცაღა მე შენი ძმის ცოლი, არცა ცოლი შენი დად ჩემი არს“ [შუშ. 15:23-24].

არა ნაწილაკი ზმნიზედების შემადგენლობაში:

„გეფუცები ქრისტესა, არაოდეს აღმოსრულ არს წყევად პირსა ჩემსა და არცა მას ვსწყევ“ [გრიგ. 299:5-6].

„არასდა ვის ასმია მათგანსა ქებად ქრისტეანეთად“ [მოქც. ქართლ. 103:2-3].

კ. დანელია მიუთითებს არა ნაწილაკის დერივაციულ ფუნქციაზე და მოჰყავს მაგალითები „ვეფხისტყაოსნიდან“ (არ-დავიწყება მოყვრისა, არ-ფიცხელი). ჩვენ მიერ შესწავლილი ემპირიული მასალიდანაც შეგვიძლია მსგავსი ტიპის რამდენიმე მაგალითის მოყვანა:

„ნუ ესავ სასოებასა მაგას არასასოსა“ [კონსტ. 169:11 B].

„ამისვე მიზეზისათვის მეცა არაღირსმან ვინებე მიბაძვად პირველთა მათ“ [კონსტ. 165:7].

„დაუტეოთ აწ არადატეობილი ესე და თქუნდა მოვიქცეთ სიტყუად შეწყნარებულთა ღმრთისათა“ [კონსტ. 171:38-172:1 B⁴⁰]. დატევებული E⁴¹.

„რამეთუ არა-არსნი ესე არსად შევიცვალენით“ [მოქც. ქართლ. 162:31-32].

„და ნანდვლვე ზრახვად ჯორცთა სიკუდილი არს, რამეთუ მაზრახებენ ჩუნ ყოველსა არაწმიდებასა“ [ზედაზნ. 205:32-33].

როგორც ვხედავთ, არა ნაწილაკი საკმაოდ მრავალფუნქციურია და აქტიურად გამოყენება ძველ აქართულშივე. მისი ფუნქციური და სემანტიკური მახასიათებლები შენარჩუნებულია საშუალ და თანამედროვე ქართულშიც.

⁴⁰ A-130 (1704-1713 წწ.).

⁴¹ A-833 (XIII-XIV სს.).

3.1.2. ვერ უარყოფითი ნაწილაკი

ვერ ნაწილაკი გამოხატავს შეუძლებელ მოქმედებას. არა ნაწილაკის მსგავსად, დაერთვის ზმნის ყველა მწკრივის ფორმას და უარყოფითი სემანტიკა შემოაქვს წინადადებაში (ა. შანიძე 1976:147; ვ. დანელია:1998:109):

„ვერ შეუძლო განკურნებად მისი“ [მოქც. ქართლ. 131:14-15].

„ვერ განიკითხეს, ვითარმედ ვინ ხარ“ [აბ. 78:29-30].

„ვერ შემძლებელ ვართ ჩუენ მიწდომად სიმდიდრესა მას სახელისა მისისასა“ [აბ. 52:14-15].

ძველ ქართულში და თანამედროვე ქართულის ზოგ დიალექტში ეს ნაწილაკიც გვხვდება გავრცობილი ფორმით - ვერა:

„უკუეთუ არა მოიქცე მორჩილებად ჩემდა, ვერა რომლითა ღონითა განერე სიკუდილსა“ [გობრ. 182:20-21].

„დაუტევე უგუნურებისა შენისა შჯული, რომლითა ვერა ირგეს მოყუასთა შენთა“ [გობრ. 181:5-6].

„სხუად ღონს ვერა იპოვა“ [გობრ. 178:6].

„ვერად ვცნი, რასა იტყვედ“ [ევსტ. 36:1-2].

ვერ ნაწილაკი დასტურდება დერივაციული ფუნქციით სიტყვების შემადგენლობაში (ვ. დანელია 1998:109):

“რამეთუ ენა-ბრკვნვალ ვარ და ვერ-მეტყუელ“ [ზედაზნ. 192:35-36].

ვერ ნაწილაკი გამოიყენება სხვადასხვა მეტყველების ნაწილების შემადგენლობაშიც (ვ. დანელია 1998:109):

დასტურდება ნაწილაკებთან ერთადაც:

„ვერღარა უძლეს დაწუვად“ [აბ. 73:13-14].

„კუალად წყალთა ვერვე დააყენეს და ვერცა დაშრიტეს“ [აბ. 75:10].

„ვითარცა მოიწია კხოეთას, დაბასა, რომელსა ჰრქვიან ბოდინი, ვერღარა ეძლო სლვად“ [მოქც. ქართლ. 89:26-28].

ნაცვალსახელებთან:

„რამეთუ მზღ ქმნული ღმრთისად არს და თუალნი ვერვინ შეუდგნის, სიმრგულზ მზისად ვერვინ განიცადის“ [ევსტ. 38:22-24].

„ვერვინ განმაშოროს მე ქრისტესგან ვიდრე სულისა ჩემისა ამოსვლამდე“ [ევსტ. 42:25-26].

„ვერვის ძალ-უც მითხრობად ღირსად, არამედ მცირედი ოდენ რადმე ვთქუათ“ [კონსტ. 165:33-34].

„ვერარას ავნებდეს მას“ [კონსტ. 170:15].

ზმნიზედებთან:

არამედ ვერს ადა გამოირჩიეს“ [მოქც. ქართლ. 153:26].

ვერ ნაწილაკი -ცა ნაწილაკთან ერთად გამოიყენება მაჯგუფებელი კავშირის ფუნქციითაც (შ. ძიმიგური 1973:402):

„ვერცა განერნეს სლვად ფერჯნი იგი ჰუნეთა ჩუნეთანი, და ვერცა შეძრა ორასმან კაცმან“ [მოქც. ქართლ. 161:23-26].

“ვერ განიკურნო შენ და ვერცა შვილნი იგი შენნი” [გრიგ. 298:19-20].

აღსანიშნავია ისეთი შემთხვევაც, როდესაც მაჯგუფებელი კავშირის ფუნქციით გამოყენებისას ერთი და იმავე წინადადებაში ვერ ნაწილაკს ენაცვლება არა ნაწილაკი, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს ვერ და არა ნაწილაკების ფუნქციურ სიახლოვეზე. ვნახოთ მაგალითები ჩვენ მიერ შესწავლილი მასალიდან:

„მე, ჰეროდე, ვეძიე და ვერ ვპოვე ვერცა ყმა და ვერცა დედა მისი და არცა იგი ძღუენი“ [მოქც. ქართლ. 127:8-10].

„ვერცა ლოდისა მის დაბეჭდვამან დააყენა და არცა მცველთა მათ განკრძალულებამან“ [მოქც. ქართლ. 112:26-28].

დინამიკური, შესაძლებლობის მოდალური სემანტიკის გამოსახატავად გარკვეულ შემთხვევებში, რომლებშიც თანამედროვე ქართულში არ უარყოფითი ნაწილაკი გამოიყენება, ძველში და ნაწილობრივ საშუალებშიც ვერ დასტურდებოდა (ამ ტიპის მოდალობის გამოსახატავად ნუ გამორიცხულია):

„დავეცი, უფალო.“ ჰრქუა მას უფალმან: „აღდეგ!“ „ვერ შემიძლია, უფალო“ [სწავ. წმ. მამ., 18:44, Titus].

„და რაჟამს მოიწიის ღუარი ძლიერი და ქარი სასტიკი, ვერღარა შეუძლიან თავს-
ლებად მტერისა იგი ბრძოლაჲ“ [მათ. ცხ., 127:18, Titus].

„მიჰსენ მისთა ჯელთაგან მე მუჟაფა სხვა ველა-რა შემბღლია ამისგან კიდე, რომელ
გზისა, რომლისადა დაგიმართებია, დია გმსახურო“ [ამირან., 2:294:25, Titus].

ვფიქრობთ, ობიექტური წყობის შეძლება ზმნის აწმყოს მწკრივის ფორმებთან
სავსებით მოსალოდნელია აღნიშნული მოდალური სემანტიკის გამოსახატავად ვერ
ნაწილაკის გამოყენება, რადგან სხვა მწკრივის ფორმები, ანუ ამ ზმნის უღლების
პარადიგმა, სისტემურად იძლევა ამის საშუალებას (შდრ. სუბიექტური წყობის ვერ
შეგძლებ).

საზოგადოდ, ვფიქრობთ, სამომავლოდ ცალკეა საკვლევი ძველ ქართულში არ და
ვერ უკუთქმითი ნაწილაკების დისტრიბუცია. ამ ეტაპზე ჩვენი ნაშრომის ერთგვარმა
ზოგადმა ხასიათმა არ მოგვცა უშუალოდ ამ საკითხზე კონცენტრაციის საშუალება.

3.1.3. ნუ ნაწილაკი

უკუთქმითი ბრძანებითი კილოს გამოსახატავად ქართულში გამოიყენება ნუ
ნაწილაკი, რომელიც ძველ ქართულში ზმნის აწმყოსა და აწმყოს ხოლმეობითის
მწკრივის ფორმებს დაერთვის, ხოლო საშუალოსა და ახალ ქართულში აწმყოსთან ერთად
მყოფადის წრის მწკრივებთანაც დასტურდება. განსხვავებით არა და ვერ
ნაწილაკებისაგან, ნუ ნაწილაკი კითხვით წინადადებაში იშვიათად გვხვდება, რაზეც
შესაბამის თავში უკვე გვქონდა საუბარი. ნუ ნაწილაკის კითხვითი ფუნქციით
გამოყენება ძველ ქართულ ენაში უცხო ენის გავლენის შედეგი უნდა იყოს (კ. დანელია
1998:109-111).

უკუთქმითი ნაწილაკებს პრეპოზიციული წყობა ახასიათებთ, თუმცა ძველ
ქართულში ნუ ნაწილაკთან გვხვდება შებრუნებული წყობის შემთხვევებიც, რაც
არაბუნებრივია ქართულისათვის. კ. დანელია მას ბერძნული ენის გავლენად მიიჩნევს.
ასევე გავლენის შედეგი უნდა იყოს ნუ ნაწილაკის დამორება ზმნასთან და მათ შორის

სხვა მეტყველების ნაწილის მოთავსება, რაც არ მიიღო ენამ და დაიკარგა (კ. დანელია 1998:109-114):

„**ნუ** ეგევითარი გონებად გიპყრიეს“ [შუმ. 15:16-17].

„**ნუ** ვის თანა იტყვ ძაძისა სამოსელისათვის ცხოვრებასა ჩემსა“ [შუმ. 25:31-32].

„სხუასა **ნუ** ვის უფლიედ ჩუენ თანა შემოსლვად“ [შუმ. 16:22].

„**ნუ** ვის სცემთ მათგანსა თქუენ შორის სამკვდრებელსა“ [კონსტ. 172:25].

„**ნუ** ეგრე შენცა შემძლებელ ხარ ეგევითარისა მსხუერპლისა წარდგინებად წინაშე ღმრთისა“ [გობრ. 183:11-12].

„და მან ამის ზედა ერთი **ნუ** რადმე მოაწიის, ვითარცა აქუს ჩვეულაბად სოფლის მპყრობელთა“ [მოქც. ქართლ. 132:24-27].

ნუ ნაწილაკი დაირთავს -ცა და -და ნაწილაკებსაც: **ნურცა, ნულარა. ნურცა < ნუცა** ფორმისგან მომდინარეობს, რ თანხმოვანი არცა, ვერცა ფორმების ანალოგიით გაჩნდა (ა. შანიძე 1980:610):

„**ნუცა** სიჭაბუკესა შენსა განჰვაჭრი ქრისტეანედ და **ნუცა** ძმათა და ნათესავთა შენთა განეშორებო“ [აბ. 66:14-15].

„**ნულარა** აწყინებ“ [მოქც. ქართლ. 156:25].

გვხვდება ნაცვალსახელებთანაც:

„**ნურას** ეტყვ მას“ [შუმ. 19:16].

„**ნურარად** გგლიან, უტე, მოკუდეს“ [შუმ. 21:24-25].

ნუ ნაწილაკი ხშირად გვხვდება კავშირების შემადგენლობშიც. ბერძნულის გავლენითა და კალკირების გზით ძველი ქართული ენის თარგმანებში და მეტ-ნაკლებად ორიგინალურ ძეგლებშიც ვხვდებით **ნუუკუე** ფორმას, რომელზეც უკვე გვექონდა საუბარი კითხვით ნაწილაკებზე მსჯელობისას. გარდა კითხვითობისა და საექვობისა, **ნუუკუე** და მისი მსგავსი **ნუუმე** ფორმები გვხვდება **ლოგიკური კავშირების** ფუნქციითაც, რაც ასევე ბერძნულის გავლენა უნდა იყოს. ორივე მათგანში უგულებელყოფილია უარყოფითობის სემანტიკა, რომელიც **ნუ** ნაწილაკისთვისაა დამახასიათებელი. ამ ვითარებას დ. მელიქიშვილი იოანე პეტრიწის ენაზე დაკვირვებით შეისწავლის და ასკვნის, რომ **ნუუმე**-ს შესატყვისი ბერძნულში იმ ორ მნიშვნელობას გამოხატავს, რომლებსაც თარგმანებში ითავსებს **ნუუმე**: 1.იქნებ, ეგების

და 2. ამგვარად, მაშასადამე. ამავე ფუნქციებით გვხვდება **ნუუკუეც**, თუმცა, როგორც უკვე ითქვა, **ნუუკუე** ბევრად მრავალფეროვანია ფუნქციური თვალსაზრისით ძველ ქართულში, **ნუუმე** კი შედარებით შეზღუდული გამოყენებისაა (დ. მელიქიშვილი 1984:99-105).

უარყოფითი ნაწილაკები, ისევე როგორც სხვა ნაწილაკები თუ მეტყველების სხვადასხვა ნაწილი, ხშირად გვხვდება **ტმესის** სახით ძველ ქართულში. ამ საკითხს საგანგრებოდ ეხება თ. გვანცელაძე იბერიულ-კავკასიურ ენებში უარყოფის გამოხატვის პრინციპთა შესწავლის დროს. ავტორი წარმოადგენს მასალას, რომლის მიხედვითაც, ტმესის სახით სამივე უკუთქმითი ნაწილაკია (არ, ვერ, ნუ) წარმოდგენილი. ავტორს უარყოფის გამოხატვის ტმესისებური წარმოება აღწერთი წარმოების შემდგომ მოვლენად მიაჩნია. მეცნიერის მოსაზრებით, უარყოფითი ნაწილაკები თავდაპირველად დამოუკიდებელი სიტყვები უნდა ყოფილიყვნენ. ზმნასთან ახლო და ხშირი ურთიერთობის გამო დროთა განმავლობაში მჭიდროდ დაუკავშირდნენ მას. „*უარყოფითი ნაწილაკები ზმნისწინებზე ადრე უნდა შეხორცებოდნენ ზმნას*“ [თ. გვანცელაძე 1998:210-217]. საშუალო ქართულში, კერძოდ, XI-XII საუკუნეებიდან უკვე იწყება ტმესის მოშლა და ნაწილაკები მხოლოდ ხელოვნურად, არქაული ფორმითაა შენარჩუნებული ამ სახით მომდევნო ხანის ტექსტებში.

ძველ ქართულს, ახალი ქართულისგან განსხვავებით, ორმაგი უარყოფა არ ახასიათებს. ამგვარი კონსტრუქციები საშუალო ქართულიდან შემოდის ენაში და ახალ ქართულში უკვე ფართოდაა გავრცელებული (ა. შანიძე 1953; ვ. თოფურია 2002; მ. გობიანიძე 2018...). ჩვენ მიერ შესწავლილ ძეგლებში ორმაგი უარყოფის არცერთი შემთხვევა არ დასტურდება.

ამრიგად, უარყოფითი მიგებითი და უკუთქმითი ნაწილაკები ენის განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მნიშვნელოვან ცვლილებებს არ განიცდის. თანამედროვე ქართულში თითქმის იგივე მოცემულობა გვაქვს, რაც ძველი და საშუალო ქართულისათვის იყო დამახასიათებელი. ისინი არც მკვეთრი დიალექტური სახესახვაობებით ხასიათდება. ქართველურ ენებში მოიპოვება შესაბამისი შესატყვისობები. გარდა ფორმობრივი ერთგვაროვნებისა, ფუნქციური

თვალსაზრისითაც მყარია როგორც სინქრონიულ, ასევე დიაქრონიულ დონეზე, როდესაც უკვე მოხდა დიფერენციაცია არა და ვერა ნაწილაკებისა.

3.2. დადასტურებითი ნაწილაკები

მიგებითი ნაწილაკების მეორე ჯგუფს ქმნიან დადასტურებითი ნაწილაკები. ისინი, როგორც უარყოფითი ნაწილაკები, დაახლოებით ისეთსავე ვითარებას გვიჩვენებენ დღეს, როგორც ძველ ქართულში იყო. თითოეული მათგანი გარკვეული ფაქტის, მოვლენის დადასტურებას გამოხატავს და ხშირად უტოლდება მთელ წინადადებას. ახალ ქართულში დადასტურებითი ნაწილაკებია: **ჰო**, **კი**, **დიახ** (დიალ)⁴² (ა.შანიძე 1980:610). **ჰო** ნაწილაკის ფონეტიკურ ვარიანტად თანამედროვე ქართულში გვხვდება **ხო** ნაწილაკი, განსაკუთრებით ცოცხალ მეტყველებაში. **დიახ** მიგებითი ნაწილაკი კი, ა. შანიძის მოსაზრებით, **დიალ** ფორმისგან მომდინარეობს. საკუთრივ **დიალ** ფორმა კი მიღებული უნდა იყოს **დია ღმერთო** სიტყვების გაერთიანებით და ნიშნავდა „მეტად“ (ა.შანიძე 1980:610).

ძველ ქართულში დადასტურებითი ნაწილაკის ფუნქციით გამოიყენებოდა ოდენ **ჰე** ნაწილაკი (ა. შანიძე 1976:147; ზ. სარჯველაძე 1997:161). თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენისათვის **ჰე** ნაწილაკი დამახასიათებელი აღარ არის. დიალექტებში ის სხვადასხვა შინაარსით, ძირითადად, **შორისდებულის** ფუნქციით გამოიყენება. საზოგადოდ, ძველ ქართულში დადასტურებითობის გამოხატვა **ჰე** ნაწილაკს იშვიათად ეკისრება. ჩვენ მიერ შესწავლილ მასალაშიც ეს ნაწილაკი საკმაოდ იშვიათად (ოთხჯერ) დასტურდება, ძირითადად, გამეორებით:

„ხოლო წმიდამან შუშანიკ თქუა: „მე ამას მხიარულ ვარ, რადთა აქა ვიტანჯო და მუნ განვისუნო“. ხოლო პიტიახშმან ჰრქუა მას: „ჰე, ჰე, განისუნენ!“ [შუმ. 21:12-14].

„და თქუა მეფემან: „ჰე, ჰე, ესრე“ [მოქც. ქართლ. 121:34].

„ხოლო წმიდამან ნინო ჰრქუა: „ჰე, მეფე, -იტყვს, თუ – ნუ ეძებ გამოუძებნელსა და ნუ განსცდი გამოუცდელსა“ [მოქც. ქართლ. 149:28-30].

⁴² ა. შანიძე ასახელებს ამ ფორმასაც, თუმცა დღეს ის, ფაქტობრივად, აღარ გამოიყენება.

დადასტურებითი და უარყოფითი ნაწილაკები არ მიეკუთვნება ენის ცვალებად დონეებს. ეს ფორმები იმდენად გავრცელებული და დამკვიდრებულია ენაში, რომ თითოეული მათგანის მნიშვნელობა და ფუნქცია ცალსახად ნათელი და გამჭვირვალეა ენის განვითარების ყველა ეტაპზე. შეიძლება ითქვას, მიგებითი და უკუთქმითი უარყოფითი ნაწილაკები ყველაზე მოწესრიგებული ჯგუფებია ნაწილაკთა სისტემაში.

IV თავი

შესაძლებლობა-დაექვების გამომხატველი ნაწილაკები

4.1. ხოლო, ხოლოთუ // თუ ხოლო, ხოლოთუ ვითარ, გინც ხოლოთუ, ჰელამეთუ, ჰეთუმცა... შესაძლებლობა-დაექვების ნაწილაკები

შესაძლებლობის, დაექვების მოდალობას ძველ ქართულში რამდენიმე ნაწილაკი ან ნაწილაკთა კომპლექსი გამოხატავდა. დაექვების გამომხატველ უცხოენოვან (ბერძნულ თუ სომხურ) ნაწილაკებს ქართულში შემდეგი მოდალური ელემენტები შეესატყვისებოდა: **ხოლო, ხოლოთუ, თუ ხოლო, ხოლოთუ ვითარ, გინც ხოლოთუ**, რომელთა მნიშვნელობაა „ეგების, იქნებ, შეიძლება“.

დაექვების ნაწილაკის ძირითადი კომპონენტია **ხოლო**, რომელსაც ემატება **თუ** პრობითი კავშირი: **ხოლოთუ**. ეს უკანასკნელი შესაძლოა ასევე გართულდეს **ვითარ, გინც** (იშვიათად) ელემენტებით. თითოეული კიდეც უფრო აძლიერებს დაექვების სემანტიკას (უ. ცინდელიანი 1981:30). უძველეს ნუსხებში ამ ფუნქციით, ფაქტობრივად, დასტურდება **ხოლო // თუ ხოლო** ნაწილაკები, ხოლო უფრო გვიანდელ ნუსხებში აღნიშნულ ნაწილაკებს ემატება: **გინც, გინა, ვითარ** (ხოლოთუ ვითარ, გინც ხოლოთუ) ან გამოიყენება: **უკუეთუ, თუ, -ძი...**

ზემოაღნიშნული ნაწილაკების გვერდით გამოიყენება **ჰელამეთუ, ჰეთუმცა** ნაწილაკებიც, რომლებიც ასევე დაექვებას გამოხატავენ, თუმცა შედარებით იშვიათი გამოყენებისაა, შეუსაბამო ჩანს ქართული ენის ბუნებისათვის და ბუნდოვანების გამო მალევე იკარგება (უ. ცინდელიანი 1981:30). ჩვენ მიერ შესწავლილ ძეგლებში **ჰელამეთუ** ერთადერთ შემთხვევაში დასტურდება და ისიც სადავო ფორმაა, რამდენადაც ი. აბულაძის ჩვენს ხელთ არსებული გამოცემის მიხედვით **ჰელამეთუ** იყოფა შემდეგნაირად: **ჰე, ღამე თუ**. ასევეა შეტანილი ელექტრონულ რესურსებშიც (TITUS, GNC). ამგვარი დაყოფა დაექვების სემანტიკის გამოხატვის შესაძლებლობას, ცხადია, ვერ მოგვცემდა. აღნიშნულ შემთხვევას „დამახინჯებულ წაკითხვად“ მიიჩნევს უ. ცინდელიანი და ასაბუთებს **ჰელამეთუ** ფორმის დაექვების ფუნქციით გამოყენებას. ავტორი ყურადღებას ამახვილებს დაექვების გამოხატვის პლეონასტურ შესიტყვებაზე,

როდესაც დაექვების სემანტიკის გამოსახატავად ნაწილაკი ვერ აღმოჩნდა საკმარისი და გამოიყენა რაღათა კავშირი. ამ შემთხვევაშიც დაექვების ნაწილაკის სემანტიკის გაბუნდოვანებასთან გვაქვს საქმე (უ. ცინდელიანი 1981:38-39):

„სალბუნი და წამალი დაგდვა, რაღათა ჰე, ღამე თუ განიკურნო“ [შუმ. 18:13-14].

კონტექსტიდან გამომდინარე ნათელი ხდება, რომ ჰელამეთუ სწორედ დაექვების ნაწილაკია „შუმანიკის წამების“ მოცემულ მონაკვეთში და მართლაც არასწორ ამოკითხვასთან გვაქვს საქმე.

ჩვენ მიერ შესწავლილ მასალაში **ხოლო თუ** კომპლექსი არა დაექვების, არამედ მისი პირველადი, ბუნებრივი სემანტიკის გამომხატველი ფუნქციით დადასტურდა, კერძოდ, **ხოლო** ძირითად შემთხვევაში გამორიცხვითი ან შეზღუდვითი ნაწილაკია („მხოლოდ, მარტო“), **თუ** კი ნაწილაკური წარმოშობის კავშირი, რომელსაც პირობითობა შეაქვს წინადადებაში (შ. ძიძგური 1973:408-410; უ. ცინდელიანი 1981:30):

„ჩუენი არა ხოლო თუ დედოფალი ოდენ იყავ, არამედ ჩუენ ყოველთა ვითარცა შვილთა გუხედევდ“ [შუმ. 14:1-2 A].

„არა ხოლო თუ ტანჯვად განმზადებულ ვარ ქრისტეს სიყუარულისათვს, არამედ სიკუდიდ-ცა თავი ჩემი არა მეწყალის“ [აბ. 32:3-5 N].

„არა ხოლო თუ კაცნი ოდენ ჰხედვიდეს მას ნავთ-საყუდელად, არამედ ნადირნი-ცა ველისანი“ [გრიგ. 301:28-29 J].

ჩვენი მასალის მიხედვით, ეს სემანტიკა **ხოლო** ნაწილაკს ძირითადად **თუ**-სთან კომბინაციაში აქვს უარყოფით წინადადებაში, როცა ზმნა თხრობითი კილოს გამომხატველია. თუმცა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების“ რამდენიმე მაგალითში **თუ**-ს გარეშეც დასტურდება მსგავს უარყოფით წინადადებაში:

„და ამან დაიმარხა ჭემმარტი ქალწულებად არა ხოლო ჯორცითა ოდენ, არამედ სულთა და სიტყვთა, სასმენელითა და თუალითა“ [გრიგ. 284:17-18].

„ხოლო შრომად დიდად უყუარდა არა ხოლო ლოცვისა და ნმარხვისა ოდენ, არამედ დღე და ღამე ჯხელითა თვსითა იქმოდა“ [გრიგ. 308:10-12].

„ყოლად უბრალოებად არა ხოლო საქმით, არამედ გონებითიცა და სიტყვთა“ [გრიგ. 251:38-39].

დადებით წინადადებაში **ხოლო** ამ ფუნქციას ვერ ასრულებს. **ხოლო** თუ კომბინაცია არა ნაწილაკის გარეშე დასტურდება ორ შემთხვევაში, როდესაც **ხოლო** და **თუ** ცალ-ცალკე ოდენობებია, კერძოდ, კავშირები:

„**ხოლო** თუ უნდეს ღმერთსა, ადრე იქმნას განქარვებად მათი“ [ზარზ. 337:7-8].

„**ხოლო** თუ განჰმარტნე სასმენელნი შენნი და გულს-მოდგინედ ისმენდე, მეცა უწყინოდ ყოველი გითხრა და გაგაცნო შენ“ [ევსტ. 36:21-23].

ხოლო „მხოლოდ“ ნაწილაკის მნიშვნელობით ხშირად დასტურდება „გარნა“ ფორმასთან ერთად. ასეთ შემთხვევაში ორმაგ, სინონიმურ ფუნქციონირებასთან გვაქვს საქმე (ვ. დანელია 1998:113):

არა საქმარ არს მისსა ბრწყინვალებად სანთლისად, გარნა მრუმეთათჳს **ხოლო** [გრიგ. 273:1-2].

ძალზე იშვიათად **ხოლო** დასტურდება დაექვების, შესაძლებლობის გამომხატველ წინადადებაში და ნიშნავს „ეგებ, იქნებ“:

„წარვიდე ოპიზას და მსწრაფლ **ხოლო** მივიდე მათა ჩემთა თანა, რომელ დაუტევენ მუნ [გრიგ. 255:7-8]. „იქნებ სწრაფად მივიდე“,

„მსწრაფლ **ხოლო** მივიდეს ამბა გიორგისა, ოპიზის წინამძღურისა“ [გრიგ 255:12].

„თუ სადა-მე იტყვს მსგავსად სიტყვსა მის, რომელი ჰრქუა ღმერთმან ელის „აღ-**ხოლო** არა-ვკოცო კაცი შენი საკურთხეველისაგან ჩემისა, რადთა ხედვიდეს და ეჭუებოდის, და რადთა ესენი-ცა ხედვიდენ და ეჭუებოდის“ [გობრ. 175:22-25].

ჩვენი მასალის მიხედვით, **ხოლო**-ს ამ ფუნქციით გამოყენებისას ზმნა კავშირებითის მწკრივის ფორმითაა წარმოდგენილი და კავშირებითი კილოს გამომხატველია: „იქნებ/ეგებ მივიდე“.

დაექვების ნაწილაკებს შეესაბამება ვინ იცის, ვინ უწყის შესიტყვებები (ჩართული) ცალკე ან ნაწილაკებთან ერთად (ვინ უწყის... ხოლოთუ, ვინ უწყის... თუ და სხვ.) (უ. ცინდელიანი 1981:33). სწორედ ეს საშუალებაა გამოყენებული აქტიურად დაექვების სემანტიკის გამოსახატავად ძველი ქართული ორიგინალური ლიტერატურის ჩვენ მიერ შესწავლილ ძეგლებში:

„ვინ უწყის, თუ მუნ კეთილსა რას-მე შევემთხვო და ბოროტსა ამას განვერე“ [შუმ. 24:4-5].

„ვინ უწყის, თუ ადგილი-ცა იცოდენ“ [მოქც. ქართლ. 87:15-16].

„ხოლო საუკუნესა მას ცხორებასა, ვინ უწყის, რად უმჯობეს არს!“ [კონსტ. 169:16-17].

როგორც ცნობილია, ძველ ქართულში დაექვების სემანტიკის გასაძლიერებლად ორმაგი წარმოებაც დასტურდება, თუმცა ამ შემთხვევაში ერთ-ერთი საშუალების შინაარსის გაბუნდოვანებასთან გვაქვს საქმე (ვინ უწყის ხოლოთუ, რადთა ნუთუ, რადთა ნუუკუე ვითარ და სხვ.) (უ. ცინდელიანი 1981:33-35). მოცემულ მაგალითებშიც შეგვიძლია ვივარაუდოთ ორმაგი გამოყენება, რამდენადაც **თუ** კავშირი გარკვეულ შემთხვევებში (I-II მაგალითებში) დაექვების ნაწილაკის ფუნქციითაა გამოყენებული.

თარგმანებში დაექვების მნიშვნელობით ხშირად გვხვდება მიზნის კავშირი **რადთა**, რომელსაც უცხო წყაროში დაექვების ნაწილაკები შეესატყვისება. ფაქტია, რომ ძველ ქართულში გავლენის შედეგად დაექვებას კავშირებიც გამოხატავენ. დროთა განმავლობაში ეს პროცესი სულ უფრო ხშირდება და დაექვების სემანტიკა კიდევ უფრო ძლიერდება ამ და სხვა კავშირებში, რომლებიც ნაწილაკთა შემადგენლობაში აღმოჩნდნენ.

4.2. -ძი ნაწილაკი

-ძი ნაწილაკი იშვიათად გამოიყენება ქართულში. გვხვდება VIII-XVIII საუკუნეების ძეგლებში. ვ. თოფურიას მოსაზრებით, -ძი ნაწილაკი მეორეულია, მომდინარეობს -დი ელემენტისაგან, რომელიც გამოხატავს როგორობას, შესაძლებლობას. ქართველურ ენათაგან შესატყვისი დასტურდება სვანურში, ესაა -დო (<დი*), რომელიც **თუ** კავშირს ნიშნავს, ის სრულიად შეესაბამება ქართულ -ძი ნაწილაკს. ფონეტიკური შესატყვისობაც ბუნებრივია, რადგან ვიცით დ > ძ (დევს > ძევს) პროცესი. სწორედ ამ პროცესის შედეგად მიღებული ჩანს ძველ ქართულში -ძი ნაწილაკიც. -ძი ნაწილაკს **თუ** კავშირი შეესაბამება სომხურშიც. ამიტომაც თარგმანებში -ძი ნაწილს ხშირად **თუ** კავშირი შეესატყვისება: ვინძი, რაძი, ნეტარძი - თუ ვინ, თუ რა, ნეტარ თუ. ამგვარმა ფუნქციურიმა სიახლოვემ განაპირობა სწორედ -ძი ნაწილაკის

სომხურად მიჩნევა, რაც საექვო უნდა იყოს ქართული რეალობისათვის (ვ. თოფურია 1944:171-175).

ჩვენ მიერ შესწავლილ ძეგლებში **-ძი** ნაწილაკის გამოყენების ერთადერთი შემთხვევა დასტურდება XII საუკუნის ხელნაწერში:

“*ისმინე, ჰსძინავს-ძი ანუ ჰღვძავს*” [გრიგ. 294:13 J⁴³].

ორიგინალურ ძეგლებში აღნიშნული **-ძი** ნაწილაკის იშვიათად გამოყენება კიდევ ერთხელ ადასტურებს მის არაქართულ ბუნებასა და წარმომავლობას. სვანური **-დო** ელემენტის შესატყვისობა ვერ იქნება საკმარისი ნაწილაკის საერთოქართველურობის დასადასტურებლად, ვინაიდან ტექსტები სრულიად საპირისპირო ვითარებას გვიჩვენებს. ფაქტია, რომ დაექვების ნაწილაკები იშვიათად ახასიათებდა ძველ ქართულს, მოგვიანო პერიოდში განვითარებული მოვლენაა, როდესაც თარგმნითი პროცესები აქტიურდება ენაში. ადრეულ ძეგლებშიც სწორედ თარგმანების გზით შემოდის. დროთა განმავლობაში აღწერითი წარმოება დაექვების სემანტიკის გამოსახატავად ორგანულმა შეცვალა, თუმცა ეს პროცესი ხანგრძლივად მიმდინარეობდა ენაში საშუალებათა მრავალფეროვნებიდან გამომდინარე (ვ. თოფურია 1944:171).

დაექვების სემანტიკის გამომხატველი „იქნებ“, „ეგებ“ ნაწილაკები საშუალო ქართულში ყალიბდება. ორივერ მათგანი ზმნური წარმომავლობისაა და მოდალური ნაწილაკის ფუნქციით მკვიდრება ენაში.

ეგებ/ეგების მოდალური ნაწილაკი ქართულში **გება** ზმნის აწმყოს ფორმით დამკვიდრდა. ძველ ქართულში ნაწილაკად ჩამოყალიბებამდე და ჩამოყალიბების პროცესშიც **ეგებ** ზმნური ფუნქციით ხშირად გამოიყენებოდა მასდართან, რამაც ხელი შეუწყო მის ნაწილაკურ ელემენტად ჩამოყალიბებას. დროთა განმავლობაში დაკარგა ზმნური ფუნქციები და მოდალურ ელემენტად დამკვიდრდა. **ეგების** ზმნა არქაული ფორმით დღემდე გვხვდება თანამედროვე ქართულში, გამოხატავს სასურველ ან აუცილებელ მოქმედებას, თუმცა იშვიათი გამოყენებისაა - მხოლოდ **არ** ნაწილაკთან ერთად დასტურდება: **არ ეგების. ეგების > ეგება** ფორმების მონაცვლეობას ნ. შარაშენიძე ხსნის ვნებითი გვარის **-ებ** თემისნიშნის ზმნების დაბოლოების ცვლით. **ეგებ**

⁴³ Jer N2 (XII ს.).

ნაწილაკი, XV საუკუნიდან იჩენს თავს ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ნაშრომში „სამკურნალო წიგნი კარაბადინი“. მეცნიერის ვარაუდით, ზეპირ მეტყველებაში უკვე XIV საუკუნეში იქნებოდა გავრცელებული. ნაწილაკის ფუნქციით მკვიდრდება უპირისპირი ფორმა - ეგები და შემდეგ იკარგება ხმოვანიც. როგორც ნაწილაკური, ასევე ზმნური ფუნქციით გამოიყენება ეგება ფორმაც, თუმცა ნაწილაკად გამოყენების დროს ამ შემთხვევაშიც ბოლო ხმოვნის ცვეთასთან გვაქვს საქმე (ნ. შარაშენიძე 2001:148-250).

ეგებ ნაწილაკის ფუნქცია - შესაძლებლობის გამოხატვა დაკავშირებულია საკუთრივ ზმნის სემანტიკასთან. მოდალურ ნაწილაკად ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა მისი მნიშვნელობა. მეცნიერ ზ. სარჯველადის თქმით, **ეგებ** მოდალური ელემენტის საშუალებით ქართულში გამოიკვეთა შესაძლებლობის კილოს გამოხატვის ტენდენცია (ბ. ჯორბენაძე 1993:268).

ეგებ ნაწილაკის მნიშვნელობით ქართულში ხშირად გამოიყენება **იქნებ** ნაწილაკი. შეიძლება ითაქვას, თანამედროვე ქართულში **იქნებ** ფორმა მეტად გავრცელებულია, სავარაუდოდ, ახლებურობიდან გამომდინარე. ნ. შარაშენიძის მოსაზრებით, **იქნებ** ნაწილაკის ფუნქციით მხოლოდ XVII საუკუნიდან გვხვდება, თუმცა ნაწილაკის ადრეულობასაც ვარაუდობს და **ეგებ** ნაწილაკის თანადროულად მიიჩნევს, დაახლოებით XIV-XV საუკუნეებიდან. ნაწილაკად ჩამოყალიბების პარალელურად განაგრძობს ზმნური ფორმით არსებობასაც. ამოსავალი სემანტიკა იგრძნობა მოდალურ ელემენტად ფუნქციონირების დროსაც. არქაული ფორმა **იქნების** იშვიათად მაგრამ მაინც გამოიყენება **ეგების** ნაწილაკის მსგავსად მხოლოდ არ ნაწილაკთან ერთად გვხვდება. **-ებ** თემისნიშნის ვნებითის დაბოლოების ცვლილება, ცხადია ამ ზმნასაც შეეხო, თუმცა ეს ცვლილება, სავარაუდოდ, მოდალური ელემენტის ჩამოყალიბების შემდეგ უნდა მომხდარიყო, რამდენადაც ნაწილაკად დაბოლოებაშეუცვლელი ფორმებიც გამოიყენება. როდესაც ზმნამ შეიცვალა დაბოლოება, იგივე პროცესები წარიმართა ნაწილაკთანაც. შემდეგ ბოლოკიდური ა ხმოვნის დაკარგვით მივიღეთ **იქნებ** მოდალური ნაწილაკი (1999:87-90).

ამრიგად, შესაძლებლობა-დაეჭვების სემანტიკის გამოხატვა ძველ ქართულში იწყება და ყალიბდება საშუალო ქართულში. გარდამავალ პროცესებში ენა მიმართავს

სხვადასხვა სამუალებებს ამ ფუნქციის გამოსახატავად, რაც ფორმოზრივი და ფუნქციური თვალსაზრისით მრავალფეროვან სურათს იძლევა. ფაქტია, რომ ქართული ენისათვის ბუნებრივია აღნიშნული სემანტიკის გამოხატვა სხვადასხვაგვარი ელემენტებით და არ გვაქვს საქმე მხოლოდ უცხოენოვან გავლენასთან.

V თავი

სხვათა სიტყვის ნაწილაკები

სხვათა სიტყვა არის ისეთი წინადადება, ფრაზა ან ცალკეული სიტყვა, რომელიც სხვისი ნათქვამის სახით არის ტექსტში ჩართული და ხშირ შემთხვევაში მითითებულია ავტორი. სხვათა სიტყვის გადმოცემის **სამგვარი** საშუალება არსებობს ქართულში. პირველ შემთხვევაში ავტორი უცვლელად იმეორებს სხვათა სიტყვებს. ამგვარ ფორმას **პირდაპირი** ნათქვამი ეწოდება. როდესაც ავტორი სხვათა სიტყვებს სახეს უცვლის და თავისი ნათქვამის ნაწილად აქცევს, **ირიბ** ნათქვამთან გვაქვს საქმე. არსებობს ირიბი ნათქვამის გამოხატვის ორი სახე - **კავშირიანი** და **ნაწილაკიანი** (ა. არაბული 2008:172). ჩვენთვის საინტერესოა ნაწილაკიანი წარმოების შემთხვევები.

ქართული ენისათვის დამახასიათებელია სხვათა სიტყვის გადმოცემის **სამგვარი** საშუალება. თითოეული სხვათა სიტყვის ავტორის პირის მიხედვით ნაწილდება და შესაბამისად ერთვის სათანადო ნაწილაკები: **-მეთქი**, **-თქო** (<თქუა) და **-ო**. ძველი ქართულისთვის ზ. სარჯველაძე ასახელებს სხვათა სიტყვის სამ ნაწილაკს: **-ო**, **-მეთქი**, **-თქუა** (ზ. სარჯველაძე 1997:161), ა. შანიძე კი „ძველი ქართული ენის გრამატიკაში“ უთითებს მხოლოდ ერთს - **-ო** ნაწილაკს (ა. შანიძე 1976:149).

როგორც ცნობილია, **-მეთქი** მიღებულია ორი სიტყვის შეერთებით: მე ვთქვი. ის პირველი პირის ნათქვამს ან განაზრახი სიტყვების განმეორებას წარმოადგენს, ანუ ამ შემთხვევაში ავტორი საკუთარსავე სიტყვებს იმოწმებს, შესაბამისად, ნაწილაკის ძირეული ფორმაც პირველი პირის ზმნურ ფორმას და პირველი პირის ნაცვალსახელს შეიცავს (ა. შანიძე 1980:610).

-თქო ნაწილაკით გადმოცემულ სხვათა სიტყვას გადმოსცემს მეორე პირი, რომელიც პირველმა პირმა გადასცა მესამე პირისათვის. ა. შანიძის თქმით, ეს ნაწილაკი წარმოადგენს წყვეტილის მესამე პირის ფორმას - **თქუა**, **-ო** მიღებულია **უა** ჯგუფის შერწყმით (ა. შანიძე 1980:610). არქაული ფორმა ფონეტიკური სახეცვლილებით დღემდე ფუნქციონირებს დიალექტებში. **-თქვა** ნაწილაკთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა საენათმეცნიერო ლიტერატურაში. მეცნიერთა ნაწილი (ა. შანიძე, ჟ. ფეიქრიშვილი) **-თქვა** ნაწილაკს სალიტერატურო ენის კუთვნილებად მიიჩნევს და **-თქო-**

ს გვერდით აყენებს, ხოლო ნაწილისთვის (ა. არაბული, ლ. კვაჭაძე) აღნიშნული ნაწილაკი დიალექტურია და **-თქო**-ს პარალელურ ფორმად არ უნდა მივიჩნიოთ. რამდენადაც **-თქვა** ფორმა მხოლოდ გარკვეული დიალექტური წრისთვის არის დამახასიათებელი და, ამასთანავე, თანამედროვე სალიტერატურო ენას მოეპოვება იმავე ფუნქციის ნაწილაკი, **-თქვა** ნაწილაკის დამკვიდრება სამწერლობო ენაში აუცილებლობას აღარ წარმოადგენს.

ჩვენ მიერ შესწავლილ ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში **-მეთქი** ნაწილაკი ვერ დავადასტურეთ. არც კორპუსულმა კვლევამ გამოავლინა ის ძველი ქართულის სხვა ტექსტებში. **-თქუა** ნაწილაკის არსებობა უკვე სავარაუდოა ენის განვითარების ამ დონისთვის (**-თქო** (< **-თქვა**) საშუალო ქართულიდან მკვიდრდება, კორპუსის მიხედვითაც). მართალია, იგი ვერ დავადასტურეთ ჩვენს ემპირიულ მასალაში, მაგრამ, კორპუსის მიხედვით, დასტურდება ტექსტში „მამათა სწავლანი“, რომლის ხელნაწერები X-XI საუკუნეებისაა:

*„და ამის გამო ვერ შემძლებელ ვარი ძლევად მისა, მიუგე და არქუ მას: ესე ყოველი მიზეზი არს-**თქუა**...“* [მამ. სწავ. 81:25 Titus].

საზოგადოდ, ძველ ქართულს სხვათა სიტყვის ნაწილაკები იშვიათად ახასიათებს. ჩვენ მიერ შესწავლილ ორიგინალურ ლიტერატურაში ოდენ მესამე პირის ნათქვამის გადმოსაცემად გამოყენებულ **-ო** ნაწილაკს ვხვდებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ უფრო ვემხრობით ა. შანიძეს, რომელიც ძველი ქართულისთვის ოდენ **-ო** ნაწილაკის არსებობას უთითებს (თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, **-თქუა** ნაწილაკი უკვე სავარაუდოა).

როგორც ცნობილია, **-ო** ნაწილაკი გამოიყენება მესამე პირის ნათქვამის გადმოსაცემად. ასევე გამოიყენება I და II პირთა ნათქვამის გადმოსაცემად, როდესაც პირი მრავლობით რიცხვში დგას. თანამედროვე ქართულში ხშირად გვხვდება ანდაზებში. ლექსებში **-ო** ნაწილაკი ა. შანიძეს პროსოდიულ ხმოვნად მიაჩნია (ა. შანიძე 1980:610).

მართალია, საენათმეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ სხვათა სიტყვის ნაწილაკები ძველ ქართულს იშვიათად ახასიათებს და ეს ფორმები მხოლოდ საშუალო ან ახალი ქართული ენის მასალებზე დაყრდნობითაა შესწავლილი, მაგრამ **-ო**

ნაწილაკის შემთხვევაში, ჩვენი აზრით, ამის გაზიარება გაჭირდება. ჩვენ მიერ შესწავლილი ტექსტების მიხედვით, საკმაოდ ხშირია მისი გამოყენება ძველი ქართულის ადრეულ ძეგლებშიც. აქვე დავძენთ იმასაც, რომ არცერთ შემთხვევაში მცდარი ფორმით გამოყენება -ო ნაწილაკისა არ დასტურდება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდის (V-X სს.) ენაში უკვე კარგად იყო ჩამოყალიბებული მესამე პირის მიერ ნათქვამის განმეორებით გამოსახატავი ნაწილაკის ფუნქციონირება. ვნახოთ რამდენიმე მაგალითი:

„წერილ არს: შვილი ურჩი წარსაწყმედელსა მიეცესო, უდარჯსსა შენსა ნუ გამოეძიებო და უძლიერჯსსა შანსა ნუ განიკითხავო“ [აბ. 47:17-20].

„მოგუესმა აქა, ვითარმედ სპარსთა იერუსალჴში დაიპყრესო“ [მოქც. ქართლ. 126:13-15].

„ისმა ჴმაჲ ძლიერად, მირეან მეფჴ შეიპყრესო“ [მოქც. ქართლ. 140:20-21].

„იტყოდეს, რამეთუ აჴა ესერა წარვწყმედებითო“ [მოქც. ქართლ. 112:1-2]

„ჩუენსა რჩეულსაცა ჴგმობს და ჩუენ გუაგინებს და იტყვს, ვითარმედ მე ქრისტეანი ვარო“ [ევსტ. 31:4-5].

„რომელმან არა აღიაროს მამული რჩული, საპყრობილესა შინა მოკუედიწო“ [ევსტ. 33:11-12].

როგორც წესი, -ო ნაწილაკი წინადადების ბოლოშია მოქცეული, თუმცა არის საპირისპირო შემთხვევებიც, როდესაც წინადადების შუაშიც ვხვდებით:

„ვითარცა იტყვს პავლე მოციქული: მე ვარო ნარჩევი მოციქულთაჲ“ [ევსტ. 44:27-28].

„თქუეს ვიეთმე პეტრესთვს, ვითარმედ ჴელ-იწიფა ახუმალო და აქუნდეს“ [მოქც. ქართლ. 112:38-39].

„მოგუესმა, ვითარმედ ათორმეტნი მეფენი მოვიდესო დაპყრობად ქუეყანისა ჩუენისა“ [მოქც. ქართლ. 126:19-21].

აღსანიშნავია ისიც, რომ -ო ნაწილაკი თითქმის ყოველთვის ჴმნას დაერთვის, იშვიათად გვხვდება სხვა მეტყველების ნაწილთან:

„შენ სთქუ: დავარღვო და სამსა დღესა აღვაშენო ეგეო“ [ევსტ. 41:4-5].

„თქუმულ არს, ვითარმედ: „არარაჲ ეგრეთ განარისხებს ღმერთსა, ვითარ მეტი შუებაჲო.“ [გრიგ. 311:7-8].

„ამისთვისცა ქრისტემან უბრძანა პეტრე მოციქულსა: „არა თუ შჯდგზის ოდენ შეუნდო ძმათა დღესა შინა, არამედ სამეოცდაათჯერ **შჯდგზისო**“ [გრიგ. 257:30-32].

„სოლომონმან ორმეოცსა წელსა აღაშენა ტაძარი ესე და შენ სთქუ: **დავარღვო და სამსა დღესა ავაშენო ეგეო!**“ [ევსტ. 41:3-5].

როგორც მაგალითებიდან ჩანს, -ო ნაწილაკი ძირითად შემთხვევაში ერთვის ზმნას და წინადადების ბოლოს დასტურდება. სხვა მეტყველების ნაწილს ერთვის იმ შემთხვევაში, როდესაც ეს სიტყვა წინადადების ბოლოსაა. როგორც ჩანს, -ო ნაწილაკი ამ შემთხვევაში ცდილობს აღმოჩნდეს მისთვის ჩვეულ პოზიციაში, წინადადების ბოლოს, და არა ზმნასთან, რომელიც წინადადების შუაში ან დასაწყისშია დასმული.

გვხვდება აღნიშნული მოვლენის საპირისპირო შემთხვევაც, როდესაც -ო ნაწილაკი ერთვის სხვა მეტყველების ნაწილს, რომელიც წინადადების შუაშია გადასმული, თუმცა ამ შემთხვევაშიც რთულ ქვეწყობილ წინადადებაში მთავარი წინადადების ბოლოსაა მოქცეული:

„უკუეთუ ისმინო ესე **ჩემიო**, კეთილსა ქუეყანისასა სჭამდეთ, უკუეთუ არა ისმინოთ, მახვლმან შეგჭამნეს თქუენ“ [გობრ. 174:4-5].

„პავლე მოციქულმან ძირად და მოქმედად სიბოროტისად თქუა: „და ნუ დაითვრობით **ღვნითაო**, რომლისგან არს სიბილწე“ [ზედაზნ. 203:33-36].

მრავლობით რიცხვში მდგარ I და II პირთა ნათქვამის გადმოსაცემად -ო ნაწილაკი ჩვენ მიერ შესწავლილ ძეგლებში არ დასტურდება. -ო ნაწილაკი ამ ფუნქციით მოგვიანო ხანის ძეგლებში ჩნდება.

ამრიგად, ჩვენი აზრით, -ო ნაწილაკი კანონზომიერად გამოიყენება ჩვენ მიერ შესწავლილ ძეგლებში და სრულიად ბუნებრივია ქართული ენისათვის. ის ერთი იშვიათი ნაწილაკთაგანია, რომელმაც უცვლელი ფორმითა და ფუნქციით მოაღწია დღემდე და აქტიურად გამოიყენებოდა ენის განვითარების ყველა საფეხურზე.

VI თავი

სხვა ნაწილაკები

6.1.1. -მე განუსაზღვრელობითი ნაწილაკის ფუნქციით

-მე ნაწილაკს ძველ ქართულში ორი მნიშვნელობა აქვს: განუსაზღვრელობითი და კითხვითი. ძირითადი ფუნქციით ის დაერთვის კითხვით ნაცვალსახელებსა და კითხვით ზმნიზედებს და განუსაზღვრელობითად აქცევს მათ. თავდაპირველად -მე ნაწილაკი მხოლოდ რამდენიმე კითხვით სიტყვას დაერთვოდა, დროთა განმავლობაში, ხშირი გამოყენებიდან გამომდინარე, ფართოდება მისი ფუნქციონირების არე და ვრცელდება თითქმის ყველა კითხვით ნაცვალსახელსა და კითხვით ზმნიზედაზე. სწორედ განუსაზღვრელობა უნდა იყოს -მე ნაწილაკის ამოსავალი ფუნქცია. მეორე ფუნქცია - კითხვითობის გამოხატვა - დროთა განმავლობაში განუვითარდა კითხვით სიტყვებთან ხშირი ურთიერთობის გამო, რომელიც მალევე დაკარგა. საბოლოოდ, -მე ნაწილაკი განუსაზღვრელობითი ფუნქციით დამკვიდრდა სალიტერატურო ენაში და დღემდე აქტიურად ინარჩუნებს ამ ფუნქციას (ა. შანიძე 1980:610, თ. უთურგაიძე 1966:226).

ძველ ქართულ ორიგინალურ ლიტერატურაში საკმაოდ ხშირად გვხვდება -მე ნაწილაკი ძირითადი, განუსაზღვრელობითი ფუნქციით. როგორც აღვნიშნეთ, ადრეულ ძეგლებში, ძირითადად, რამდენიმე კითხვით სიტყვასთან დასტურდება. თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანთ მაგალითებს შესწავლილი ძეგლებიდან.

-მე ნაწილაკი ერთვის კითხვით ნაცვალსახელებს და აქცევს მათ განუსაზღვრელობითად:

„თუ ვინმე აღიაროს მაგათგანმან მამული რჩული, განუტევეთ“ [ევსტ. 33:9-10].

„და თუ რაიმე შეგცოდეთ, ვითარცა კაცთა საწუთროდსათა და სოფლის მოყურათა, მოგვტევენ“ [შუმ. 26:21-22].

„და შემდგომად რავდენტამე ჟამთა აგრძნეს მშობელთა მათთა საქმე ესე“ [კოლ. ყრმ. 184:42-43].

„ხოლო იგი წარემართა სხუათა რაოდენტამე ძმათა თანა“ [გარეჯ. 234:27-28].

„**რაოდენისამე** ჟამისა შემდგომად, მარტვილისა უკუანა, იხილეს სასწაული დიდი“
[მოქც. ქართლ. 155:1-2].

-**მე** ნაწილაკი ერთვის კითხვით ზმნიზედებს:

„**თუ სადამე** იტყვს მსგავსად სიტყვსა მის, რომელი ჰრქუა ღმერთმან ელის „აღ-
ბოლო არა-გვოცო კაცი შენი საკურთხეველისაგან ჩემისა“ [გობრ.175:22-24].

„**თქუნ** იტყვთ, რამეთუ **ოდესმე** თქუნსავე სოფელსა განჰმზადეთ მსახურებად
მის კერპისად“ [აბიბ. 245:20-21].

დროთა განმავლობაში განუსაზღვრელობის სემანტიკის გამოსახატავად -**მე**
ნაწილაკი ჩაანაცვლა -**ღა-ც(ა)** ნაწილაკთა კომბინაციამ. ახალ ქართულში, ძირითადად,
სწორედ ამგვარი ფორმები გამოიყენება. ვნახოთ კონკრეტულ მაგალითზე
დაყრდნობით:

„**ივლტოდა** დედაკაცი **ვინმე** მეფეთა ევადაგი, სახელით რიფსიმე, **რომლისამე**
მიზეზისათჳს“ [მოქც. ქართლ. 83:32-35].

შდრ.: გარბოდა **ვიღაც** მეფის შთამომავალი ქალი, სახელად რიფსიმე, **რომელიღაც**
(რადაც) მიზეზით.

როგორც წესი, -**მე** დართული სიტყვა გამოიყენება კითხვით, უარყოფით ან
დამოკიდებულ წინადადებაში, -**ღაც(ა)** დართული - მტკიცებით წინადადებაში (თ.
ყაუხჩიშვილი 1946:275).

როგორც ჩანს, -**მე** ნაწილაკის მრავალმხრივი გამოყენება და ფორმოზრვი
ომონიმია ენამ სწორედ ამ გზით დაძლია - სხვა ნაწილაკმა ჩაანაცვლა ის ფუნქციები,
რომლებსაც ძველ ქართულში -**მე** ნაწილაკი ითავსებდა.

თანამედროვე ქართულში -**მე** ნაწილაკის დართვით მიღებული
განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელები და ზმნიზედები ბრუნებისას რიგ
თავისებურებებს ავლენენ. ამასთან დაკავშირებით ვრცლად საუბრობს ვარლამ
თოფურია. მეცნიერი გამოყოფს ბრუნების **სამგვარ** სახეს თანამედროვე ქართულში.
მათგან პირველი სახეა ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებელი **შეუხორცებელი**
ფორმები, როდესაც ნაწილაკი დაერთვის ბრუნვის ფორმას: **ვისმე, რასმე**. ასეთ
შემთხვევაში ბრუნება **დეფექტურია**, რადგან ვერ აწარმოებს ბრუნვის ყველა ფორმას.
მოგვიანო პერიოდში ნაწილაკი შეუხორცდა ფუძეს და შემდეგ დაირთო ბრუნვის

ნიშანი: **ვინმეს, რამეს**. თანამედროვე ქართულში გვხვდება ნარევი ფორმებიც, როდესაც ძველი ბრუნვისნიშნის ფორმის ხელახალი ბრუნება მოხდა და ორმაგი ბრუნვის ნიშანი დაირთო სიტყვამ: **ვისმეს, რასმეს** (ვ. თოფურია 1936:14). თანამედროვე ქართულში დასტურდება განუსაზღვრელობით ნაცვალსახელთა ბრუნების სამივე ვარიანტი, თუმცა, ვფიქრობთ, უპირატესობა ახლებურ ფორმას უნდა მივანიჭოთ, რადგანაც ბევრად მოქნილია ბრუნვის ნიშნების დართვის თვალსაზრისით და, აქედან გამომდინარე, გავრცელებულია ზეპირ და სამწერლობო ქართულში. ძველი ქართული ენის ტექსტებში კი, ცხადია, შეუხორცებელი ფორმები დასტურდება. ამ პერიოდისთვის ჯერ კიდევ არ არის მკვეთრად ჩამოყალიბებული ნაწილაკდართული განუსაზღვრელი სიტყვები.

6.1.2. -მე ნაწილაკი კავშირების შემადგენლობაში

ქართულ სალიტერატურო ენაში ნაწილაკთა სისტემის ჩამოყალიბება ხანგრძლივი და საინტერესო პროცესია. თანამედროვე ქართულში ჯერ კიდევ არ არის მკვეთრი საზღვრები დადებული ნაწილაკებსა და კავშირებსა თუ ზმნისართებს შორის, რაც ხაზგასმითაა აღნიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში (ე. ბაბუნაშვილი 1957:217; თ. ყაუხჩიშვილი 1946:259...). კავშირი აღნიშნულ მეტყველების ნაწილებს შორის კიდევ უფრო ხელშესახები ხდება საკითხის დიაქრონიული ანალიზის დროს. დროთა განმავლობაში ნაწილაკთა ნაწილი ცვეთის შედეგად **სიტყვამაწარმოებელ აფიქსებს** დაუახლოვდა (ე. ბაბუნაშვილი 1957:217-218). ძველი ქართული ენის ტექსტებზე დაკვირვება გვიჩვენებს ამოსავალ ვითარებას ნაწილაკების ჩამოყალიბებასა და ფორმირებასთან დაკავშირებით.

ძველი ქართული ორიგინალური ლიტერატურის შესწავლა ცხადყოფს, რომ **-მე** ნაწილაკი სწორედ კავშირების შემადგენლობაში გვხვდება ყველაზე ხშირად. მათგან აქტიური გამოყენებისაა **რამეთუ, ვითარმედ და არამედ**, რომლებიც თითქმის ყველა წინადადებაში დასტურდება, ზოგჯერ უფუნქციოდაც კი, მაგალითად, წინადადების დასაწყისში, როცა კავშირის გამოყენების არანაირი საჭიროება არ არის. კავშირების

შემადგენლობაში ნაწილავს, როგორც წესი, დაკარგული აქვს პირველადი ფუნქცია და ოდენ სიტყვის შემადგენელ ელემენტადაა ქცეული:

„რამეთუ იყო ჟამი, ოდეს ერისმთავარი იგი ქართლისაჲ... მოწოდებულ იქმნა ქუეყანად ბაბილოვნისა მფლობელისა მისგან“ [აბ. 55:27-56:1].

„რამეთუ არა ხოლო თუ ბერძენთა სარწმუნოებაჲ ესე ღმრთისამიერი მოიპოვეს, არამედ ჩუნცა, შორიელთა ამათ მკვიდრთა, ვითარცა წამებს უფალი“ [აბ. 55:16-18].

რამეთუ ხშირად გვხვდება **რომ** კავშირის ფუნქციით, ისევე როგორც **ვითარმედ**. იშვიათად შეესაბამება **რომ** კავშირს **არამედ** კავშირიც. როგორც მოსალოდნელი იყო, ამოსავალი ვითარებისათვის არ არის მკვეთრად გამიჯნული თითოეულის ფუნქცია. ამასთანავე, კიდევ ერთხელ დადასტურდა მსგავს ფორმებში **-მე** ნაწილავის უფუნქციობა.

აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ **-მე** ნაწილავსა და **-დ** ელემენტს ძველ ქართულში ერთ **მთლიან** ოდენობად განიხილავს შ. ძიძგური. მისი მოსაზრებით, **ვითარმედ** და **არამედ** კავშირებში **-მედ** ერთიანი ფორმა გამოიყოფა და მისი დაშლა სხვადასხვა ელემენტად ვერ ხერხდება. ეს **-მედ** ელემენტი, სავარაუდოდ, **-მე** ნაწილავის პროტოტიპი უნდა იყოს (შ. ძიძგური 1973:399).

შ. ძიძგური განიხილავს **მაგრამ** კავშირსაც და აქაც **-მე** ნაწილავს გამოყოფს, აღადგენს **მაგრამე** ფორმას. ავტორის მოსაზრებით, შეგვიძლია დავუშვათ, რომ აქ გვაქვს იგივე **არა-მე**, რაც **არამედ** ფორმაში, ოღონდ გართულებული **მაგ** ელემენტით, რომელიც შეუხორცდა **არამე** ფორმას. **მაგა** (>მაგ) ძველ ქართულში ცნობილი ფორმაა: **ეგე** ნაცვალსახელის ფუძეა ირიბ ბრუნვებში. ამ ელემენტთა გაერთიანებით მივიღეთ **მაგრამ** კავშირი, რომელიც შედარებით ახალია, საშუალ ქართულში ყალიბდება ამ გზით: **მაგ+არა+მე > მაგ+რა+მე > მაგრამ**. გვაქვს ფონეტიკურად სახეცვლილი ფორმებიც: **მარა, მარე**. ამავე გზით უნდა იყოს მიღებული **თორემ** კავშირიც (თუ **არ(ა) > თუარამე > თუარამ > თუარემ > თვარემ(და) > თორემ**) (შ. ძიძგური 1973:400).

როგორც უკვე ვნახეთ, განუსაზღვრელობითი სიტყვები სწორედ **-მე** ნაწილავის კითხვით სიტყვებზე დართვით იწარმოება. მათი ძირითადი ნაწილი ასევე კავშირის ფუნქციით გამოიყენება წინადადებაში. ასეთია **-მე** ნაწილავიანი ზმნიზედა **საღამე, სადმე, სამე**, რომელსაც რედაქციებში **ვიდრემე, ვინამე, ვინამე, უკუე** ფორმები

ენაცვლება. **საღამე** ხშირად გვხვდება **მაშა** ნაწილაკთან ერთად, მათი ხშირი ურთიერთობის შედეგად მივიღეთ ლოგიკური კავშირი **მაშასაღამე** (დ. მელიქიშვილი 1984:102), რომელიც თანამედროვე ქართულში შორისდებულის ფუნქციით დამკვიდრდა. **მაშასაღამეს** მნიშვნელობით იშვიათად გამოიყენება ასევე **-მე** ნაწილაკიანი ფორმა **ნუუმე**, რომელიც **არამედ** კავშირის მსგავსად უარყოფით ნაწილაკზე **-მე** ნაწილაკის დართვით მიიღება - **ნუ+უ+მე**. დ. მელიქიშვილის მოსაზრებით, **ნუუმე**-ს არ აქვს ლოგიკური კავშირის მნიშვნელობა, არც **არამედ**-ს ჰგავს, **ნუუმე** **ნუუკუე**-ს ერთ-ერთი მნიშვნელობით - **იქნებ**, **ეგების** - ფუნქციით გამოიყენება და, ამდენად, **ნუ-** და **-მე** ნაწილაკების გამაერთიანებლად უ ხმოვანი **ნუუკუე**-ს ანალოგიითაა გამოყენებული (დ. მელიქიშვილი 1984:103-4).

დ. მელიქიშვილი იოანე პეტრიწის ენაში საფუძვლიანად შეისწავლის კავშირებსა და ნაწილაკებს და რამდენიმე საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს. მეცნიერის თქმით, იოანე პეტრიწთან კავშირი **ვინაჲ** გვხვდება სხვადასხვა ნაწილაკთან ერთად. ნაწილაკდართულ **ვინაჲვე**-ს იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც უნაწილაკო ფორმას. გვხვდება **-მე** ნაწილაკიანი ფორმებიც, რომლებიც იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, რაც იმას ნიშნავს, რომ **-ვე** და **-მე** ნაწილაკების მნიშვნელობა თავდაპირველად ერთი და იგივე უნდა ყოფილიყო. ორივე (ვინაჲვე, ვინაჲმე) „*საბოლოო, დასკვნითს დებულებაში მოცემულ აზრს მტკიცებაში წარმოდგენილ აზრთა მსვლელობასთან აკავშირებს და ნიშნავს: „ამგვარად, ამიტომ, მაშასაღამე“* [დ. მელიქიშვილი 1968:136]. ავტორი **ვინაჲ**-ს გვერდით აყენებს **ვიდრემე** და **უკუე** ფორმებს, რომლებსაც იგივე შინაარსი და ფუნქცია აქვთ რიგ შემთხვევაში, სამივე მათგანი **მაშასაღამე** კავშირის მნიშვნელობით გამოიყენება (დ. მელიქიშვილი 1968:137).

გარდა კავშირებისა, **-მე** ნაწილაკი დასტურდება საკუთრივ ნაწილაკების შემადგენლობაშიც. ერთ-ერთი ასეთი ფორმაა **-მცა** ნაწილაკი, რომელზეც გარკვეულწილად უკვე გვქონდა საუბარი და დაწვრილებით ვიმსჯელებთ საკუთრივ **-მცა** ნაწილაკზე საუბრისას.

-მე ნაწილაკი ერთვის **ხოლე** ფორმას და ვიღებთ მრავალგზისობის გამომხატველ **ხოლმე** ნაწილაკს. ეს პროცესი საშუალო ქართული ენისთვისაა მოსალოდნელი, ძველ ქართულ ტექსტებში **ხოლმე** ფორმა არ დასტურდება. საკითხის საფუძვლიან ანალიზს

გვთავაზობს ნ. შარაშენიძე ნაშრომში „ხოლმე ნაწილაკის ისტორიისათვის“. ავტორის აზრით, **ყოლე/ხოლე** ფორმები -**მე** ნაწილაკმა დროის სემანტიკაზე დაყრდნობით **მრავალგზის** მოქმედების გამომხატველ ნაწილაკად აქცია. **ხოლმე**-ს ფონეტიკურ ვარიანტად გვაქვს **ხუალმე/ხვალმე** ფორმებიც და თვით ამოსავალი **ხოლე** ფორმაც. გარდა **ხოლმე**-ს მნიშვნელობისა, **ხოლე „მხოლოდ, მარტო“** მნიშვნელობასაც გამოხატავს (ნ. შარაშენიძე 1996:124).

6.2. -მცა ნაწილაკი

ძველ ქართულში ფუნქციური მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა რთული შედგენილობის -**მცა** ნაწილაკი. ენათმეცნიერთა შორის მის შემადგენელ ნაწილთა გამოყოფა სადავო არ არის. მიიჩნევა, რომ ნაწილაკის შემადგენელი პირველი -**მ** ელემენტი -**მე** განუსაზღვრელობითი ნაწილაკიდან უნდა მომდინარეობს, ხოლო -**ცა** ჩვენთვის კარგად ცნობილი მიმართებითი ნაწილაკია (ა. შანიძე 1881:37-38). თ. უთურგაიძის მოსაზრებით, -**მე** ნაწილაკის ამოსავალი ფუნქცია ნატვრითობის გამოხატვაა, რაც -**მცა** ნაწილაკის შემადგენლობაშიც იჩენს თავს - თანამედროვე ქართული ენის დიალექტებში -**მცა** ნატვრითობას გამოხატავს, ხოლო ძველ ქართულში კავშირებითი კილოს მაწარმოებელია (თ. უთურგაიძე 1966:226).

-**მცა** ნაწილაკს ყურადღება მიაქცია არაერთმა მეცნიერმა. მათი ნაწილი -**მცა** ნაწილაკს კავშირად მიიჩნევს (ანტონ I, გაიოზ რექტორი, ზ. შანშოვანი, პლ. იოსელიანი, თ. ჟორდანია). პირველად ნაწილაკის ფუნქციით გამოყო დ. ჩუბინაშვილმა და -**მცა**, -**ცა**, -**მცალა** ნაწილაკები ერთ ოდენობად განიხილა, მაგრამ ნაშრომში ნაწილაკთა ფუნქციური ანალიზი და მაგალითები არ მოუცია (პ. გაჩეჩილაძე 1960:242-253).

მეცნიერთა ინტერესს განაპირობებს ნაწილაკის პოლიფუნქციურობა. ძველი ქართული ენის ორიგინალურ თუ ნათარგმნ ლიტერატურაში საკმაოდ ხშირი და მრავალმხრივია მისი გამოყენების შემთხვევები, რაც ნაწილაკის ცალსახა განმარტებების სირთულეს ქმნის. პირველი, რაც ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, არის -**მცა** ნაწილაკის ქართული წარმომავლობა. პ. გაჩეჩილაძე სამართლიანად შენიშნავს, რომ -**მცა**

ნაწილაკის გამოყენება არაა უცხო ენის გავლენის შედეგი, იგი ქართული ენობრივი მოვლენაა. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ **-მცა** ნაწილაკი დღემდეა შემორჩენილი დიალექტებში, მოეპოვება სხვადასხვა შესატყვისი ენაში. ამასთანავე, თარგმანებსა და ორიგინალურ ლიტერატურაში თითქმის ერთნაირი სიხშირით დასტურდება. აღსანიშნავია ისიც, რომ **-მცა** ნაწილაკის შესატყვისად უცხოურ ენებში სხვადასხვა საშუალება გამოიყენება (პ. გაჩეჩილაძე 1960:246-247).

ძველ ქართულში **-მცა** ნაწილაკი თითქმის ყველა კილოს გამომხატველ წინადადებაში გვხვდება და თითოეული მოდალობის ერთ-ერთ მთავარ მაწარმოებელ ელემენტად მიიჩნევა. ა. პაპიძის სამართლიანი მოსაზრებით, ენის განვითარების ადრეულ საფეხურზე, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც უღლება ასპექტის მიხედვით განსხვავდებოდა, კავშირებითის მწკრივების ჩამოყალიბებამდე (ამ დროისთვის მხოლოდ ორი მწკრივის არსებობა მოიაზრება: ნამყო ძირითადისა და II ხოლმეობითისა (მ. მ.)) მათს სხვადასხვა ფუნქციას სწორედ **-მცა** ნაწილაკი ასრულებდა. ის გამოხატავდა **ირეალურ** მოქმედებას, რამაც განაპირობა მომავალი დროის თხრობითი, კავშირებითი და ბრძანებითი კილოს გამოხატვა. ირეალურობას **-მე** ნაწილაკისეული **-მ** ელემენტი გამოხატავდა, ხოლო **-ც** ნაწილაკი მოგვიანებით დაერთო, როდესაც კავშირებითი კილოს, და, შესაბამისად, დამოკიდებული წინადადების მთავართან მიმართების გამოხატვა გახდა საჭირო. **-მცა** ნაწილაკამდე ირეალურობას, სავარაუდოდ, ხოლმეობითი გამოხატავდა (ა. პაპიძე 1981:38).

როგორც აღვნიშნეთ, ძველ ქართულში **-მცა** ნაწილაკი რამდენიმე ფუნქციით გამოიყენება. განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

1) **-მცა** ნაწილაკის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა **თხრობითი კილოს ზმნისთვის კავშირებითი კილოს მინიჭება**. ასეთ შემთხვევაში **-მცა** ნაწილაკი ვერ იგუებს კავშირებითის მწკრივებს და ზმნა ყოველთვის თხრობითი კილოს მქონე მწკრივებით (წყვეტილი ან უწყვეტელი) გადმოიცემა (ა. შანიძე 1981:37-38; ზ. სარჯველაძე 1997:161; ნ. კოტინოვი 1978:105-106; დ. მელიქიშვილი 1980:64; გ. ნინუა 1971:113). ეს ფუნქცია **-მცა** ნაწილაკს მხოლოდ რთული ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულ წინადადებაში აქვს:

„არარად აქუს, რადთა ჭამონ“ [მრკ. 8:2 DE]. ზმნა II კავშირებითშია.

შდრ.: „არარაჲ აქუს, რადთამცა ჭამეს“ C. ზმნა წყვეტილშია.

რთულ ქვეწყობილ წინადადებაში შესაბამის კავშირებთან ერთად -მცა ნაწილაკი მეტ-ნაკლები სიხშირით დასტურდება ორიგინალური ლიტერატურის ყველა ძეგლში და მისი ფუნქციონირება კანონზომიერია ენის განვითარების ამ უძველესი საფეხურისათვის. მოგვყავს მაგალითები ჩვენი ემპირიული მასალიდან:

დამოკიდებული წინადადების ზმნა წარმოდგენილია წყვეტილის მწკრივის ფორმით:

„აიძულეობდა მას, რადთამცა იგი ხოლო შესუა“ [შუმ. 17:3].

„ჩუენ ქრისტეანენი ვართ და არა ჯერ-არს, ვითარმცა ვჭამეთ და ვსუთ ნაგები კერპთაჲ“ [კოლ. ყრმ. 185:4-5].

„ხოლო მსახურთა მათ წარიყვანეს ნეტარი ევსტათი საპყრობილედ, რადთამცა ადასრულეს ბრძანებული იგი მარზაპნისაჲ მის“ [ევსტ. 44:11-12].

დამოკიდებული წინადადების ზმნა წარმოდგენილია უწყვეტლის მწკრივის ფორმით:

„ენება წმიდასა მამასა ჩუენსა იოვანეს, რადთამცა მარტოდ იყოფოდა, წადიერ იყო თვისსა საყოფლად ქალაქსა მას“ [ზედაზნ. 202:21-24].

„ჯერ იყო დაწერაჲ ვიდრე ნათესავითი-ნათესავადმდე უკუნისამდე მითხრობად ყოველთა, რადთამცა ერი დაბადებადი აქებდა უფალსა კსენებისა მათისა დღესასწაულსა“ [გრიგ. 249:10-12].

მოგვიანო პერიოდიდან, ძველ ქართულშივე, უიშვიათესად შესაძლოა -მცა კავშირებითის მწკრივის ფორმასაც ერთვოდეს, რაც მისი ფუნქციის მოშლას უკავშირდება (ნ. კოტინოვი 1978:107).

როგორც ცნობილია, ძველ ქართულში თხრობითი კილოს მომავალი დრო და კავშირებითი კილო საზიარო ფორმებით გამოიხატებოდა, იქნებოდა ეს ე.წ. კავშირებითის მწკრივები თუ ნაწილაკიანი წარმოება. რამდენადაც -მცა ნაწილაკისათვის ამოსავალი ფუნქცია იყო არა მოდალობის ან დროის გამოხატვა, არამედ ირეალური შინაარსის გადმოცემა, აღნიშნული ნაწილაკი ორივე ტიპის წინადადებაში გვხვდება. კავშირებითი კილოს ზმნის მქონე წინადადების გარჩევა თხრობითი კილოს მომავალი დროის ზმნის მქონე წინადადებისგან ხდებოდა

წინადადების ტიპის მიხედვით - კავშირებითი კილო მოითხოვდა რთულ ქვეწყობილ წინადადებას, კერძოდ, დამოკიდებულს, და მასთან ერთად შესაბამის კავშირ-ნაწილაკებს, სხვა შემთხვევაში კი მომავალი დროის გამომხატველ თხრობით წინადადებასთან გვექონდა საქმე. ამ საკითხს საგანგებოდ შეეხო დ. მელიქიშვილი ნაშრომში „მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს ურთიერთობის საკითხისათვის“. ავტორი საფუძვლიანად განიხილავს აღნიშნულ საკითხს და სამართლიან დასკვნებს გვთავაზობს დასახელებულ წინადადებათა მიმართების თვალსაზრისით. მეცნიერის მოსაზრებით, ორი მნიშვნელობიდან ე.წ. კავშირებითის ფორმებისათვის პირველადი უნდა იყოს თხრობითი კილოს მომავალი დროის გამოხატვა, კავშირებითი კილოსი კი - მეორეული. რამდენადაც კავშირებითი კილოს გამოსახატავად აუცილებელია ჰიპოტაქსური კონსტრუქცია, რომელიც შედარებით გვიანდელია და შესაძლოა თარგმანის გავლენასთანაც გვექონდეს საქმე, ლოგიკურია, კავშირებითი კილოს გამოხატვა ე.წ. კავშირებითის მწკრივებისთვის (უკეთ - მყოფადი ძირითადისთვის) მეორეული იყოს. ანალოგიურად, -მცა ნაწილაკიან ფორმებსაც უპირველესად თხრობითი კილოს მომავალი დრო უნდა გამოეხატა, რამდენადაც მარტივ წინადადებასთან გვექონდა საქმე. რადგანაც ჰიპოტაქსური კონსტრუქცია შედარებით გვიანდელია, კავშირებითი კილოს -მცა ნაწილაკიანი ფორმებიც, შესაბამისად, გვიანდელი უნდა უყოს. დროთა განმავლობაში -მცა ნაწილაკმა სწორედ ამგვარ წინადადებაში დაიმკვიდრა ადგილი. **კავშირებითი კილოს გაგება თავისთავად არა ზმნას, არამედ ნაწილაკსა და კავშირებს ჰქონდათ.** ომონიმის მოსახსნელად მომავალი დროის გამოხატვა ჯერ ინფინიტივურ კონსტრუქციას, მოგვიანებით კი ზმნისწინს დაეკისრა (დ. მელიქიშვილი 1980:59-74).

2) ძველი ქართული ენის ადრეული ძეგლებისთვის ჯერ კიდევ დამახასიათებელია **თხრობითი კილოს მომავალი დროს გამოხატვა -მცა** ნაწილაკით. თხრობითი კილოს მქონე მყოფადის გამოხატვის ეს მოდელი ძველ ქართულში კავშირებითის მწკრივების გვერდით გამოიყენებოდა. ამ შემთხვევაში ზმნა წარმოდგენილი იყო თხრობითი კილოს მწკრივში და არც ჰიპოტაქსური კონსტრუქციის არსებობა იყო საჭირო (ნ. კოტინოვი 1978:105-106; დ. მელიქიშვილი 1980:64):

„ჯმნულმცა ვარ მე თქუნგან, რამეთუ მე აქა არღარა მოქცევად ვარ“ [ევსტ. 34:21].

„უკუეთუ ვინმე შევიდეს მისა... უბრალომცა ვარ, რად გიყო თქუნ“ [შუმ. 21:16-19].

„და კუალად წმიდათა მათ მარტულთა კსენებითა ვინმემცა განძლა მარტულ მოყუარც“? [აბ. 51:9-10].

„შენ-ლა თავი თვისი არა შეიწყალე და განსდევ ღმრთისაგან, შენ მემცა შემიწყალე?“ [შუმ. 20:7-8].

„და რომელიმცა რჩული უწმინდე იყო, იგიმცა შევიყუარე“ [ევსტ. 36:6-7].

3) -მცა ნაწილაკის ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენდა აგრეთვე ბრძანებითი კილოს გამოხატვა. ამ შემთხვევაში -მცა ერთვოდა ზმნის აწმყოს მწკრევის ფორმას (ბრძანებითის მწკრევი გამორიცხული იყო). -ბრძანებითობის გამოხატვა ეხება სამივე პირის ფორმას. პირველ პირთან ბრძანებით კილოზე მხოლოდ მრავლობით რიცხვში შეგვიძლია ვისაუბროთ, მეორე და მესამე პირებისათვის კი სრულიად ბუნებრივია ბრძანებითის მწკრევის ნაცვლად -მცა ნაწილაკიანი კონტრუქციის გამოყენება (გ. ნინუა 1971:112):

„ნუმცა ვინ შევალს ხილვად მისა“ [შუმ. 18:2].

„უკუეთუ ვიეთმე ძმათა სწადოდის ყოფაა ხანცთელთა შატბერდს, გინა თუ შატბერდელთა ხანცთას, ნუ ვისმცა კელ-ეწიფების არა შეწყნარებაა მათი!“ [გრიგ. 309:42-43].

„უკუეთუ სულითა ცხოველ არს იგი, ცოცხალმცა ხართ იგიცა და შენცა, უკუეთუ სულითა მომკუდარ ხართ, მოკითხვაა ეგე შენი შენადვე მოიქეცინ!“ [შუმ. 12:17-18].

-მცა ნაწილაკიანი ბრძანებითი კილოს მქონე წინადადება ნიუანსობრივად უკავშირდება ნატვრით კილოს. ძველ ქართულში -მცა ნაწილაკს შეეძლო ამ მოდალობის მქონე წინადადებების იმავე პრინციპით გამოხატავდა. სწორედ ამ ტიპის წინადადებებში შემორჩა დღემდე გაქვავებული სახით -მცა ნაწილაკი დიალექტებში. წყევლის, ლოცვის მოდალობის გამოხატვის ფუნქციით -მცა ნაწილაკი გვხვდება კავშირებითის მწკრევის ფორმებთანაც სხვადასხვა ფონეტიკური სახესხვაობებით (-მცა, -ცა, -ც), რაც ფუნქციურ რღვევაზე მიუთითებს (ნ. კოტინოვი 1978:109).

4) -მცა ნაწილაკის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა პირობითობის გამოხატვა. სწორედ ამან განაპირობა ირეალურ პირობით-შედეგობით წინადადებაში -მცა

ნაწილაკის გამოყენება ორივე კომპონენტში. პირველ კომპონენტში პირობას გამოხატავს, მეორეში - შედეგს (ნ. კოტინოვი 1978:106-107; ზ. სარჯველაძე 1997:161). რადგან ასეთი სახის წინადადებაც **ირეალურ** მოქმედებას გულისხმობს, ეს ბუნებრივს ხდის -**მცა** ნაწილაკის გამოყენებას:

დამოკიდებულ წინადადებაში -**მცა** ერთვის კავშირებს: **უკუეთუ, თუ**. ამ შემთხვევაში პირობის გამომხატველი ზმნა წარმოდგენილია უწყვეტლის, წყვეტილის ან II შედეგობითის მწკრივების ფორმით, ხოლო შედეგის გამოსახატავად - უწყვეტლის, წყვეტილის, II შედეგობითის ან იშვიათად აწმყოს (თუ ზმნა სტატიკურია) ფორმით (ა. შანიძე 1976:166; პ. გაჩეჩილაძე 1960:246-247):

„უკუეთუმცა აქა იყავ, არამცა მოკუდა ძმა იგი ჩემი“ [ი. 11:32]. „აქ რომ ყოფილიყავი, არ მოკვდებოდა ჩემი ძმა“ (ა. შანიძე 1976:166).

მოგვყავს მაგალითები ჩვენ მიერ გაანალიზებული ემპირიული მასალიდან.

-**მცა** ნაწილაკი ერთვის **უკუეთუ** კავშირს:

„უკუეთუმცა ღმრთეებაჲ კორცითა არა დაეფარა, კაციმცა ვერ მიეახლა ღმერთსა“ [ევსტ. 38:21-22].

„უკუეთუმცა არა იყო დაუცხრომელი ბრძლად წმიდათაჲ, არამცა მოიქსენეს ბრძოლად იგი სიკუდილად მარადღე“ [ზედაზნ. 203:17-23].

„უკუეთუმცა სჯული იგი მაირხვისაჲ დაემარხა, არამცა მოცემულ იყო ჩუენდა ეკლოვანი ესე ქუეყანაჲ, არამცა სიკუდილი უფლებდა ჩუენ ზედა, დაღათუ ძლიერებაჲ იგი მაღლით დაამდაბლებდა“ [ზედაზნ. 203:17-23].

-**მცა** ნაწილაკი ერთვის **თუ** კავშირს:

„ესე-ლა თუმცა მეცნა, არამცა შემოგიტყვე შენ“ [შუმ. 22:7-8].

5) -**მცა** ნაწილაკინ ფორმებს ზოგჯერ II თურმეობითის გაგებაც ჰქონდა (პ. გაჩეჩილაძე 1960:249):

„რამეთუ არა უწყოდა, რადთამცა მიუგო, რამეთუ შეშინებულ იყვნეს“ [მრ. 9:6 C]. „რომ მიეგო“.

„გელმწიფედ დაბადებულთა მონად თვსა აიძულებდეს, რადთამცა წარიქცივნეს იგინი ბაბილოვნად მრავალთა შემჭამელსა მას ჯოჯოხეთსა“ [ზედაზნ. 207:2-4].

ნ. კოტინოვის მოსაზრებით, **-მცა** ნაწილაკი ძველ ქართულში ზმნას მართავს კილოს კატეგორიის მიხედვით, ბრძანებითი და კავშირებითი მწკრივების ფორმებს თხრობითი კილოს ფორმით ცვლის. იქმნება გარკვეული სინტაქსური კონსტრუქცია, რომლის დროსაც დასტურდება მართვის კერძო შემთხვევა - უფორმო სიტყვა (ნაწილაკი) მართავს ფორმაცვალეზად სიტყვას (ზმნას) გარკვეული კატეგორიის (კილოს) მიხედვით (ნ. კოტინოვი 1978:110), ოღონდ კავშირებითი კილოს გამოსახატავად **-მცა** ნაწილაკი შეუთავსებელია კავშირებითის მწკრივთან, ხოლო ბრძანებითი კილოს გამოსახატავად - ბრძანებითის მწკრივთან.

ამ საკითხს თავის დროზე შეეხო ა. შანიძეც. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ **-მცა** ნაწილაკი ყოველთვის თხრობითი კილოს გამომხატველ ზმნურ ფორმებთან დასტურდება, ვერ იგუებს კავშირებითი კილოს ფორმას: „**მცა** ნაწილაკს არ შეუძლია, რომ ნატვრითი კილო შეიწყნაროს“ [ა. შანიძე 1981:38].

თანამედროვე ქართულში, როგორც აღვნიშნეთ, **-მცა** ნაწილაკი დაიკარგა. შემორჩენილია მხოლოდ გაქვავებული ფორმებით აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში, ასევე ინგილოურსა და ფერეიდნულში, ნაწილობრივ დასავლურ დიალექტებშიც გვხვდება. დიალექტებში **-მცა** ნაწილაკის არსებობა, თუნდაც ფუნქციადაკარგული სახით, გარკვეული მოსაზრებით, ბუნებრივია, რამდენადაც **-მცა** ნაწილაკი სწორედ დიალექტური წარმონაქმნია ძველ ქართულშივე და არა უცხოური კალკი ან ხელოვნურად შექმნილი ფორმა (ნ. კოტინოვი 1978:109).

ქართველურ ენათაგან **-მცა** ნაწილაკის შესატყვისი ზანურს არ ახასიათებს, **სვანურში** კი **-უ**, **-უუ**, **-ოლუ**, **-ოლ** ნაწილაკები შეესატყვისება. ძირითადი **-ოლუ** ნაწილაკის ფონეტიკურ შესატყვისად მიიჩნევა **-მცა** ნაწილაკს ნ. კოტინოვი ნაშრომში „**-მცა** ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქციის ევოლუციისათვის ქართულში“. ავტორის დასკვნით, **-მცა** ნაწილაკში „*გამოიყოფა მოდალური მ ელემენტი, რომელიც გენეტურად და ფონეტიკურადაც უკავშირდება სვანურ -უ (> ვ) [//-ოლუ, -ოლ, -უუ] ნაწილაკს*“ [ნ. კოტინოვი 1978:109].

-მცა ნაწილაკის გაქრობის მიზეზად პ. გაჩეჩილაძე რამდენიმე მიზეზს ასახელებს. მეცნიერის ვარაუდით, უმთავრესი მიზეზი უკავშირდება თხრობითი კილოს მომავალი დროის ფორმების ჩამოყალიბებას. კავშირებითი კილო აღარ გამოხატავდა მყოფადს,

მხოლოდ კავშირებითის ფუნქციით გამოიყენებოდა. ასევე, ყალიბდება და ხშირდება II თურმეობითის ფორმებიც, რამაც შეზღუდა -მცა ნაწილაკის ფუნქციონირების არე. ამავდროულად, გახშირდა სხვა კავშირების გამოყენება: თუმცა, ვითამ, განალაც, ნუცა, ოდესცა. ასეთ კავშირებთან -მცა უფუნქციო აღმოჩნდა. ამდენად, -მცა ნაწილაკი თანდათან კარგავს ყოველგვარ ფუნქციას და, საბოლოოდ, გადის სალიტერატურო ენიდან (პ. გაჩეჩილაძე 1960:248-249).

6.3. -ვე ნაწილაკი

ქართულში ფუნქციური მრავალფეროვნებით ხასიათდება -ვე ნაწილაკი, რომელიც როგორც ძველი, ისე ახალი ქართულისათვის ერთ-ერთი აქტიური ნაწილაკია. -ვე ნაწილაკი ერთვის თითქმის ყველა მეტყველების ნაწილს და სხვადასხვა მნიშვნელობას სძენს სიტყვას ან მთელ წინადადებას. ახალი ქართულისაგან განსხვავებით, ძველ ქართულში ერთვოდა ზმნასაც: *იგივე, ყოველივე, ათნივე, ღალადებენვე, იყოვე...* (ა. შანიძე 1976:148). განვიხილოთ -ვე ნაწილაკის ფუნქციები ცალ-ცალკე:

1) ძველ ქართულ ტექსტებში -ვე ნაწილაკის ამოსავალ, ძირითად მნიშვნელობად თ. ყაუხჩიშვილს *იგივეობის, იდენტურობის* გამოხატვა მიაჩნია. ამ მოსაზრებას ადასტურებს სომხური ეკვივალენტების მოხმობის საფუძველზე. ქართული -ვე ნაწილაკის სომხურში შეესატყვისი იმავეს გამოხატავს, რასაც -ვე (თ. ყაუხჩიშვილი 1946:271). ჩვენ მიერ შესწავლილი მასალიდანაც ჩანს, რომ -ვე ნაწილაკი ყველაზე ხშირად სწორედ იდენტურობას, იგივეობას გამოხატავს:

„განუტევა იგი კუალად ერისმთავრობით აქა, ქუეყანადვე თჳსთა“ [აბ. 56:9-10].

„დანი მისნი იყენეს მუნვე ქალაქსა მას შინა ბაღდადს ბაბილოვნისასა“ [აბ. 56:16-17].

„მათ თანავე იყო სანატრელიცა ესე მანად ქრისტჳსი ჰაბო“ [აბ. 58:6-7].

„ეგრჭთვე ნეტარი ესე ჰაბო არცალა ერთსა რას სიტყუასა იტყოდა კაცთა შორის“ [აბ. 60:16-17].

„მასვე დღესა შინა განიკურნებოდეს“ [აბ. 74:13].

ძველ ქართულში -ვე ნაწილაკი იშვიათად, მაგრამ მაინც დასტურდება ზმნებთანაც. პოზიციის თვალსაზრისით გვხვდება ზმნის ბოლოსაც და ტმესის სახითაც:

„მერმე კუალად იკითხავს-ვე ღმერთსა მიმღებელი იგი მოსე“ [ზედაზნ. 194:5-6].

„და თევდოსიცა ტიროდავე მათ თანა“ [ევსტ. 39-40].

ტმესის სახით:

„თუ ვისმე განერის და წარვიდის, რასაცა მიჰმართის... და-ვე-წჳს“ [ევსტ. 43:6-7].

2) -ვე ნაწილაკის მეორე მნიშვნელობაა **სინამდვილის, სიმართლის ხაზგასმა** (თ. ყაუხჩიშვილი 1946:71). ამ ფუნქციითაც იგი საკმაოდ აქტიურია როგორც ძველ, ისე ახალ ქართულში:

„არა თუ უცხოდაგან თესლისა, არცა ხარჭისაგან შობილი, არამედ ყოვლადვე არაბიელთა თესლი“ [აბ. 56:14-15].

„დაადგრა მდგომარს ზედა ფერხთა თვსთა ვიდრე განთიადმდე, ყოვლადვე დაუჯდომელად, ვიდრემდე აღასრულა ფსალმუნნი“ [აბ. 67:17-19].

იმავე ფუნქციით -ვე ნაწილაკი ერთვის ზმნას:

„გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩემო, რამეთუ იყვნეს-ვე არა ჩემნი, არამედ შენნი მოცემულნი იყვნეს“ [შუმ. 23:19-20].

„უმჯობეს იყო მათდა, უკუეთუმცა გზად იგი ჭემმარიტებისად ეცნავე, არა ვიდრე ცნობასა და კუალად უკუნ-ქცევასა“ [გობრ. 174:32-33].

როგორც აღმოჩნდა, -ვე ნაწილაკი **ზმნასთან** შედარებით იშვიათად გვხვდება, აქედან გამომდინარე, ნაკლები ყურადღება ექცევა ამ შემხთვევას სამეცნიერო ლიტერატურაში. დასახელებულ მაგალითებში -ვე სწორედ **დანამდვილებით, ხაზგასმით** გამოხატულ მოქმედებას გვიჩვენებს. რეალურად ამ ფუნქციას -ვე ნაწილაკი ზმნებში უფრო მკაფიოდ წარმოაჩენს, ვიდრე სხვა მეტყველების ნაწილებთან ფუნქციონირებისას.

3) -ვე ნაწილაკის კიდევ ერთი ძირითადი ფუნქციაა **განუსაზღვრელობითი** შინაარსის გამოხატვა. ამ ფუნქციით ხშირად ენაცვლება განუსაზღვრელობით -მე ნაწილაკს ნაცვალსახელებთან და ზმნიზედებთან: *რამდე / რამვე, ოდესმე / ოდესვე*... დ.

მელიქიშვილის ვარაუდით, -ვე და -მე ნაწილაკების იდენტური ფუნქციის დიფერენცირება მეორეული მოვლენა უნდა იყოს (დ. მელიქიშვილი 1968:141):

„და ნურა დამაბრკოლებნ მიზეზი რადვე“ [გობრ. 182:7].

„უკუე ვინმე პირველ და ძუელ ოდესვე აღწერილსა მოქალაქობასა ამის ღირსისასა მიხედვიდეს, ნუ დაუკრდების ესრეთ სიმარტივით აღწერად სიტყუათა მაბრალობელსა კელყოფისა ჩემისა“ [აგიოგრაფ. ძეგლ. III. დავ. გარ. 171:24-27].

4) -ვე ნაწილაკის მეოთხე, აქამდე უცნობ ფუნქციას ასახელებს ნ. სურმავა ქუთაისელ ებრაელთა მეტყველებაზე დაყრდნობით იგი განიხილავს რუბენ ენოხის საკონფერენციო მოხსენებას ქუთაისელი ებრაელების მეტყველებასთან დაკავშირებით. ნ. სურმავას თქმით, ნაშრომში საუბარია -ვე ნაწილაკის საშუალებით ობიექტის მრავლობითობის გამოხატვის უნარსა და შემთხვევებზე. ავტორის მოსაზრებით, ამ ფუნქციით -ვე ნაწილაკი -თ სუფიქსის ფარდია. ასევე გავლებულია პარალელი დიალექტებისთვის დამახასიათებელ -ყე ნაწილაკთან (ნ. სურმავა 2014:59-60). ამგვარი ფუნქციით -ვე ნაწილაკი ჩვენ მიერ შესწავლილ ძეგლებში, ცხადია, არ დასტურდება. როგორც ცნობილია, თვით -ყე ნაწილაკიც გვიანდელი (XI საუკუნიდან) მოვლენაა ქართულისათვის და აღნიშნული სახით ფუნქციონირება ნაკლებ მოსალოდნელია V-X საუკუნეების ძეგლებში.

6.4. -რე ნაწილაკი

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა -რე ნაწილაკთან დაკავშირებით. მეცნიერები სხვადასხვა პრინციპით განსხვავებულ განმარტებებს იძლევიან და ზოგჯერ სხვადასხვა მეტყველების ნაწილადაც მიიჩნევენ. -რე ნაწილაკის შესწავლის ისტორიას გვთავაზობს თ. ყაუხჩიშვილი. მეცნიერი თანმიმდევრულად განიხილავს ამ ნაწილაკთან დაკავშირებით გამოთქმულ თითოეულ ვერსიას. მისი თქმით, საბა -რე ნაწილაკს განმარტავს, როგორც „ართრონი სიტყუათა მშვენიერმყოფელი.“ დ. ჩუბინაშვილი მას „ლექსთა დამამშუენებლად“ მიიჩნევს. „სამკაულად“ მიაჩნია ანტონსაც. პლატონ იოსელიანი მიუთითებს კავშირის ფუნქციას.

ს. ყაუხჩიშვილის მოსაზრებით კი, **-რე** ნაწილაკი გამოიყენება ზედსართავებთან და ზმნიზედებთან **შედარებითი ხარისხის** აღსანიშნავად. თავად ავტორის, თ. ყაუხჩიშვილის ვარაუდით, სომხური და ბერძნული ტექსტების ანალიზი და შესატყვისთა ჩვენება ნათელს ხდის, რომ **-რე** **ესრე**, **ეგრე**, **ვიდრე** ფორმებში შედარებით ხარისხზე არ მიუთითებს, არამედ **ნაირგვარობას** გამოხატავს. თუმცა გვხვდება ხარისხის გამოხატვის ფუნქციითაც: **უცხორე - უფრო უცხო** (თ. ყაუხჩიშვილი 1946:271-273).

ხარისხის გამოხატვის ფუნქციით **-რე** ნაწილაკის გამოყენება შემთხვევით მოვლენად მიაჩნია ლ. ნოზაძეს. მეცნიერის მოსაზრებით, **-რე** ვერ აწარმოებდა ხარისხის ფორმებს, რადგან ის ერთვის ხარისხის მაწარმოებელი აფიქსებით გაფორმებულ სახელს - უბოროტესად-რე, უმცრო-რე, უგრილე-რე. ასევე, **-რე** ერთვის ზმნასაც და არსებით სახელსაც, რომლებშიც ხარისხის მაწარმოებლად, ცხადია, ვერ მივიჩნევთ (ლ. ნოზაძე 1988:129).

-რე ნაწილაკის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა **სახის, რაგვარობის** გამოხატვა **ესრე**, **ეგრე** ჩვენებით ნაცვალსახელებზე დართვისას, როდესაც ზმნისართს აწარმოებს. **-რე** ნაწილაკი ზმნისართულ ელემენტად გააზრიანდა მას შემდეგ, რაც დასახელებულ ფორმებში დაიკარგა მოქმედებითი ბრუნვის ნიშანი **-თ** (**ესრე-თ>ესრე**, **ეგრე-თ>ეგრე**) და გაქვავებული ფორმები ზმნიზედებლად დამკვიდრდა ენაში. ახალ ქართულში დაკარგა რ თანხმოვანიც და ოდენ **-ე** ხმოვნითი ნაწილაკი შემორჩა (ლ. ნოზაძე 1988:140). ამ ფუნქციით **-რე** ნაწილაკი საკმაოდ ხშირად გვხვდება ძველი ქართული ენის ჩვენ მიერ შესწავლილ ტექსტებში:

„და ჰრქუეს: **„ეგრე ვყოთ**“ [ევსტ. 44:15].

„**ეგრე იყოს**, ვითარცა შენ სთქუ ყოფად“ [ევსტ. 45:1].

„ხოლო იყო **ესრე** სახედ“ [აბ. 62:11].

-რე ნაწილაკის მეორე ფუნქციაა **სიმცირის, ოდნაობის** გამოხატვა (ლ. ნოზაძე 1988:139):

„და **ნელად-რე** შეკრბა ქართლი“ [მოქც. ქართლ. 95:12-13].

„**უჩუნა მათ მთად ესე ერთი მახლობელად მცხეთას აღმოსავალით-რე**“ [ზედაზნ. 201:2-4].

მიუხედავად განსხვავებისა -რე ნაწილაკისთვის დამახასიათებელი **ოდნობისა** და **რაგვარობის** მნიშვნელობებს შორის, საბოლოოდ, ორივე მათგანი ერთ მნიშვნელობაზე დაიყვანება და საერთო წარმომავლობა ივარაუდება. დიაქრონიული ანალიზის საფუძველზე მოსალოდნელია, რომ -რე ნაწილაკი **რაჲ** განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელისგან მომდინარეობდეს (და-რაჲ-აღმო//და-რე-აღმო). სწორედ ამ მნიშვნელობიდან უნდა განვითარებულიყო ჩვენთვის საინტერესო -რე ნაწილაკის ორივე ფუნქცია. რამდენადაც **რაჲ** განუსაზღვრელობითი ფუნქციით დასავლური დიალექტის კუთვნილებაა, -რე ნაწილაკიც ამ დიალექტური არეალიდან შემონატანი შეიძლება იყოს (ლ. ნოზაძე 1988:139).

6.5. -ლა ნაწილაკი

-ლა ნაწილაკის ძირითადი ფუნქციაა დროზე მითითება. სხვადასხვა მეტყველების ნაწილზე დართვისას გარკვეული დროული ნიუანსი შეაქვს წინადადებაში და გამოხატავს „**ჯერ, ჯერ კიდევ, კვლავ, ისევ, კიდევ**“ მნიშვნელობებს (ე. ბაბუნაშვილი 1957:236-237):

„*აქამომდე ცოცხალ-ლა არსა საწყალობელი იგი?*“ [შუმ. 21:21-22 A⁴⁴]. შდრ.: ცოცხალ G⁴⁵.

„*რამეთუ არლა მოწევნულ იყო ჟამი მისი*“ [აბ. 62:19].

ამ ფუნქციიდან უნდა განვითარებულიყო **გამორჩევითობის** ფუნქცია, როდესაც -ლა ნაწილაკი **მხოლოდ, მარტო**-ს მნიშვნელობით გამოიყენება (ე. ბაბუნაშვილი 1957:236-237). მეორეული ფუნქციით შედარებით ნაკლები სიხშირით დასტურდება -ლა ნაწილაკი ჩვენ მიერ შესწავლილ ძეგლებში:

„*და დღისი მამაჲ ჩემი მოგუებასა მასწავებნ და ლამე-ლა ქრისტეანეთა დაჰრეკიან, ეკლესიად მივიდი და ვისმენდი ჟამობასა მას მათსა*“ [ევსტ. 35:29-31].

„*რამეთუ მცირედ-ლა ყოფად არს ჩემი ჯორცთა შინა ყოფად*“ [გრიგ. 255:35].

⁴⁴ A-95, პარხლის მრავალთავი (X ს.).

⁴⁵ A-832 (XIII-XIV სს.).

-**ღა** ნაწილაკი კიდევ უფრო იშვიათი გამოყენებისაა ახალ ქართულში. ფუნქციური მრავალფეროვნების მიუხედავად, მაინც ვიწროვდება მისი გამოყენების არე. განვითარების პროცესში სემანტიკური მხარე მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, თუმცა დროის სემანტიკა შედარებით დაიჩრდილა და გამორჩევითობის მნიშვნელობა გააქტიურდა. როგორც სხვა ნაწილაკების შემთხვევაში, აქაც აღწერითი წარმოება იკიდებს ფეხს და **მხოლოდ, მართო** ფორმები ანაცვლებს -**ღა** ნაწილაკს.

6.6. უტე ნაწილაკი

უტე ძველი ქართული ნაწილაკია და ნიშნავს „დაე“ (ა. შანიძე 1976:149). ორიგინალურ ლიტერატურაში უიშვიათესად ვხვდებით და ისიც ყველაზე ადრეულ ძეგლში („შუშანიკის წამებაში“). როგორც ჩანს, ამ პერიოდისათვის ის უკვე აღარ გამოიყენება სალიტერატურო ქართულში ან საერთოდაც დიალექტური მოვლენაა. ვნახოთ ერთადერთი მაგალითი ჩვენ მიერ შესწავილი მასალიდან:

„ნურარად გგლიან, უტე, მოკუდეს“ [შუშ. 22:24-25].

ა. შანიძის მოსაზრებით, **უტე** უნდა მომდინარეობდეს ზმნისგან **უტევე**. ზმნური სემანტიკა გარკვეულწილად შეიმჩნება ნაწილაკშიც, თუმცა მასალის სიმცირის გამო ამ ეტაპისთვის რთულია ცალსახად რამის თქმა (ა. შანიძე 1976:149).

თავის მხრივ, ზმნური ფორმიდან მომდინარეობს **დაე** ნაწილაკიც (<დაეხსენ) და მესამე პირთან მიმართებით გამოხატავს მუქარას, თანხმობას ან სურვილს, ნატვრას (გ. გოგოლაშვილი 2011:416-417). ეს სემანტიკური ნიუანსები კიდევ უფრო ნათელს ხდის **უტე** ნაწილაკის შინაარსობრივ და ფუნქციურ მხარეს. კონტექსტიდან გამომდინარე, აღნიშნული ნაწილაკი სწორედ თანხმობას და გარკვეულწილად ნატვრასაც გამოხატავს, რაც აახლოებს **დაე** ნაწილაკთან.

6.7. რეცა ნაწილაკი

რეცა ძველ ქართულში საკმაოდ ხშირად დადასტურებული ნაწილაკია, თუმცა მასთან დაკავშირებით ცოტაა ნათქვამი სამეცნიერო ლიტერატურაში. როგორც ვიცით, თითქოს ახალ ქართულში მიახლოებითობის (გ. გოგოლაშვილი 2011:417), არარეალურობის, მიმსგავსების გამომხატველი ნაწილაკია და მისი შესაბამისი რეცა ფორმაც ნაწილაკად უნდა განვიხილოთ. ამდენად, ნაწილაკთა ჩამონათვალს ძველ ქართულში შეგვიძლია დავუმატოთ ეს ფორმაც არაერთი მაგალითითა და კონტექსტით:

„მოიყვანნა ივინი და შეკრიბნა და ამბორს-უყოფდა, რეცა სიყუარულითა“ [დავ. ტირ. 187:8-9].

„არღარა შესძინა კუალად სიტყუად მისა, არამედ თვნიერ დედისა მათისა მოუწოდა სანატრელთა მათ ყრმათა და სიტყუთა რეცა ტკბილითა უნდა სიმწარედ რეცა გარდაქცევად მათი“ [დავ. ტირ. 187:2-3].

„ეტყვიედ რომელნიმე რეცა სიტყვითა ლიქნისაითა“ [აბ. 66:13-14].

„ტყულით რეცა თუ სასწაულსა და კურნებასა რასმე განასთქუმედ ერსა შორის“ [აბ. 72:2-3].

„ძუალსა მისსა განიყოფედ რეცა საცოდ სნეულთათვის“ [აბ. 72:3-4].

„რეცა ხოლო რომელთამე რეცა-თუ ცილობით წინააღუდგებინ, არამედ მიზეზ სწავლისა ექმნებინ მას“ [აბ. 57:15-16].

ჩვენ მიერ შესწავლილი მასალიდან თხუთმეტ შემთხვევაში დადასტურდა რეცა ნაწილაკი და ძირითადად ზემოაღნიშნული ფუნქციით. როგორც ჩანს, მიახლოებითი, არარეალური სემანტიკის გამოსახატავად თითქოს ნაწილაკის ჩამოყალიბებამდე –რეცა უნდა გამოყენებულიყო ძველ ქართულში.

6.8. კნინლა, -აკ ნაწილაკები

კნინობითი ნაწილაკები შედარებით იშვიათი მოვლენაა ქართული სალიტერატურო ენისათვის. მათი ნაკლებობა კიდევ უფრო დამახასიათებელი გახდა ახალ ქართულში. თანამედროვე ქართულში კნინობითობის გამოხატვა, ძირითადად, **აღწერითად, ლექსიკური საშუალებებით** ხდება (პატარა, მცირე...). კნინობითი ნაწილაკები მხოლოდ გაქვევებული ფორმით შემორჩა სიტყვებში (ა.შანიძე 1980:21; ი. შილაკაძე 1967:175-176). ა. შანიძე ასახელებს რამდენიმე ნაწილაკს ქართულში კნინობითობის გამოსახატავად (-ა, -აკ, -იკ, -ილ -უკ, -უნ) (ა.შანიძე 1980:21).

ძველ ქართულში კნინობით ნაწილაკს წარმოადგენდა -აკ, რომელიც დასტურდება სიტყვებში: წიგნაკი, შვილაკი, დებორაკი... იგივე ნაწილაკი სომხურშიც დასტურდება და, სავარაუდოდ, ირანულიდან ნასესხობად მიიჩნევა. ა. შანიძე სამართლიანად შენიშნავს, რომ „*კნინობითის ა მიღებულია აკ-ისაგან, რომელიც ამჟამად წიგნ-აკ-ში და გორ-აკ-შია შემონახული*“ [ა. შანიძე 1980:121]. -აკ ნაწილაკისგან მიღებული -ა ძველ ქართულშივე აქტიურად გამოიყენება სადერივაციო ფუნქციით, განსაკუთრებით ანთროპონიმების საწარმოებლად: ბერ-ა, სულ-ა, გუდ-ა...

მოგვყავს -აკ ნაწილაკის გამოყენების მაგალითები ჩვენ მიერ გაანალიზებული ემპირიული მასალიდან:

„სახლაკი ერთი მცირე პოვა მახლობელად ეკლესიასა და შევიდა მუნ შინა სიმწრითა სავსე“ [შუმ. 13:7-8].

„ხოლო შეკრებასა მას ყოველთასა ნებითა ღმრთისაჲთა გიხილო მხიარული და ბრწყინვალე, ვითარცა რაჲ მუშაკი კეთილი“ [ზარზმ. 337:9-10].

„პირველად ჩუნ ზოგად მოვიწიენით უდაბნოსა ამას წმიდასა მე, გლახაკი გრიგოლ, და ლაბან, იშხნისა ეპისკოპოსი“ [გრიგ. 279:30-31].

ძველ ქართულში **კნინ-ი** ზედსართავ სახელს წარმოადგენდა და ნიშნავდა „მცირეს“; **კნინ** - „ცოტათი, ცოტა“ (ზ. სარჯველაძე 2001:107); „მცირედლა, მცირედ“ (ი. აბულაძე 1973:200) (ამ დროს ჭირს ზღვარის გავლება ნაწილაკსა და ზმნიზედას შორის), ხოლო ამ უკანასკნელის -ლა ნაწილაკდართული ფორმა **კნინლა** „თითქმის“ (ზ.

სარჯველაძე 1997:162; 2001:107) ნაწილაკის ფუნქციით გამოიყენებოდა ძველ ქართულში:

„ესე რაჲ ცნეს უშჯულოთა მათ სპარსთა, ფრიად გუემეს, კნინლა ვიდრემელა მოკლეს ნეტარი იგი“ [აბიბ. 242:19-21].

ჩვენს ხელთ არსებულ მასალაზე დაკვირვებამ გვიჩინა, რომ ამ პერიოდისათვის ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულ მწერლობაში *კნინლა* ნაწილაკი უკვე კარგავს კნინობითობის გამოხატვის ფუნქციას. უფრო ხშირია -*ლა* ნაწილაკის გარეშე ზმნიზედური ფუნქციით გამოყენება.

6.9. მეზრ ნაწილაკი

მეზრ ნაწილაკი გამოხატავს „სრულიად, სრულებით“ და, ძირითადად, უარყოფითი სემანტიკის გამომხატველ წინადადებებში გვხვდება (ა. შანიძე 1976:149). ჩვენ მიერ შესწავლილ მასალაშიც ვხვდებით ამ ნაწილაკს ამავე მნიშვნელობით:

„წმიდანო მამანო, ვინაჲთგან გიხილენით თქუნ, დაგუავიწყდა მეზრ, თუ ქუეყანასა ზედა ვართ ჩუნ“ [გრიგ. 275:36-37].

მეზრ ნაწილაკი ახალ ქართულს აღარ ახასიათებს. მის ნაცვლად ზემოაღნიშნული ზმნიზედები გამოიყენება შესაბამისი სემანტიკის გამოსახატავად.

6.10. სამე ძველ ქართულში

სამე რთული ნაწილაკია, ჩამოყალიბდა *სა + მე > სამე* პროცესის შედეგად. -*სა* იგივეა, რაც *სადა* სიტყვაში, ხოლო -*მე* კითხვით-განუსაზღვრელობითი ნაწილაკია (ე. ბაბუნაშვილი 1957:244). მიუხედავად იშვიათი გამოყენებისა, *სამე* ხასიათდება ფუნქციური მრავალფეროვნებით. გავეცნოთ თითოეულს:

პირველი ფუნქციით *სამე* გამოხატავს „*მაშ, დიახ, კი*“; „*ცხადია*“; „*მართლაც*“ მნიშვნელობებს (ა. შანიძე 1976:149; ზ. სარჯველაძე 2001:183). ამ ფუნქციით

გამოყენებისას -**მე** ნაწილს დაკარგული აქვს ამოსავალი მნიშვნელობა და ოდენ სუფიქსურ ელემენტადაა ქცეული.

მეორე ფუნქციაა განუსაზღვრელი ნაწილაკების „**თურმე, ეგების**“ მნიშვნელობის გამოხატვა. როცა **სამე** განუსაზღვრელობითი ფუნქციით არის გამოყენებული, ჭირს ზღვარის გავლება ნაწილსა და ზმნიზედას შორის (ე. ბაბუნაშვილი 1957:244).

ზმნიზედური (განუსაზღვრელობითი) ფუნქციის გამოყოფის დროს შესაძლებელი ხდება **სამე**-ს ადგილის ან დროის ზმნიზედებში გაერთიანება შემდეგი მნიშვნელობებით „**სად?**“, „**სადმე**“; „**ოდესმე**“, „**ზოგჯერ**“. განუსაზღვრელობის შინაარსს მას -**მე** განუსაზღვრელობითი ნაწილაკი ანიჭებს (ზ. სარჯველაძე 2001:183; დ. მელიქიშვილი 1984:100-101).

ასევე -**მე** ნაწილაკის გავლენით **სამე** კითხვითი ნაწილაკის ფუნქციითაც გვხვდება პარალელურ რედაქციებში, როდესაც ფუნქციურად -**მე** კითხვითი ნაწილაკის ეკვივალენტია (ე. ბაბუნაშვილი 1957:243):

„*თავი შენი სამე დასდვა ჩემ ზედა?*“ [ი 13,38 C] (ე. ბაბუნაშვილი 1967:243).

სამე ჩვენ მიერ შესწავლილი ძეგლებიდან მხოლოდ ერთადერთ ძეგლში - „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ შატბერდულ რედაქციაში (X ს.) გვხვდება მხოლოდ **სამე** შემთხვევაში, ხოლო აღნიშნული ძეგლის მოგვიანო პერიოდის (XIV ს.) ნუსხაში კი დამატებით ორი შემთხვევა დადასტურდა. ამის საპირისპიროდ გვიანდელი რედაქციის ერთ კონტექსტში **სამე** აღარ დასტურდება, განსხვავებით ძველი რედაქციისგან. გავეცნოთ თითოეულ შემთხვევას.

სამე დასტურდება ორივე რედაქციაში შემდეგ კონტექსტებში:

„*იგი ყრმაჲ გან-სამე-ზრდილ არს*“⁴⁶, *საზომსა ჰასაკისასა მოწევნულ არს*“ [მოქც. ქართლ. 127:20-21].

„*მალე მოხუდით. დიდად სამე არს ლაშქარი უზომო, ვიდრემე ხართ*“⁴⁷ [მოქც. ქართლ. 140:34-36].

სამე დასტურდება ოდენ ძველ ხელნაწერში (X ს.):

⁴⁶ იგი ყრმაჲ გან-სამე-ზრდილ არს] იგი სამე ყრმაჲ გაზრდილ არს C.

⁴⁷მალე მოხუდით. დიდად **სამე** არს ლაშქარი უზომო, ვიდრემე ხართ] და მალე **სამე** მოხუდით, ძლიერად და დაჰლეწეთ ქალაქი ესე და მახული დაეციოთ C.

“ვჰმსახურებდით სამე დაბადებულთა და არა დამბადებელსა“ [მოქც. ქართლ. 125:27-28].

სამე წარმოდგენილია მხოლოდ გვიანდელ ნუსხაში (XIV ს):

„აწ დიდად სამე ჰჭირს, ვჰმადლობ ღმერთსა, ჩანს, რამეთუ ნიშანი მათისა წარწყმედისაჲ არს“ [მოქც. ქართლ. 140:22-25].

“მაშინ მესამესა დღესა ძლით სამე დავმარხეთ ყოლად-ვე ღუაწლით შემოსილი გუამი მისი დიდითა პატივითა” [მოქც. ქართლ. 161:32-34].

თითოეულ შემთხვევაში სამე „მართლაც“ ნაწილაკის ფუნქციით გამოიყენება. ფაქტია, რომ სამე იშვიათად დასტურდება ძველი ქართული ენის აღნიშნული პერიოდის (V-X სს.) ორიგინალურ ლიტერატურაში, რამდენადაც თოთხმეტი ძველიდან მხოლოდ ერთი ტექსტის ორ რედაქციაშია წარმოდგენილი. საინტერესო იქნებოდა ამ კუთხით ნათარგმნი ლიტერატურის უცხოური შესატყვისების გათვალისწინებაც, რაც სამომავლო საქმედ გვესახება. ამ ეტაპისთვის მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ სამე ძველი ქართული ენის ფაქტია და საყურადღებოა თავისი ფუნქციური მრავალფეროვნებით.

6. 11. მრავალგზისობის გამომხატველი

ხოლმე და -ყე /-კე ნაწილაკები

ქართულ ენაში მრავალგზისობის გამოსახატავად ორგვარი საშუალება გამოიყენება - ორგანული და აღწერითი. ორგანული წარმოება დამახასიათებელია ძველი ქართულისათვის, კერძოდ, იმ პერიოდისათვის, როდესაც ზმნას ხოლმეობითის მწკრივები მოეპოვებოდა. ახალ ქართულში მრავალგზისობა ხოლმე ნაწილაკის დართვით ან შესაბამისი სემანტიკის ზმნისართებით (ხშირად, მუდამ...) გამოიხატება. გარდამავალ საფეხურზე გვხვდება კონტამინაციური წარმოებაც, რაც ხოლმეობითის მწკრივების გაქრობისა და ხოლმე ნაწილაკის დამკვიდრების პროცესს ასახავს. ფუნქციის თვალსაზრისით ხოლმე ნაწილაკი ცალსახად ოდენ მრავალგზისობის გამომხატველია (ნ. შარაშენიძე 1996:119-120).

ხოლმე მრავალგზისობის გამოხატვის ფუნქციით გამოიყენება XVII-XVIII საუკუნეებიდან. ფონეტიკურ ნაირსახეობებად დასტურდება **ხუალმე, ხვალმე, ხოლე** ფორმები, რომლებიც დიალექტურ ოდენობებად მიიჩნევა (ხოლე დასტურდება ძველ ქართულშიც). სავარაუდოდ, **ხოლმე** ნაწილაკიც დიალექტიდან შემოსული უნდა იყოს (ნ. შარაშენიძე 1996:120). საშუალო ქართულში **ხოლმე** ნაწილაკის წარმოშობისა და შემდგომი განვითარების ისტორიას გვთავაზობს ნ. შარაშენიძე. ავტორი ვრცლად მიმოიხილავს აღნიშნული პერიოდის ორიგინალურ ქართულ ლიტერატურში დადასტურებულ **ხოლმე** ნაწილაკს და მის ფონეტიკურ სახესხვაობებს. მეცნიერის მოსაზრებით, „ვეფხისტყაოსანსა“ და „ამირანდარეჯანიანში“ ჯერ კიდევ არაა ჩამოყალიბებული **ხოლმე** ნაწილაკის მრავალგზისობის ფუნქცია, რადგანაც ჯერ კიდევ მოქმედია ხოლმეობითის მწკრივები. „ვეფხისტყაოსანში“ **ხვალმე, ხოლმე, ხოლე** გამოხატავს იმავე შინაარსს, რასაც **ბარემ, მხოლოდ, ხომ** ელემენტები. აქვე გვხვდება **ხოლმე** პირველად **მრავალგზისობის** ფუნქციითაც (ნ. შარაშენიძე 1996:120-121).

უარყოფით ნაწილაკთან დასტურდება **ყოლა (ყოლ/ყოლე)** ფორმაც, რომელიც გამოხატავს **სრულებით, სულაც, სულ, მუდამ** ელემენტთა მნიშვნელობებს (ნ. ნათაძე 1986). ნ. შარაშენიძის მოსაზრებით, სწორედ **ყოლ/ყოლა/ყოლა** ფორმისგან უნდა იყოს მიღებული **ხოლმე** ნაწილაკი შესაბამისი სემანტიკით. **ხოლმე**-ს საშუალებით გამოიხატა დროული და სივრცული მთლიანობა. **-მე** ნაწილაკმა, რომელიც მოგვიანებით დაერთო **ყოლე** ფორმას, განაპირობა დროის სემანტიკაზე დაყრდნობით მრავალგზისობის გამომხატველი ნაწილაკის ჩამოყალიბება (ნ. შარაშენიძე 1996:125-129).

მრავალგზისობის გამომხატველი **ხოლმე** ნაწილაკის ფუნქციით ქართულ დიალექტებში გამოიყენება **-ყე** ნაწილაკი, რომელიც რიგ დიალექტებში ფონეტიკურ **-კე** ვარიანტსაც იძლევა. **-ყე** ნაწილაკი ზმნას დაერთვის I და II პირის ფორმასთან ობიექტის სიმრავლის აღსანიშნავად. ფერეიდნულში სუბიექტის სიმრავლესაც გამოხატავდა, რაც არნ. ჩიქობავას მოსაზრებით, განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ ასეთ ზმნებში გრამატიკული სუბიექტი რეალური ობიექტია და ორივე მათგანში ერთი და იმავე საშუალებით გამოიხატა მრავლობითობა. ამ ფუნქციით **-ყე** არ გვხვდება დიალექტებში. **კახურში** ოდენ ობიექტის მრავლობითობა გამოიხატება შესაბამისი **-თ** ელემენტით. **ქართლურის გავლენით** კახურმა დაკარგა ფორმა, მაგრამ შეინარჩუნა **-ყე** ნაწილაკის

მნიშვნელობა და სალიტერატურო ქართულისათვის ბუნებრივი სამუალება გამოიყენა. - **ყე** ნაწილაკისათვის ამოსავალი ფუნქცია სწორედ მრავლობითობის გამოხატვა იყო. ამის საფუძველზე განვითარდა **მრავალგზისობის** გამოხატვის ფუნქციაც. მოგვიანო პერიოდში სწორედ **ხოლმე** ნაწილაკის ფუნქციით გამოიყენება. -**ყე** ნაწილაკი სამუალო ქართულში გვხვდება პერმანსივთანაც, რაც უკვე ნაწილაკის მოშლის ტენდენციის მაჩვენებელია (არნ. ჩიქობავა 1925:32-68).

ივ. ქავთარაძის მოსაზრებით, -**ყე** ნაწილაკს ჰქონდა კითხვით-დადასტურებითი ნაწილაკის (ხომ, აკი კიდევ) მნიშვნელობაც, მაგრამ დროთა განმავლობაში იმარჯვებს **ხოლმე**-ს ფუნქციით გამოყენება. მეცნიერის მოსაზრებით, ორგანული ფორმების მოშლის დროს, **ხოლმე**-ს საჭიროების გაჩენისთანავე ჩნდება **ყე/კე** ნაწილაკებიც. XI-XVIII საუკუნეებში ფართოდაა გავრცელებული მათი გამოყენების შემთხვევები მრავლობითობის ფუნქციით. პირველად დასტურდება XI საუკუნიდან, დავით აღმაშენებლის მიერ შიო მღვიმისადმი ბოძებულ ანდერძში. ნაწილაკი თანდათან იფართოებს გავრცელების არეს და მრავალგზისობის გამოხატვის ფუნქციას. უკვე XII-XVIII საუკუნეების ტექსტებში აღნიშნული ნაწილაკი აშკარად **ხოლმე** ნაწილაკის ფარდია (ივ. ქავთარაძე 1961:23-26).

-**ყე** ნაწილაკს ფერეიდნულში ჰქონდა თანდებულის ფუნქციაც. ამავე ფუნქციით გვხვდება გარე კახურშიც -**ყე/-ყენ** ფორმაც, რომელსაც ქართულში -**გან**, ხანდახან კი -**კენ** თანდებული შეესატყვისება (ა. ჩიქობავა 1925:56).

-**ყე** ნაწილაკის გავრცელების არე, ძირითადად, ფერეიდნული, ინგილოური, კახური, მთიულური, ქიზიყური, მოხეური დიალექტებია. დასავლეთ საქართველოში კი იმერულში, რაჭულსა და ლეჩხუმურში დასტურდება. ქვემო იმერულსა და მთიულურში -**ყე** ნაწილაკს ფონეტიკური -**კე** ვარიანტი შეესაბამება. სალიტერატურო ენის გავლენით -**ყე** ნაწილაკი თანდათან იკარგება დიალექტებშიც. საჭიროების შემთხვევაში ნაწილაკის ფუნქციებს სხვა ელემენტები (-თ, ხოლმე) ინაწილებენ (არნ. ჩიქობავა 1925:56).

ჩვენ მიერ შესწავლილ ძეგლებში, რომლებიც მოიცავს V-X საუკუნეების ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურას, -**ყე** ნაწილაკი არ დასტურდება. ამ პერიოდისათვის ჯერ კიდევ აქტიურია ხოლმეობითის მწკრივები მრავალგზისობის

გამოსახატავად, შესაბამისად, არც არსებობდა აღნიშნული ნაწილაკის გამოყენების საჭიროება. მრავალგზისობის ორგანული წარმოებიდან აღწერით წარმოებაზე გადასვლა მოგვიანო ხანისთვისაა დამახასიათებელი.

დასკვნა

ამრიგად, მოცემულ ნაშრომში შევეცადეთ გვეჩვენებინა ნაწილაკების ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირების პროცესი V-X საუკუნეების ძველ ქართულში ორიგინალური ჰაგიოგრაფიული ლიტერატურის შესწავლის საფუძველზე.

პირველ თავში საუბარია კითხვით ნაწილაკებზე, კერძოდ, -ა, -მე, -მეა, ნუ, ნუუკუე, ნუთუ (ანუ) ელემენტებზე. როგორც ცნობილია, კითხვით წინადადებაში კითხვითობის გამოსახატავად ტონალობასთან ერთად ხშირად გამოიყენება კითხვითი სიტყვები და კითხვითი ნაწილაკები. ძველი ქართული ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო სურათს იძლევა. ენის განვითარების ადრეული ეტაპისათვის დამახასიათებელია მრავალფეროვანი კითხვითი ელემენტები, რომლებიც ხშირად, კითხვით სიტყვებთან (კითხვით ნაცლასახელებთან და კითხვით ზმნიზედებთან) ერთად, ჭარბადაც გამოიყენება. კითხვითი სემანტიკის პლეონასტური წარმოება მიუღებელია ქართული ენის ბუნებისათვის და იკარგება კიდევ. ახალ ქართულს აღარ ახასიათებს -ა, -მე, -მეა, ნუუკუე ნაწილაკები, ნუ ნაწილაკი ოდენ უარყოფითი ნაწილაკის ფუნქციით გამოიყენება, ხოლო განა, ხომ კითხვითი ნაწილაკები საშუალ ქართულში ყალიბდება და, ძირითადად, ახალი ქართულისთვისაა დამახასიათებელი. ძველ ქართულიდან კითხვითობის ფუნქციით ოდენ ნუთუ ნაწილაკი შემორჩა, რომელიც IX საუკუნიდან დასტუდება ენაში.

ემპირიული მასალის კვლევამ აჩვენა, რომ ძველ ქართულს ძალიან იშვიათად ახასიათებს ისეთი კითხვითი წინადადებები, რომლებშიც კითხვითი ელემენტები (კითხვითი ნაწილაკები ან კითხვითი სიტყვები) არ იქნება წარმოდგენილი. თითოეულ ელემენტთან დაკავშირებით საკმაოდ ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს, თუმცა ჩვენ ვერ მივაკვლიეთ ინფორმაციას კითხვითი -ა ნაწილაკის მრჩობლად გამოყენების შესახებ. მსგავსი შემთხვევები ჩვენი კვლევის ფარგლებში დადასტურდა.

ჩვენი აზრით, ეს პროცესი განპირობებული უნდა იყოს მახვილის გავლენით. გარკვეულია, რომ -ა ნაწილაკიან კითხვით ფორმებზე კითხვითი ტონი მოდიოდა ბოლოდან მეორე მარცვალზე, -ა კითხვითი ნაწილაკის დუბლირების შედეგად ტონი დაეცემოდა უკვე თავად კითხვით ნაწილაკს, რომელიც ამ შემთხვევაში ბოლოდან

მეორე ხმოვანი აღმოჩნდებოდა, ამით კი მოხდებოდა კითხვითი -ა ნაწილაკის ერთგვარი აქცენტირება.

სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს -მე ელემენტის კითხვით ნაწილაკად კვალიფიცირება. მეცნიერთა ნაწილი მას კითხვით ნაწილაკად მიიჩნევს იმ არგუმენტით, რომ ის ხშირად ენაცვლება კითხვით ელემენტებს სხვადასხვა რედაქციებში. საპირისპირო მოსაზრების მიხედვით კი -მე ნაწილაკის კითხვით სიტყვებსა და ნაწილაკებთან ერთად გამოყენება საეჭვოს ხდის მის კითხვით ფუნქციას. ჩვენი აზრით, რადგანაც -მე ნაწილაკისათვის ძირითადი ფუნქცია ძველ ქართულშივე განუსაზღვრელობის გამოხატვა იყო და -მე ნაწილაკი თავიდანვე გულისხმობდა **გაურკვეველ, საკითხავ შინაარსს**, ამიტომ სრულიად ბუნებრივად დაიმკვიდრა ადგილი კითხვით წინადადებაში. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს -მე ნაწილაკის **ჭარბ** გამოყენებასთან, რაც განაპირობა, მისი **იმანენტური** შესაძლებლობიდან გამომდინარე, **ფუნქციონირების არის გაფართოვებამ**. ამდენად, -მე ნაწილაკის კითხვითობის გამოხატვის ფუნქცია **ხელოვნურია** და შეუძლებელია მისი **გრამატიკალიზაცია**.

ასევე სადავოა **ნუ** და **ნუუკუე** ნაწილაკების კითხვითობის ფუნქციაც. ფაქტია, რომ ორივე მათგანისათვის კითხვითობა მეორეულია, ორივე ფორმისათვის კითხვითობის ფუნქცია ბერძნულის კალკადაა მიჩნეული. ორიგინალურ ძეგლებში იშვიათ შემთხვევებში რეალიზდება ამ ფუნქციით. საზოგადოდ, ჩვენი აზრით, ძველი ქართულისთვის კლასიკური გაგებით კითხვით ნაწილაკად ოდენ -ა ნაწილაკი უნდა იქნეს მიჩნეული, დანარჩენებს გარკვეული მოდალური ნიუანსი შეჰქონდათ კითხვით წინადადებაში (დაეჭვების, ოპტატივის, განუსაზღვრელობის...).

ნაშრომის მეორე თავი ეთმობა **მიმართებით** ნაწილაკებს. მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ძველ ქართულში, ისევე როგორც ახალ ქართულში, მიმართებითობის მთავარი მაწარმოებელია -ცა ნაწილაკი. ამავე ფუნქციით გამოიყენებოდა ჩვენებითი ნაცვალსახელები: -ესე, -ეგე, -იგი და ნაცვალსახელი რაჲ. თითოეული ნაწილაკი დაერთვის კითხვით სიტყვებს (კითხვით ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს) და მიმართებითად აქცევს მათ. ჩვენ მიერ შესწავლილ მასალაში საკმაოდ ხშირად გვხვდება ნაწილაკის ჭარბი, ორმაგი გამოყენების შემთხვევებიც. განსაკუთრებით საინტერესოა ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთი წინადადების ფარგლებში მიმართებითობა

სხვადასხვა საშალებითაა გამოხატული. ასეთი მაგალითები კარგად ასახავს მიმართებითი ნაწილაკების ჩამოყალიბების პროცესებსა და გარდამავალ ვითარებას. ფაქტია, რომ ამგვარი მონაცვლეობა მიმართებითობის გამოხატვის ფუნქციით ჩვენებითი ნაცვალსახელების გამოყენების რღვევის შედეგი უნდა იყოს. საბოლოოდ კარგავს კიდევ მეორეულ ფუნქციას და მიმართებითობა ოდენ -ცა ნაწილაკით გამოიხატება.

მესამე თავი მოიცავს დადასტურებით და უკუთქმით ნაწილაკებს. შესწავლილი მასალის მიხედვით ფაქტია, რომ ნაწილაკთა ეს ჯგუფი შედარებით სტაბილურია ქართულში და არ განიცდის მკვეთრ ცვლილებებს ფორმოზრივი და ფუნქციური თვალსაზრისით. თითოეული მათგანი ენის განითარების ყველა ეტაპზე აქტიურად გამოიყენება და მკაცრად განსაზღვრულია მათი ფუნქციონირების არე. მიუხედავად ამისა, მასალის შესწავლამ ცხადყო, რომ დასტურდება ისეთი შემთხვევა, როდესაც არა და ვერ უარყოფითი ნაწილაკები ერთსა და იმავე პოზიციაში თავისუფლად მონაცვლებს, რაც მათს ამოსავალ იდენტურ ფუნქციონირებაზე მეტყველებს. არა და ვერ ნაწილაკების სრული ფუნქციური დიფერენციაცია და ვერ ნაწილაკის -ა ხმოვნით გავრცობა მოგვიანო პერიოდიდან (XI-XII) ივარაუდება.

კვლევამ ასევე აჩვენა, რომ, დინამიკური, შესაძლებლობის მოდალური სემანტიკის გამოსახატავად გარკვეულ შემთხვევებში, რომლებშიც თანამედროვე ქართულში არ უარყოფითი ნაწილაკი გამოიყენება, ძველში და ნაწილობრივ საშუალშიც ვერ დასტურდებოდა (ამ ტიპის მოდალობის გამოსახატავად ნუ გამოორიცხულია):

„დავეცი, უფალო.“ ჰრქუა მას უფალმან: „აღდეგ!“ „ვერ შემიძლია, უფალო“ [სწავ. წმ. მამ., 18:44, Titus].

ჩვენ მიერ შესწავლილ მასალაში ჰე დადასტურებითი ნაწილაკი საკმაოდ იშვიათად დასტურდება.

ნაშრომის მეოთხე თავში საუბარია დაეჭვების, შესაძლებლობის გამომხატველ ნაწილაკებზე. ამ საკითხთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურა მწირია საკუთრივ ნაწილაკების რაოდენობის სიმცირისა და იშვიათი ფუნქციონირების გამო. ძველ ქართულში დაეჭვების სემანტიკა, ძირითადად, აღწერთად გამოიხატებოდა. უცხო ენის გავლენით კი თარგმანებში თავი იჩინა სხვადასხვა მეტყველების ნაწილის

ნაწილაკური ფუნქციით გამოყენებამ. შესაძლებლობა-დაექვების ფუნქციით ძველ ქართულში დასტურდება შემდეგი ნაწილაკები: **ხოლო, ხოლოთუ // თუ ხოლო, ხოლოთუ ვითარ, გინც ხოლოთუ, ჰელამეთუ, ჰეთუმცა, -ძი...** ძირითადი ნაწილი ოდენ თარგმანებისთვისაა დამახასიათებელი. ჩვენ მიერ შესწავლილ ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში აღნიშნული სემანტიკის გამოსახატავად **ხოლო** ნაწილაკი დასტურდება. ჩვენი დაკვირვებით, **ხოლო**-ს ამ ფუნქციით გამოყენებისას („იქნებ“, „ეგებ“) ზმნა კავშირებითის მწკრივის ფორმითაა წარმოდგენილი და კავშირებითი კილოს გამომხატველია (**ხოლო**-ს მეორე მნიშვნელობით გამოყენებისას („მხოლოდ, მართლ“) ზმნა აღარაა კავშირებითის მწკრივში). სწორედ ეს ელემენტი ძირითადი დაექვების სემანტიკის გამოსახატავად. შემდეგ ხდება გართულება სხვადასხვა ელემენტით.

დაექვების გამოსახატავად ორმაგი წარმოებაც დასტურდება, როდესაც დაექვების ნაწილაკებს ერთვის „**ვინ იცის**“, „**ვინ უწყის**“ შესიტყვებები. სწორედ ამგვარი აღწერითი ფორმები და „იქნებ“, „ეგებ“ ნაწილაკები (რომლებიც XIV-XV საუკუნიდან მკვიდრდება) ითვისებს დაექვების სემანტიკის გამოხატვას საშუალო და ახალ ქართულში.

დაექვების ნაწილაკად ძველ ქართულში დასტურდება -**ძი** ნაწილაკიც. ჩვენ მიერ შესწავლილ მასალაში ის მხოლოდ ერთხელ დასტურდება, რაც სავსებით ბუნებრივია, რადგან, ძირითადად, თარგმანებისთვისაა დამახასიათებელი, როგორც უცხო ენის გავლენის შედეგი.

სხვათა სიტყვის ნაწილაკებზეა საუბარი ნაშრომის მეხუთე თავში. ნაწილაკების ეს ჯგუფი, ძირითადად, საშუალო და ახალი ქართულისთვის არის დამახასიათებელი, ძველ ქართულში იშვიათად გვხვდება. მართალია, ძველი ქართულისთვის ზ. სარჯველაძე ასახელებს სხვათა სიტყვის სამ ნაწილაკს: -**ო**, -**მეთქი**, -**თქუა** (ზ. სარჯველაძე 1997:161), მაგრამ ჩვენი კვლევის ფარგლებში გამოვლინდა მხოლოდ ორი ნაწილაკის გამოყენება: -**ო** და -**თქუა**.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს -**ო** ნაწილაკი, რომელიც სისტემურად და ნორმირებულად დასტურდება ჩვენს შესასწავლ მასალაში. არცთუ იშვიათი მაგალითების მიხედვით ნათელი ხდება -**ო** ნაწილაკის ფუნქციონირების არე. რამდენადაც ქართულისათვის დამახასიათებელია წინადადების ზმნით დასრულება, -**ო** ნაწილაკი,

ძირითადად, ზმნასთან გვხვდება წინადადების ბოლოშივე. სხვა მეტყველების ნაწილებთან დასტურდება მაშინ, როდესაც ზმნა გადასმულია წინადადების შუაში, ხოლო ნაწილაკდართული სხვა სიტყვა წინადადების ბოლოსაა. არის შემთხვევები, როდესაც -ო ნაწილაკი გადაჰყვება ზმნას წინადადების შუა პოზიციაშიც. ასევე, რთულ ქვეწყობილ წინადადებაში პირველი კომპონენტის (მთავარი წინადადების) ბოლოს დასტურდება სხვა მეტყველების ნაწილთან. ფაქტია, რომ -ო ნაწილაკი ამ დროის სამწერლობო ენისათვის უკვე გავრცელებული და კარგად დამკვიდრებული ფაქტია.

ცალკე, **მეექვსე** თავი ეთმობა შესაბამისი ჯგუფის გარეშე დარჩენილ ნაწილაკებს, რომლებიც არცთუ იშვიათია ენის განვითარების ამ ეტაპისთვის. ზოგიერთ ნაწილაკზე საკმაოდ მწირი ინფორმაციაა სამეცნიერო ლიტერატურაში. ასეთებია: **უტე, რეცა, სამე, მეზრ** და სხვები, რომლებიც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს და საინტერესო ვითარებას გვიჩვენებს ჩვენ მიერ შესწავლილ მასალაში.

-**მე** ნაწილაკის განუსაზღვრელ ფუნქციასთან დაკავშირებით ვრცლადაა საუბარი სამეცნიერო ლიტერატურაში. უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაწილაკი საკმაოდ დატვირთულია ფუნქციური თვალსაზრისით ძველ ქართულშივე. ამოსავალ ფუნქციად მიიჩნევა განუსაზღვრელობა. ასევე დასტურდება კითხვითობისა და ნატვრითობის გამოხატვის ფუნქციითაც. ხშირად გვხვდება კავშირებისა და ნაწილაკების შემადგენლობაში. -**მე** ნაწილაკის შეკვეცილი ფორმა ნატვრითობის სემანტიკით გვხვდება -**მცა** ნაწილაკის შემადგენლობაშიც.

-**მცა** ნაწილაკი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური ნაწილაკია ძველ ქართულში. ჩვენ მიერ შესწავლილმა მასალამ კიდევ ერთხელ ცხადყო მისი შემდეგი ფუნქციებით გამოყენება: 1. კავშირებითი კილოს გამოხატვა; 2. თხრობითი კილოს მომავალი დროის გამოხატვა; 3. ბრძანებითი კილოს წარმოება; 4. ირეალურ პირობით-შედეგობით წინადადებაში გამოყენება; 5. მეორე თურმეობითის სემანტიკის გამოხატვა. თითოეულ შემთხვევაში ფუნქციონირებისას მკაცრად განსაზღვრულია -**მცა** ნაწილაკის გამოყენების პრინციპები. კავშირებითი და ბრძანებითი კილოს გამოხატვის დროს -**მცა** ნაწილაკი შეუთავსებელია იმავე კავშირებითისა და ბრძანებითის მწკრივებთან. იშვიათი დარღვევის შემთხვევები -**მცა** ნაწილაკის ფუნქციონირების მოშლის შედეგია.

ქართულში ფუნქციური მრავალფეროვნებით ხასიათდება -ვე ნაწილაკი, რომელიც როგორც ძველი, ასევე ახალი ქართულისათვის ერთ-ერთი აქტიური ნაწილაკია. -ვე ნაწილაკი ერთვის თითქმის ყველა მეტყველების ნაწილს და სხვადასხვა მნიშვნელობას სძენს სიტყვას ან მთელ წინადადებას. ახალი ქართულისაგან განსხვავებით, ძველ ქართულში ერთვოდა ზმნასაც. ძველ ქართულ ტექსტებში -ვე ნაწილაკის პირველ, ძირითად მნიშვნელობად იგივეობის, იდენტობის გამოხატვა მიიჩნევა. მეორე მნიშვნელობა კი სინამდვილის, სიმართლის ხაზგასმაა. აღნიშნული სემანტიკა განსაკუთრებით კარგად გამოიხატება -ვე ნაწილაკის ზმნებზე დართვის დროს, რასაც, სამწუხაროდ, ნაკლები ყურადღება ექცევა. ამ ფუნქციითაც საკმაოდ აქტიურია აღნიშნული ნაწილაკი როგორც ძველ, ასევე ახალ ქართულში.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობაა -რე ნაწილაკთან დაკავშირებით. ემპირიულ მასალაზე დაკვირვებით დასტურდება, რომ -რე ესრე, ეგრე, ვიდრე ფორმებში შედარებით ხარისხზე არ მიუთითებს, არამედ ნაირგვარობას გამოხატავს. -რე ნაწილაკის მეორე ფუნქციაა სიმცირის, ოდნაობის გამოხატვა. მიუხედავად განსხვავებისა -რე ნაწილაკისთვის დამახასიათებელ ოდნაობისა და რაგვარობის მნიშვნელობებს შორის, საბოლოოდ, ორივე მათგანი ერთ მნიშვნელობაზე დაიყვანება და საერთო წარმომავლობა ივარაუდება. დიაქრონიული ანალიზის საფუძველზე მოსალოდნელია, რომ -რე ნაწილაკი რაღ განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელისგან მომდინარებდეს.

-ღა ნაწილაკის ძირითადი ფუნქციაა დროზე მითითება. სხვადასხვა მეტყველების ნაწილზე დართვისას მას გარკვეული დროული ნიუანსი შეაქვს წინადადებაში და გამოხატავს „ჯერ, ჯერ კიდევ, კვლავ, ისევ, კიდევ“ მნიშვნელობებს. ამ ფუნქციიდან უნდა განვითარებულიყო გამორჩევითობის ფუნქცია, როდესაც -ღა ნაწილაკი მხოლოდ, მარტო-ს მნიშვნელობით გამოიყენება. მეორეული ფუნქციით შედარებით ნაკლები სიხშირით დასტურდება -ღა ნაწილაკი ჩვენ მიერ შესწავლილ ძეგლებში.

უტე ძველი ქართული ნაწილაკია და ნიშნავს დაე-ს. ჩვენ მიერ შესწავლილ ორიგინალურ ჰაგიოგრაფიულ ლიტერატურაში უიშვიათესად ვხვდებით და ისიც ყველაზე ადრეულ ძეგლში - „შუმანიკის წამებაში“. როგორც ჩანს, ამ პერიოდისათვის ის

უკვე აღარ გამოიყენება სალიტერატურო ქართულში ან, საერთოდაც, დიალექტური მოვლენაა.

რეცა ძველ ქართულში საკმაოდ ხშირად დადასტურებული ფორმაა, თუმცა მის შესახებ საკმაოდ მწირი ინფორმაციაა სამეცნიერო ლიტერატურაში. როგორც ვიცით, **თითქოს** ახალ ქართულში მიახლოებითობის, არარეალურობის, მიმსგავსების გამომხატველი ნაწილაკია და მისი შესაბამისი **რეცა** ფორმაც ნაწილაკად უნდა განვიხილოთ. ჩვენ მიერ შესწავლილი მასალიდან თხუთმეტ შემთხვევაში დადასტურდა **რეცა** ნაწილაკი და ყველა შემთხვევაში ზემოაღნიშნული ფუნქციით. როგორც ჩანს, მიახლოებითი, არარეალური სემანტიკის გამოსახატავად **თითქოს** ნაწილაკის ჩამოყალიბებამდე **რეცა** უნდა გამოყენებულიყო ~~გამოიყენებოდა~~ ძველ ქართულში.

მებრ ნაწილაკი გამოხატავს „სრულიად, სრულებით“ მნიშვნელობას და, ძირითადად, უარყოფითი სემანტიკის გამომხატველ წინადადებებში გვხვდება. **მებრ** ნაწილაკი ახალ ქართულს აღარ ახასიათებს. მის ნაცვლად აღნიშნული ზმნიშედები გამოიყენება შესაბამისი სემანტიკის გამოსახატავად. ჩვენ მიერ შესწავლილ ძეგლებშიც ამ ნაწილაკის გამოყენების ერთადერთი შემთხვევა დავადასტურეთ, რაც კიდევ ერთხელ მეტყველებს მის იშვიათ გამოყენებაზე.

სამე ნაწილაკი ხასიათდება ფუნქციური მრავალფეროვნებით. პირველი ფუნქციით **სამე** გამოხატავს „მაშ, დიახ, კი“; „ცხადია“; „მართლაც“ მნიშვნელობებს. მეორე ფუნქციაა განუსაზღვრელი ნაწილაკების „**თურმე, ეგების**“ მნიშვნელობის გამოხატვა. ზმნიშედური (განუსაზღვრელობითი) ფუნქციის გამოყოფის დროს შესაძლებელი ხდება **სამე**-ს ადგილის ან დროის ზმნიშედებში გაერთიანება შემდეგი მნიშვნელობებით „სად?“, „სადმე“; „ოდესმე“, „ზოგჯერ“. განუსაზღვრელობის შინაარსს მას -**მე** განუსაზღვრელობითი ნაწილაკი ანიჭებს. **სამე** ჩვენ მიერ შესწავლილი ძეგლებიდან მხოლოდ ერთადერთ ძეგლში („მოქცევაჲ ქართლისაჲ“) დასტურდება.

როგორც ვნახეთ, ძველი ქართული სამწერლობო ენა საკმაოდ მრავალფეროვან სურათს იძლევა ნაწილაკებთან დაკავშირებით. ვრცელი სამეცნიერო და ემპირიული მასალის სისტემატიზაციის მიზნით ნაშრომს დავურთეთ დანართის სახით წარმოდგენილი ანბანურ რიგზე დალაგებულ ნაწილაკთა ცხრილი, რომელიც,

ვფიქრობთ, დახმარებას გაუწევს ძველი ქართული ენის ტექსტებზე მომუშავე დამწყებ სპეციალისტებსა თუ სტუდენტებს და გაზრდის ნაშრომის პრაქტიკულ ღირებულებას.

გამოყენებული ლიტერატურა

- ი. აბულაძე 1973 - ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973 (577 გვ.).
- ა. არაბული 2008 - ა. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, II გამოცემა, უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისთვის, გამომცემლობა „უნივერესალი“, თბ., 2008 (გვ. 172-177).
- შ. აფრიდონიძე 1955 - შ. აფრიდონიძე, ბრძანებითი როგორც მიმართვის ზმნური ფორმა, საენათმეცნიერო ძიებანი, IV, 1995 (გვ. 63-66).
- ე. ბაბუნაშვილი 1957 - ე. ბაბუნაშვილი, ნაწილაკები ძველ ქართულში, I, თსუ შრომები, 67, 1957 (გვ. 217-245).
- პ. გაჩეჩილაძე 1960 - პ. გაჩეჩილაძე, კვლავ მცა ნაწილაკისათვის, იკე, XII, თბილისი, 1960 (გვ. 241-253).
- ნ. გელდეაშვილი 2002 - ნ. გელდეაშვილი, ნაწილაკი საშუალო ქართულის ადრეული პერიოდის სამართლის ძეგლთა ენის მიხედვით, XIII, 2002 (გვ. 56-59).
- თ. გვანცელაძე 1983 - თ. გვანცელაძე, უარყოფის გამოხატვის საერთო პრინციპებისათვის იბერიულ-კავკასიურ ენებში, საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. III, 1983 (გვ. 210-218).
- მ. გობიანიძე 2018 - მ. გობიანიძე, ორმაგი უარყოფა და მასთან დაკავშირებული საკითხები ქართულში, თბ., 2018 (გვ. 23-31).
- გ. გოგოლაშვილი 2011 - გ. გოგოლაშვილი, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, თბ., 2011 წ. (გვ. 413-418).
- კ. დანელია, ზ. სარჯველაძე 1997 - კ. დანელია, ზ. სარჯველაძე, ქართული პალეოგრაფია, თბ., 1997 (439 გვ.).
- კ. დანელია 1998 - კ. დანელია, ნუ ნაწილაკიანი კონსტრუქციები ძველ ქართულში, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, თბილისი, 1998 (გვ. 109-114).
- კ. დანელია 2009 - კ. დანელია, ნარკვევები ქართული სამწერლობო ენის ისტორიიდან, II, თბილისი, 2009 (94 გვ.).
- ფ. ერთელიშვილი 1957 - ფ. ერთელიშვილი, მიმართებითი ნაცვალსახელების შემცველ წინადადებათა ქვეწყობა ძველ ქართულში, თსუ შრომები, 65, 1957 (გვ. 217-255).

- ირ. ვეშაპიძე 1963 - ირ. ვეშაპიძე, ზმნისწინის, თანდებულისა და ზმნიზედის ურთიერთდამოკიდებულება, თსუ შრომები, ტ. 96, თბილისი, 1963 (გვ. 89-111).
- ვ. თოფურია 1936 - ვ. თოფურია, -მე, -ვე, -ლა, -ლაც(ა) ნაწილაკიან სახელთა ბრუნება, 1936 (14 გვ.).
- ვ. თოფურია 1944 - ვ. თოფურია, -მი ნაწილაკი ქართულში, აკად. ნ. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე, XIV, 1944 (გვ. 171-177).
- ვ. თოფურია 2002 - ვ. თოფურია, ორმაგი უარყოფა ქართულში, შრომები, ტ. II, თბ., 2002.
- ჯ. იობაშვილი-მუხაძე 2002 - ჯ. იობაშვილი-მუხაძე, კითხვა და ბრძანებითი მოდალობა, ენათმეცნიერების საკითხები, 1. 2002 (გვ. 17-33).
- ა. კიზირია 1952 - ა. კიზირია, შერწყმული წინადადება ქართულში, იკე, IV, 1952.
- ა. კიზირია 1956 - ა. კიზირია, რთული თანწყობილი წინადადება ძველ ქართულში, იკე, VIII, 1956.
- ა. კიზირია 1963 - ა. კიზირია, მარტივი წინადადების შედგენილობა ძველ ქართულში, თბ., 1963.
- ა. კიზირია 1968 - ა. კიზირია, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება ძველ ქართულში, მაცნე, ე/ლ, 1968, #2.
- ნ. კიზირია 1989 - ნ. კიზირია, ბრძანებითი შინაარსის გამოხატვის საშუალებანი თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, იკე, XXVIII, 1989.
- მ. კობაიძე 1983 - მ. კობაიძე, ბრძანებითი კილო მთიულურ დიალექტში, საენათმეცნიერო ძიებანი, თბ., 1983.
- მ. კობერიძე 2008 - მ. კობერიძე, ზოგი ნაწილაკის ფუნქციისათვის ფრონეს ხეობის ქართულში, საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. X, 2000 (გვ. 94-97).
- ნ. კოტინოვი 1978 - ნ. კოტინოვი, -მცა ნაწილაკიანი სინტაქსური კონსტრუქციის ევოლუციისათვის ქართულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, #1, 1978 (გვ. 105-111).
- ნ. კოტინოვი 1986 - ნ. კოტინოვი, კილოს კატეგორია და სინტაქსის ზოგიერთი საკითხი ქართულში, თბილისი, 1986.

- კ. კუბლაშვილი 1952-1953 - კ. კუბლაშვილი, ბრძანებითი კილოს ზოგიერთი ფორმის შესახებ ძველ ქართულში, ქუთაისის სახ. პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI.
- არ. მარტიროსოვი 1965 - არ. მარტიროსოვი, წინდებულისა და თანდებულის ისტორიული ურთიერთობისათვის ქართულში, იკე, VIII, თბ., 1965 (გვ. 39-47).
- დ. მელიქიშვილი 1968 - დ. მელიქიშვილი, ზოგი საკავშირებელი სიტყვისა და ნაწილაკის მნიშვნელობისათვის იოანე პეტრიწის ნაწერებში, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 11, თბილისი, 1968 (გვ. 133-141).
- დ. მელიქიშვილი 1980- დ. მელიქიშვილი, მომავალი დროისა და კავშირებითი კილოს ურთიერთობის საკითხისათვის, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწადი, VII, 1980 (გვ. 59-74).
- დ. მელიქიშვილი 1984 - დ. მელიქიშვილი, ზოგი საკავშირებელი სიტყვისა და ნაწილაკის წარმომავლობისათვის ძველ ქართულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, #2, 1984 (გვ. 99-105).
- მ. მიქელაძე 2000 - მ. მიქელაძე, ქართული უარყოფის სისტემისათვის, საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. X, 2000 (გვ. 181-186).
- ნ. ნათაძე 1961 - ნ. ნათაძე, მყოფადისათვის ქართველურ ენებში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, 1961.
- გ. ნინუა 1968 - გ. ნინუა, ბრძანებითი კილო ქართულ ენაში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 1968.
- გ. ნინუა 1971 - გ. ნინუა, მცა ნაწილაკის ერთი ფუნქციის შესახებ ძველ ქართულში, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, #2, თბილისი, 1971 (გვ. 111-113).
- ლ. ნოზაძე 1988 - ლ. ნოზაძე, რე ნაწილაკი ძველ ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. XXVII, 1988 (გვ. 120-141).
- ნ. ოქროპირიძე 1974 - ნ. ოქროპირიძე, კავშირებითი კილოს მოდალური ფუნქციები ძველ ქართულ ენაში, საქ. სსრ პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, II, 1974 (გვ. 295-303).
- ა. პაპიძე 1981 - ა. პაპიძე, კავშირებითი კილოსა და მომავალი დროის გამოხატვისათვის ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურა, V, 1981 (გვ. 28-43).

- ნ. რუხაძე 2008- ნ. რუხაძე, კითხვითი ნაწილაკის ისტორიისათვის უდიურში, II საერთაშორისო სიმპოზიუმი იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება: მემკვიდრეობა და პერსპექტივები, ეძღვნება აკად. არნ. ჩიქობავას დაბადების 110 წლისთავს, მასალები, თბილისი, 2008 (გვ. 358-361).
- ზ.სარჯველაძე 1997 - ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენა, თბ., 1997 (გვ. 81, 160-161).
- ზ. სარჯველაძე 2001 - ზ. სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვს კონა, თბ., 2001 (287 გვ).
- რ. სალინაძე 2008 - რ. სალინაძე, ძველი ქართული ენა (V-XI საუკუნეები), თბილისი, 2008 (გვ. 178-179).
- ნ. სურმავა 2014 - ნ. სურმავა, -ვე ნაწილაკის უცნობი ფუნქციისათვის ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, არნ. ჩიქობავას საკითხავები, XXV, 2014 წლის 14-17 აპრილი, თბილისი, 2014 (გვ. 59-60).
- თ. უთურგაძე 1966 - თ. უთურგაძე, კითხვითი -ა და -მე ნაწილაკები ქართულში, იკე, XV, 1966 (გვ. 214-227).
- ჟ. ფეიქრიშვილი 1999 - ჟ. ფეიქრიშვილი, არ ნაწილაკის ერთი ფუნქციისათვის თანამედროვე ქართულში, საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. VIII, 1999 (გვ. 177-185).
- ივ. ქავთარაძე 1960 - ივ. ქავთარაძე, მყოფადის ერთი სახეობის ისტორიისათვის ქართულში, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XII, 1960 (გვ. 199-208).
- ივ. ქავთარაძე 1961 - ივ. ქავთარაძე, ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიიდან ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, ტ. II, 1961 (გვ. 5-27).
- თ. ყაუხჩიშვილი 1946 - თ. ყაუხჩიშვილი, ზოგი ნაწილაკისა და კავშირის მნიშვნელობისათვის ძველ ქართულში, იკე, I, 1946 (გვ. 259-288).
- გ. შალამბერიძე 1959 - გ. შალამბერიძე, ზმნისართი ძველ ქართულში, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, I, თბილისი, 1959.
- ა. შანიძე 1946 - ა. შანიძე, გიორგი მთაწმიდლის ენა „იოვანეს და ეფთვიმეს ცხოვრების“ მიხედვით, თბილისი, 1946.
- ა. შანიძე 1953 - ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბილისი, 1953.
- ა. შანიძე 1976 - ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბილისი, 1976 (გვ. 146-149, 166-167).

- ა. შანიძე 1980 - ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თხზულებანი თორმეტ ტომად, III, თბილისი, 1980 (გვ. 228, 607-616).
- ა. შანიძე 1981 - ა. შანიძე, მცა ნაწილაკი ძველ ქართულში, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II (გვ. 37-38).
- ნ. შარაშენიძე 1996 - ნ. შარაშენიძე, ხოლმე ნაწილაკის ისტორიისათვის, საენათმეცნიერო ძიებანი, V, 1996 (გვ. 119-129).
- ნ. შარაშენიძე 1999 - ნ. შარაშენიძე, იქნებ ნაწილაკის ისტორიისათვის, ენათმეცნიერების საკითხები, #2, 1999 (გვ. 87-91).
- ნ. შარაშენიძე 1999 - ნ. შარაშენიძე, უნდა მოდალური ფორმის ისტორიისა და მორფოსინტაქსური ანალიზისათვის, ენათმეცნიერების საკითხები, 4, 1999 (გვ. 49-55).
- ნ. შარაშენიძე 2001 - ნ. შარაშენიძე, ეგებ ნაწილაკის ისტორიისათვის, თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, 30, თბილისი, 2001 (გვ. 143-151).
- ნ. შარაშენიძე 2004 - ნ. შარაშენიძე, ლამის ნაწილაკის ისტორიისათვის, საენათმეცნიერო ძიებანი, X, 2004 (გვ. 89-93).
- მ. შერაზადიშვილი 1999 - მ. შერაზადიშვილი, ნაწილაკი წინადადების ინფორმაციული სტრუქტურის კომპონენტი, საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. IX, 1999 (გვ. 80-84).
- მ. შერაზადიშვილი 2000 - მ. შერაზადიშვილი, სინტაქსური ნაწილაკები, საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. X, 2000 (გვ. 98-103).
- მ. შერაზადიშვილი 2004 - მ. შერაზადიშვილი, სუბიექტური მოდალობა და მისი გამოხატვის საშუალებანი, საენათმეცნიერო ძიებანი, XVI, 2004 (გვ 36-43).
- მ. შერაზადიშვილი 2004 - მ. შერაზადიშვილი, ნაწილაკი-ფრაზეოლოგიზმები. საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. XVII, 2004 (გვ. 143-147).
- ი. შილაკაძე 1967 - ი. შილაკაძე, ქართულისა და სომხურის ენობრივი შეხვედრები, II, კნინობითობის ნაწილაკების შესახებ სომხურსა და ქართულში, თსუ შრომები, ტ. 118, 1967 (გვ. 171-188).
- არნ. ჩიქობავა 1923-1924 - არნ. ჩიქობავა, ყე ნაწილაკი ფერეიდნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოდიკის ურთიერთობის თვალსაზრისით, წელიწდეული, I-II, ტფილისი (გვ. 1923-1924).

- მ. ცერცვაძე, ი. რუსაძე 2006 - მ. ცერცვაძე, ი. რუსაძე, სხვათა სიტყვის ნაწილაკები რუსულ და ქართულ ენაში. საენათმეცნიერო ძიებანი, ტ. XXII, 2006.
- უ. ცინდელიანი 1981 - უ. ცინდელიანი, შესაძლებლობის (დაეჭვების) ნაწილაკები ძველ აღთქმაში, მრავალთავი (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის), IX, თბ., 1981 (გვ. 28-40).
- შ. ძიძიგური 1973 - შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1973.
- ბ. ჯორბენაძე 1993 - ბ. ჯორბენაძე, ნაზმნარი მოდალური ელემენტები ქართულში, ქართული სიტყვის კულტურის საკითხები, წ. 10, 1993 (გვ. 266-278).

წყაროები

აგიოგრაფ. ძეგლ. I - ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963 (347 გვ.).

ტექსტურ მონაცემთა ელექტრონული ბაზები

„ტიტუსის“ მონაცემთა ელექტრონული ბაზა (titus.uni-frankfurt.de).

ქართული ენის ეროვნული კორპუსის მონაცემთა ელექტრონული ბაზა (gnc.gov.ge).

შემოკლებათა განმარტება

აბ. - იოანე საბანის ძე, „აბო თბილელის წამება“, (IX ს.), A-1109, N.

აბიბ. - არსენ კათალიკოსი, „აბიბოს ნეკრესელის ცხოვრება“, (XIII-XIV სს.), A-832, G;
(XIII-XIV სს.), A-199, I.

გარეჯ. - ანონიმი, „დავით გარეჯელის ცხოვრება“, (XIII-XIV სს.), A-833, E.

გობრ. - სტეფანე მტბევარი, „მიქაელ-გობრონის წამება“, ჰაგიოგრაფიული კრებული
(1704-1713 წწ.), A-130, B.

გრიგ. - გიორგი მერჩულე, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, (XII ს.), Jer.2, J.

დავ. ტირ. - ანონიმი, „დავითისა და ტირიჭანის წამება“ - ანონიმი, (X ს.), Ath.57, T.

ევსტ. - ანონიმი, „ევსტათი მცხეთელის მარტვილობა“, (XI ს.), H-341, H.

ზარზმ. - ბასილი ზარზმელი, „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“, (XVI ს.), A-69, K.

ზედაზნ. - არსენ კათალიკოსი, „იოანე ზედაზნელის ცხოვრება“ (XV ს.), Q-795, Q.

კოლ. ყრმ. - ანონიმი, „კოლაელ ყრმათა წამება“, (X ს.), Ath.57, T.

კონსტ. - ანონიმი, „კონსტანტინე კახის წამება“, ჰაგიოგრაფიული კრებული (1704-1713
წწ.), A-130, A.

მოქც. ქართლ. - ანონიმი, ჭელიშური რედაქცია (XIVს.), H-600, C; ანონიმი,

შიო. ევარგ. - არსენ კათალიკოსი, „ცხოვრება შიოსი და ევარგესი“, (XIII-XIV სს.), A-199, I.

შუშ. - იაკობ ხუცესი, „შუშანიკის წამება“, პარხლის მრავალთავი (X ს.), A-95.

შატბერდული ვარიანტი, (X ს.), S-1141, S.

დანართები

The Faculty of Humanities at Ivane Javakhishvili
Tbilisi State University

Master's Program **Kartvelian Linguistics**

Mjavanadze Marina

A Particle in the Old Georgian Language

(Based on the Original Hagiographic Literature)

The work is represented for the MA degree
of **Kartvelian Linguistics**

Supervisor **Lela TsikhelaSvili**,
TSU Associate Professor

Tbilisi
2019

ნაწილაკები ძველ ქართულ ენაში

ნაწილაკი	მნიშვნელობა	გამოყენება
-ა	<p>კითხვითი ნაწილაკი</p> <p>(ფუნქციურად ხომ, განა, ნუთუ კითხვითი ნაწილაკების იდენტური)</p>	<ul style="list-style-type: none"> • ძველ ქართულში დასტურდება იმ სახის კითხვით წინადადებაში, რომელშიც არაა წარმოდგენილი კითხვითი სიტყვა (კითხვითი ნაცვალსახელი ან კითხვითი ზმნიზედა). კითხვითი სიტყვა და -ა კითხვითი ნაწილაკი წინადადებაში შეუთავსებელია. ძირითადად, ერთვის ზმნას აბსოლუტურ ბოლოში, შესაძლოა დასტურდებოდეს სხვადასხვა მეტყველების ნაწილთანაც (ა.შანიძე 1980:609; თ. უთურგაძე 1966:214-219, თ. ყაუხჩიშვილი 1946:274; ზ. სარჯველაძე 1997:160): <p>„<i>იაკობ მანდა არსა?</i>“ [შუმ. 18:27].</p> <p>„<i>არა მიცი მე?</i>“ [ი.14,9] (ზ. სარჯველაძე 1997:160).</p> • -ა ნაწილაკი ერთვის კითხვით -მე ნაწილაკსაც, რაც ქმნი მრჩობლ -მე-ა კითხვით ნაწილაკს (პირუკუ რიგი გამორიცხულია): <p>„<i>უწყი-მეა, დედაო, რაისთვის მოვედ აწ?</i>“ [გრიგ. 297:27-28].</p> • -ა ნაწილაკი შემორჩენილია დიალექტებში, კერძოდ, ფშაურში, ხევსურულში: მახვედა? წავიდაა? (თ. უთურგაძე 1966:218). • ქართველურ ენათაგან მეგრულში -ა ნაწილაკს -ო ნაწილაკი შეესატყვისება, ხოლო სვანურში - -ა (თ.

		<p>უთურგაიძე 1966:218): სენ.: ხოხალა? - იცის? (შდრ. ხოხალ).</p>
-აკ	კნინობითის სუფიქსი	<p>ძველ ქართულში კნინობით ნაწილას წარმოადგენდა -აკ, რომელიც დასტურდება სიტყვებში: წიგნაკი, შვილაკი, დებორაკი...:</p> <p><i>„სახლაკი ერთი მცირე პოვა მახლობელად ეკლესიასა და შევიდა მუნ შინა სიმწრითა სავსს“</i> [შუმ. 13:7-8].</p> <p><i>„ხოლო შეკრებასა მას ყოველთასა ნებითა ღმრთისაჲთა გიხილო მხიარული და ბრწყინვალე, ვითარცა რად მუშაკი კეთილი“</i> [ზარზმ. 337:9-10].</p> <ul style="list-style-type: none"> • იგივე ნაწილაკი სომხურშიც დასტურდება და, სავარაუდოდ, ირანულიდან ნასესხობად მიიჩნევა. • ა. შანიძე სამართლიანად შენიშნავს, რომ <i>„კნინობითის ა მიღებულია აკ-ისაგან, რომელიც</i>

		<p>ამჟამად წიგნ-აკ-ში და გორ-აკ-ში შემონახული“ [ა. შანიძე 1980:121]. -აკ ნაწილაკისგან მიღებული -ა ძველ ქართულშივე აქტიურად გამოიყენება სადერივაციო ფუნქციით, განსაკუთრებით ანთროპონიმების საწარმოებლად: ბერ-ა, სულ-ა, გუდ-ა...</p>
ანუ	<p>1. კითხვითი ნაწილაკი. (გამოიყენება „განა“ „ნუთუ“ ნაწილაკების ფუნქციით)</p>	<ul style="list-style-type: none"> ძველ ქართულში იყო ცდა ანუ გამოყენებულიყო კითხვითი ნაწილაკის ფუნქციით, ნუ ნაწილაკის მონაცვლედ (კ. დანელია 1998:113): <i>„ანუ არა უწყით, რამეთუ რომელნი ბაგინისასა⁴⁸ მას იქმედ, ბაგინისაგან ჭამედ?“</i> [I კორ. 9:13]. დასტურდება კითხვით წინადადებებში კითხვით ნაწილაკებთან და კითხვით სიტყვებთან ერთადაც: <i>„რად-მე არს ანუ ნაბერწყალნი ისი, რომელ წარვლენ აღმოსავალით და დასავალით?“</i> [მოქც. ქართლ. 149:24-2].
	<p>2. მაცალკევებელი კავშირი (გამოიყენებოდა ან და თუ მაცალკევებელი კავშირის ფუნქციითაც).</p>	<ul style="list-style-type: none"> ძველ ქართულში მაცალკევებელი კავშირის (ან, თუ) ფუნქციითაც გვხვდება: <i>„ერსა უსწავლეულსა აუწყებდეს, კეთილ არსა ანუ არა?“</i> [გრიგ. 289:33] კითხვით წინადადებაში მას თუ მაცალკევებელი კავშირის ფუნქცია აქვს.
	<p>3. მაიგივებელი კავშირი</p>	<ul style="list-style-type: none"> ახალ ქართულში ანუ დამკვიდრდა მაიგივებელი კავშირის ფუნქციით.
არა	<p>1. უარყოფითი ნაწილაკი</p>	<ul style="list-style-type: none"> არა ნაწილაკი დაერთვის ზმნის ყველა მწკრივის ფორმას და თხრობით წინადადებაში მარტივად უარყოფს შინაარსს:

⁴⁸ ბაგინ-ი - კერპთა ტამარი.

		<ul style="list-style-type: none"> • <i>„არა დაწერილ არიან წიგნსა ამას“</i> [მოქც. ქართლ. 157:16]
	2. მოქმედების ამკრძალავი	<ul style="list-style-type: none"> • ერთვის ზმნის II კავშირებითის (მყოფადი ძირითადი) მწკრივის ფორმას და გამოხატავს უკუთქმით ბრძანებით კილოს: <i>„არა დაეტეოს გუამი ჩემი აქა ტფილისს შინა“</i> [ევსტ. 44:33].
	3. ზოგჯერ გამოხატავს განცვიფრებას	<ul style="list-style-type: none"> • <i>„არა მისი განზრდილი ხარა?“</i> [შუმ. 18:7].
ბარე, ბარემ	1. დამატებითი მითითება, კიდევ სხვა მოვლენაზე მინიშნება	<ul style="list-style-type: none"> • გამოხატავს მითითებას ერთი მოვლენისა მეორე მოვლენასთან. ბარემ ფორმაში -მ -მცა ნაწილაკის ნაშთი უნდა იყოს. ხშირად გვხვდება ბძრანებით წინადადებაში. (ა. შანიძე 1980:615): <i>„ბარემ ერთბაშად დაგვხოცონ ყველანი“</i> [ყაზბ., 257:38]. • <i>„ყვედრებისა სიტყვაჲ არს; თუცა დაგკლებია, ეგეცა აღასრულო“</i> [ლექსიკონი ქართული].
გარნა	1. კავშირი „გარდა“; „თუ არ“	<ul style="list-style-type: none"> • ძველ ქართულში დასტურდება კავშირის ფუნქციით: <i>„არავინ იცის ძე, გარნა მამამან, და არცა მამაჲ ვინ იცის, გარნა ძემან“</i> [მ. 11:27]. • ახალ ქართულში კავშირის ფუნქცია დაკარგა და კითხვით ნაწილაკად იქცა (კ. დანელია 1998:113-114).
	2. ნაწილაკი „მხოლოდ“, „მარტო“	<ul style="list-style-type: none"> • ძველ ქართულში გარნა გვხვდება მხოლოდ, მარტო ნაწილაკების მნიშვნელობით:

		<p>„<i>ნუ გეშინინ, გარნა გრწმენინ ხოლო</i>“ [მრ. 5:36; ლ. 8:50].</p> <p>აქ გარნა და ხოლო სინონიმებია (კ. დანელია 1998:113).</p> <ul style="list-style-type: none"> საშუალო ქართულში გარნა > განა, რომელმაც დადასტურებითობის ფუნქციაც შეიძინა („კიდევ“, „აკი“): <p>„<i>ესდენ დიდი სიხარული გაეხარნეს მასცა განა!</i>“ [ვეფხ. 1529:2]. (კ. დანელია 1998:113-114).</p>
-და	1. ნაწილაკი	<ul style="list-style-type: none"> წარმოშობით კავშირია, მაგრამ ახალ ქართულში გვხვდება ნაწილაკის ფუნქციითაც (ა. შანიძე 1980:615): <p>„<i>ქურდს რა უნდა და: დამე ბნელიო</i>“ (ანდ.).</p> <ul style="list-style-type: none"> გამოხატავს გაკვირვებას, გაოცებას, მოწონებას, საყვედურს (შ. ძიძიგური 1973:402): <p>„<i>ბიჭო-და, რა სანახავია ტყე</i>“ [ლომ.].</p> <ul style="list-style-type: none"> -და ნაწილაკი შედის წინდებულებისა და თანდებულების შემადგენლობაში: ზე-და, ში-და, ქუე-და, გარ-და. ენაცვნება -ნა ნაწილაკს (ა. მარტიროსოვი 1956:40). შედის კავშირების შემადგენლობაში: თითქოსდა, თვარადა, დაღათუ... (შ. ძიძიგური 1973:402-406).
	2. კავშირი	მაერთებელი, მაჯგუფებელი კავშირი.

<p>-ეგე</p>	<p>1. მიმართებითი ნაწილაკი (გამოიყენებოდა -ცა ნაწილაკის ფუნქციით).</p>	<ul style="list-style-type: none"> • დაერთვოდა კითხვით სიტყვებს (კითხვით ნაცვალსახელებსა და კითხვით ზმნიზედებს) ფორმაუცვლელი სახით - ამ ფუნქციით არც იბრუნებოდა და არც მრავლობითი რიცხვის ფორმა ეწარმოებოდა (ა. შანიძე 1980:609, 1976:147; ი. იმნაიშვილი 1955:255...): <i>რომელი-ეგე, რომელმან-ეგე, რომელსა-ეგე...</i> <i>„და გიჩუენო თქუენ, საყუარელთა ჩუენტა, რომელნი-ეგე ხართ ჭემმარიტად შვილნი მისნი“</i> [კონსტ. 171:20-21]. <i>რომელნი-ეგე</i> = „რომელნიც“. • <i>„და თუ ნანდვლვე შენ არა ხარ ეგრე, ვითარ-ეგე შენ იტყუ, რადსათჳს შჯი მოყუასსა შენსა?“</i> [ი. ბოლნ. ქადაგ. 158:15]. <i>ვითარ-ეგე</i> = „როგორც“ • დამკვიდრებული ორთოგრაფიული წესის თანახმად, ნაწილაკის ფუნქციით ეგე კითხვით სიტყვას დეფისით უკავშირდება. • შესაძლებელი იყო -ეგე ნაწილაკის ფუნქციით დართვოდა -ცა ნაწილაკინ ფორმასაც და მიმართებითობა ერთგვარად მრჩობლად ყოფილიყო გამოხატული: <i>რომელიცა-ეგე, რადცა-ეგე...</i> <i>„და შენ მათ მიერ მიემადლე, რომელიცა-ეგე გარდამაქცეველ ექმენ შჯულსა და მაცთურ მამისა შენისა“</i> [ბალავ. 148:31].
	<p>2. ჩვენებითი ნაცვალსახელი</p>	<ul style="list-style-type: none"> • ძირითადი ფუნქციით ჩვენებითი ნაცვალსახელია. ესაა მისი ამოსავალი ფუნქცია. ამ შემთხვევაში ეგე სინტაგმას ქმნის სახელთან, დამკვიდრებული მოსაზრებით, პრეპოზიციურად: <i>„ეგე მონაზონნი იქცევიედ მარადის კიდესა ზღვსა</i>

		<p><i>მეწამულისასა</i>“[პატერ. 85:28].</p> <ul style="list-style-type: none"> • გამოხატავს დეიქსისსაც - ეგე მეორე პირთან სიახლოვეს უთითებს (ა. შანიძე 1976:147; ი. იმნაიშვილი 1955:256). • სუბლექტურად აწარმოებს ბრუნვის ფორმებს, მოეპოვება ორი ფუძე: ერთი სახელობითი ბრუნვისათვის, მეორე - დანარჩენი ბრუნვებისთვის: ეგე - მაგა (ეგე კაცი, მაგან კაცმან...).
	3. პირის ნაცვალსახელი	<ul style="list-style-type: none"> • მესამე პირის ნაცვალსახელი, რომელიც გულისხმობს მეორე პირთან სიახლოვეს. სინტაგმას ქმნის ზმნასთან: <p><i>„ნუ იყოფინ ეგე ჩემდა“</i> [შუშ. 44:3].</p>
	4. ნაწევარი (არტიკლი)	<ul style="list-style-type: none"> • ამ შემთხვევაში უკავშირდება სახელს, დამკვიდრებული მოსაზრებით, პოსტპოზიციურად (ა. შანიძე 1980:618; ი. იმნაიშვილი 1955 და სხვ.), და, წესით, მასთან ერთად ქმნის წინადადების ერთ წევრს (შესაბამისად, სინტაგმას წარმოადგენს: <i>აღმო-ლა-ილე დირს ეგე</i>) : <p><i>„ორგულო, აღმო-ლა-ილე პირველად დირს ეგე თუალისაგან შენისა“</i> [მ. 5:7 X].</p> <ul style="list-style-type: none"> • ნაწევრის ფუნქციით ეგე ფორმაცვალებადია (<i>დირს ეგე</i>, დირემან მაგან, დირესა მაგას...). • ნაწევარი შესაძლოა სახელს პრეპოზიციურადაც უკავშირდებოდეს, თუ მას ახლავს პრეპოზიციური მსაზღვრელი (ეს უკანასკნელი იწვევს ნაწევრის წინ

		<p>გადასმას) (ი. იმნაიშვილი 1955:260-263; ც. კალაძე 1961:106; ლ. ბარამიძე 1975:16). ამ შემთხვევაში, როგორც წესი, ნაწევარი თავსდება მსაზღვრელსა და საზღვრულს შუა (ი. იმნაიშვილი 1955:261):</p> <p>„და უკმარი ეგე მონად განჯადეთ ბნელსა მას გარესკნელსა“ [მ. 25:30]. მონად ეგე უკმარი PR.</p> <ul style="list-style-type: none"> • თუ ჩვენებითი ნაცვალსახელის საზღვრულთან პრეპოზიციურად დასმა არაა გამოწვეული პრეპოზიციური მსაზღვრელით, ეგე კვალიფიცირდება ჩვენებით ნაცვალსახელად. • ჩვენებითი ნაცვალსახელის ნაწევრის ფუნქციით გამოყენებისას უფრო აქცენტირებულია განსაზღვრულობა და შედარებით ნეიტრალიზებულია დეიქტურობა (ბ. ნერსესიანი 1983:149).
<p>-ესე</p>	<p>1. მიმართებითი ნაწილაკი</p> <p>(გამოიყენებოდა -ცა ნაწილაკის ფუნქციით).</p>	<ul style="list-style-type: none"> • დაერთვოდა კითხვით სიტყვებს (კითხვით ნაცვალსახელებსა და კითხვით ზმნიზედებს) ფორმაუცვლელი სახით - ამ ფუნქციით არც იბრუნებოდა და არც მრავლობითი რიცხვის ფორმა ეწარმოებოდა (ა. შანიძე 1980:609, 1976:147; ი. იმნაიშვილი 1955:255...): რად-ესე, რამან-ესე, რასა-ესე... „უწყი მე, რამეთუ გასმიეს თქუნენ, რად-ესე მოაწია ღმერთმან ჩემ ზედა“ [კონსტ. 167:40-168:1]. რად-ესე = „რაც“. „ესრეთ მხიარულებით შევიწყნარეთ, ვითარ-ესე გლაზაკი“ [ბალავ. 50:32]. ვითარ-ესე = „როგორც“. • დამკვიდრებული ორთოგრაფიული წესის

		<p>თანახმად, ნაწილაკის ფუნქციით ესე კითხვით სიტყვას დეფისით უკავშირდება.</p> <ul style="list-style-type: none"> • შესაძლებელი იყო -ესე ნაწილაკის ფუნქციით დართოდა -ცა ნაწილაკინ ფორმასაც და მიმართებითობა ერთგვარად მრჩობლად ყოფილიყო გამოხატული: <i>რომელიცა-ესე,რადცა-ესე...</i> <p><i>„რამეთუ ყოვლითურთ არღარა აღმოცენების მწუანვილი მას ადგილსა, რომელიცა-ესე იხილა რად დიდმან დავით“</i> [ჰაგ. ძეგლ. III, 185:24].</p>
	<p>2. ჩვენებითი ნაცვალსახელი</p>	<ul style="list-style-type: none"> • ძირითადი ფუნქციით ჩვენებითი ნაცვალსახელია. ესაა მისი ამოსავალი ფუნქცია. ამ შემთხვევაში ესე სინტაგმას ქმნის სახელთან, დამკვიდრებული მოსაზრებით, პრეპოზიციურად: <i>„ესე მონაზონნი მტერნი არიან მეფისა ჩუენისანი“</i> [მარტ. რომ. 34:20]. • გამოხატავს დეიქსისსაც - ესე პირველ პირთან სიახლოვეს უთითებს (ა. შანიძე 1976:147; ი. იმნაიშვილი 1955:256). • სუბლექტურად აწარმოებს ბრუნვის ფორმებს, მოეპოვება ორი ფუძე: ერთი სახელობითი ბრუნვისათვის, მეორე - დანარჩენი ბრუნვებისთვის: ესე - ამა (ესე კაცი, ამან კაცმან...).
	<p>3. პირის ნაცვალსახელი</p>	<ul style="list-style-type: none"> • მესამე პირის ნაცვალსახელი, რომელიც გულისხმობს პირველ პირთან სიახლოვეს. სინტაგმას ქმნის ზმნასთან: <i>„რამეთუ ესე არს ჩუეულეზად მათი“</i> [გობრ. 176:11]

<p>4. ნაწევარი</p>	<ul style="list-style-type: none"> • ამ შემთხვევაში უკავშირდება სახელს, დამკვიდრებული მოსაზრებით, პოსტპოზიციურად (ა. შანიძე 1980:618; ი. იმნაიშვილი 1955 და სხვ.), და, წესით, მასთან ერთად ქმნის წინადადების ერთ წევრს (შესაბამისად, სინტაგმას წარმოადგენს: <i>ალიშენა ტაძარი ესე</i>) : <i>ორმოცდაექუსსა წელსა ალიშენა ტაძარი ესე</i> [ი. 2:20 DEFGHIK]. • ნაწევრის ფუნქციით <i>ესე</i> ფორმაცვალებადია (<i>ტაძარი ესე , ტაძარმან ამან, ტაძარსა ამას...</i>). • ნაწევარი შესაძლოა სახელს პრეპოზიციურადაც უკავშირდებოდეს, თუ მას ახლავს პრეპოზიციური მსაზღვრელი (ეს უკანასკნელი იწვევს ნაწევრის წინ გადასმას) (ი. იმნაიშვილი 1955:260-263; ც. კალაძე 1961:106; ლ. ბარამიძე 1975:16). ამ შემთხვევაში, როგორც წესი, ნაწევარი თავსდება მსაზღვრელსა და საზღვრულს შუა (ი. იმნაიშვილი 1955:261): <i>„და ნუმცა ყოველი ესე ნათესავი წარწყმდების“</i> [ი. 11:50 C]. • თუ ჩვენებითი ნაცვალსახელის საზღვრულთან პრეპოზიციურად დასმა არაა გამოწვეული პრეპოზიციური მსაზღვრელით, <i>ესე</i> კვალიფიცირდება ჩვენებით ნაცვალსახელად. • ჩვენებითი ნაცვალსახელის ნაწევრის ფუნქციით გამოყენებისას უფრო აქცენტირებულია განსაზღვრულობა და შედარებით ნეიტრალიზებულია დეიქტურობა (ბ. ნერსესიანი
--------------------	---

		1983:149).
-ვე	1. იგივეობის, იდენტობის გამოხატველი ნაწილაკი	<ul style="list-style-type: none"> • -ვე ნაწილაკი გამოხატავს იგივეობას, იდენტობას როგორც ძველ, ასევე ახალ ქართულშიც. დაერთვის ყველა სიტყვის ფორმას (ა. შანიძე 1976:148; თ. ყაუხჩიშვილი 1946:271; დ. მელიქიშვილი 1968:139): „უკუნვიდა კულად თვსსავე ქუყანას“ [გობრ. 178:5]. „მასვე დღესა შინა განიკურნებოდეს“ [აბ. 74:13].
	2. გამოხატავს მნიშვნელობებს „მართლა“, „ნამდვილად“	<ul style="list-style-type: none"> • ძველ ქართულში -ვე ნაწილაკი წინადადებაში გამოხატული აზრის ჭეშმარიტებას უსვამს ხაზს და აძლიერებს მის სემანტიკას (თ. ყაუხჩიშვილი 1946:271): „არა თუ უცხოდაგან თესლისა, არცა ხარჭისაგან შობილი, არამედ ყოელადვე არაბიელთა თესლი“ [აბ. 56:14-15]. „გმადლობ შენ, უფალო ღმერთო ჩემო, რამეთუ იყვნეს-ვე არა ჩემნი, არამედ შენნი მოცემულნი იყვნეს“ [შუმ. 23:19-20].
	3. გამოხატავს განუსაზღვრელობას	<ul style="list-style-type: none"> • -ვე ნაწილაკი ძველ ქართულ ტექსტებში ხშირად ითავსებს განუსაზღვრელობითი ნაწილაკის ფუნქციასაც და ხშირად -მე ნაწილაკის მონაცვლედ დასტურდება ნაცვალსახელებსა და ზმნისართებთან (დ. მელიქიშვილი 1968:139-141; თ. ყაუხჩიშვილი 1946:271): რადმე / რადვე, ოდესმე / ოდესვე“. „და ნურა დამაბრკოლებნ მიზეზი რადვე“ [გობრ. 182:7] „უკუე ვინმე პირველ და ძუელ ოდესვე აღწერილსა მოქალაქობასა ამის ღირსისასა მიხედვიდეს, ნუ დაუკვრდების ესრეთ სიმარტივით აღწერად სიტყუათა მამრალობელსა ჯელყოფისა ჩემისა“

		[აგიოგრაფ. ძეგლ. III. დავ. გარ. 171:24-27].
	4. გამოხატავს ობიექტის მრავლობითობას (ქართველ ებრაელთა მეტყველებაში)	<ul style="list-style-type: none"> • ნ. სურმაჯას მოსაზრებით, -ვე ნაწილაკი -თ სუფიქსის ფარდია გარკვეულ შემთხვევებში (კერძოდ ქუთაისელი ებრაელების მეტყველებაში). ის ეფერდება დიალექტებისთვის დამახასიათებელ -ყე ნაწილაკს (ნ. სურმაჯა 2014:59-60). ცხადია, ძველ ქართულში ამ ფუნქციით არ დასტურდება.
ვერ	1. უარყოფითი ნაწილაკი	<ul style="list-style-type: none"> • შეუძლებელ მოქმედებას გამოხატავს წინადადებაში. დაერთვის ზმნის ყველა მწკრივის ფორმას (ა. შანიძე 1980:610; კ. დანელია 1998:109): <i>„ვერ შეუძლო განკურნებად მისი“</i> [131:14-15] • გვხვდება ნაწილაკებისა და სიტყვების შემადგენლობაში დერივაციული ფუნქციით (კ. დანელია 1998:109): <i>„ვერღარა უძლეს დაწუვად“</i> [აბ. 73:13-14].
	2. ვერ ნაწილაკი -ცა ნაწილაკთან ერთად გამოიყენება მაჯგუფებელი კავშირის ფუნქციითაც.	<ul style="list-style-type: none"> • <i>„ვერცა განერნეს სლვად ფერჯნი იგი ჰუნეთა ზუნთანი, და ვერცა შეძრა ორასმან კაცმან“</i> [მოქც. ქართლ. 161:23-26].
თუ	1. მაქვემდებარებელი კავშირი - „თუ, რომ“.	<ul style="list-style-type: none"> • „თუ“ - პირობის გამომხატველი მაქვემდებარებელი კავშირი: <i>„იხილო თუ შიშუელი, შემოსე იგი“</i> [ეს. 58:7]. • „რომ“ კავშირის მნიშვნელობაც აქვს იშვიათად (ა. შანიძე 1976:146): <i>„არავის ასმიეს, თუ აღ-ვინმე-უხილნა თულნი ბრმისანი“</i> [ი. 9:32 C].
	2. იშვიათად დაეჭვების, შესაძლებლობის	<ul style="list-style-type: none"> • ეს ფუნქცია აქვს იშვიათად ვინ იცის, ვინ უწყის შესიტყვებებთან (ჩართულთან) ერთად:

	ნაწილაკი - „ეგებ, იქნებ“	„ <i>ვინ უწყის, თუ მუნ კეთილსა რას-მე შევემთხვო და ბოროტსა ამას განვერე</i> “ [შუშ. 24:4-5].
-თქუა	სხვათა სიტყვის ნაწილაკი „თქო“	<ul style="list-style-type: none"> • მეორე პირი გადმოსცემს სხვათა სიტყვას, რომელიც პირველმა პირმა გადასცა მესამე პირისათვის. ნაწილაკი მომდინარეობს ზმნური ფორმისაგან, რომელიც წყვეტილის მესამე პირის ფორმას წარმოადგენს. თქუა ფორმისგან ყალიბდება თანამედროვე ქართულში თქო ნაწილაკი. -ო მიღებულია უა ჯგუფის შერწყმით (ა. შანიძე 1980:610). • -თქუა ნაწილაკის არსებობა უკვე სავარაუდოა ძველი ქართულის დონეზე. მაგ., დასტურდება ტექსტში „მამათა სწავლანი“, რომლის ხელნაწერები X-XI საუკუნეებისაა: „და ამის გამო ვერ შემძლებელ ვარი ძლევად მისა, მიუგე და არქუ მას: ესე ყოველი მიზეზი არს-თქუა...“ [მამ. სწავ. 81:25 Titus].
-იგი	1. მიმართებითი ნაწილაკი (გამოიყენებოდა -ცა ნაწილაკის ფუნქციით).	<ul style="list-style-type: none"> • დაერთოდა კითხვით სიტყვებს (კითხვით ნაცვალსახელებსა და კითხვით ზმნიზედებს) ფორმაუცვლელი სახით - ამ ფუნქციით არც იბრუნებოდა და არც მრავლობითი რიცხვის ფორმა ეწარმოებოდა (ა. შანიძე 1980:609, 1976:147; ი. იმნაიშვილი 1955:255...): რამ-იგი, რამან-იგი, რასა-იგი... • „არა აღმოგვიკითხავსა, რამ-იგი ყო დავით“ [მ. 12:3]. • რამ-იგი = „რაც“. • „მოვიდეს თავსა მას ზედა წყაროდსასა, სადა-იგი ნათელ-ელო წმიდათა მათ ყრმათა“ [კოლ.ყრ. 185:22-

		<p>24]. სადა-იგი = „სადაც“.</p> <ul style="list-style-type: none"> • დამკვიდრებული ორთოგრაფიული წესის თანახმად, ნაწილაკის ფუნქციით იგი კითხვით სიტყვას დეფისით უკავშირდება. • შესაძლებელი იყო -იგი ნაწილაკის ფუნქციით დართვოდა -ცა ნაწილაკინ ფორმასაც და მიმართებითობა ერთგვარად მრჩობლად ყოფილიყო გამოხატული: <i>რომელიცა-იგი, რადცა-იგი...</i> <p>„და ეტყოდა: მომეც მე, რადც-იგი თანაგაც“ [მ. 18:28].</p>
	<p>2. ჩვენებითი ნაცვალსახელი</p>	<ul style="list-style-type: none"> • ძირითადი ფუნქციით ჩვენებითი ნაცვალსახელია. ესაა მისი ამოსავალი ფუნქცია. ამ შემთხვევაში იგი სინტაგმას ქმნის სახელთან, დამკვიდრებული მოსაზრებით, პრეპოზიციურად: <p>„ნეტარ იყვნენ იგი მონანი, რომელთაჲ მოვიდეს უფალი მათი“ [ლ. 12:37].</p> • გამოხატავს დეიქსისსაც - იგი პირველ-მეორე პირისგან სიშორეს, უკეთ, მესამე პირთან სიახლოვეს უთითებს (ა. შანიძე 1976:147; ი. იმნაიშვილი 1955:256). • სუბლექტურად აწარმოებს ბრუნვის ფორმებს, მოეპოვება ორი ფუძე: ერთი სახელობითი ბრუნვისათვის, მეორე - დანარჩენი ბრუნვებისთვის: იგი - მა (იგი კაცი, მან კაცმან...).
	<p>3. პირის ნაცვალსახელი</p>	<ul style="list-style-type: none"> • მესამე პირის ნაცვალსახელი, რომელიც

		<p>გულისხმობს მესამე პირთან სიახლოვეს. სინტაგმას ქმნის ზმნასთან:</p> <p><i>„იგინი იმარტკლნეს მასვე თუესა პირველსა“</i> [მოქც. ქართლ. 115:5-6]</p>
	<p>4. ნაწევარი</p>	<ul style="list-style-type: none"> • ამ შემთხვევაში უკავშირდება სახელს, დამკვიდრებული მოსაზრებით, პოსტპოზიციურად (ა. შანიძე 1980:618; ი. იმნაიშვილი 1955 და სხვ.), და, წესით, მასთან ერთად ქმნის წინადადების ერთ წევრს (შესაბამისად, სინტაგმას წარმოადგენს: <i>აღესრულა წერილი იგი</i>): • <i>„და მის ზედა აღესრულა წერილი იგი“</i> [გობრ. 173:35]. • ნაწევრად <i>ესე, ეგე, იგი</i> ნაცვალსახელებიდან ყველაზე ხშირად <i>იგი</i> გამოიყენება, ხოლო ჩვენებით ნაცვალსახელად - <i>ესე</i> (ი. იმნაიშვილი 1957:563). • ნაწევრის ფუნქციით <i>იგი</i> ფორმაცვალებადია (<i>წერილი იგი, წერილმან მან, წერილსა მას...</i>). • ნაწევარი შესაძლოა სახელს პრეპოზიციურადაც უკავშირდებოდეს, თუ მას ახლავს პრეპოზიციური მსაზღვრელი (ეს უკანასკნელი იწვევს ნაწევრის წინ გადასმას) (ი. იმნაიშვილი 1955:260-263; ც. კალაძე 1961:106; ლ. ბარამიძე 1975:16). ამ შემთხვევაში, როგორც წესი, ნაწევარი თავსდება მსაზღვრელსა და საზღვრულს შუა (ი. იმნაიშვილი 1955:261): <p><i>„და ვითარცა ვიხილე დიდძალი იგი სისხლი.“</i></p>

		<p>რომელი დამოსდიოდა ჩხვლთა მათ ჯორცთა მისთა...“ [შუშ. 8:26-27].</p> <ul style="list-style-type: none"> • თუ ჩვენებითი ნაცვალსახელის საზღვრულთან პრეპოზიციურად დასმა არაა გამოწვეული პრეპოზიციური მსაზღვრელით, იგი კვალიფიცირდება ჩვენებით ნაცვალსახელად. • ჩვენებითი ნაცვალსახელის ნაწევრის ფუნქციით გამოყენებისას უფრო აქცენტირებულია
		<p>განსაზღვრულობა და შედარებით ნეიტრალიზებულია დეიქტურობა, მით უმეტეს, იგი ნაწევარში (ბ. ნერსესიანი 1983:149).</p>
<p>კნინლა</p>	<p>„თითქმის“</p>	<ul style="list-style-type: none"> • ძველ ქართულში კნინ-ი ზედსართავ სახელს წარმოადგენდა და ნიშნავდა „მცირეს“; კნინ - „ცოტათი, ცოტა“ (ზ. სარჯველაძე 2001:107); „მცირედლა, მცირედ“ (ი. აბულაძე 1973:200). ხოლო ამ უკანასკნელის -ლა ნაწილაკდართული ფორმა

		<p>კნინლა „თითქმის“ (ზ. სარჯველაძე 1997:162; 2001:107) ნაწილაკის ფუნქციით გამოიყენებოდა ძველ ქართულში:</p> <p><i>„ესე რად ცნეს უმჯულოთა მათ სპარსთა, ფრიად გუემეს, კნინლა ვიდრემელა მოკლეს ნეტარი იგი“</i> [აბიბ. 242:19-21].</p>
მებრ	„სრულიად, სრულებით“	<ul style="list-style-type: none"> ● მებრ ნაწილაკი ნიშნავს „სრულიად, სრულებით“ და, ძირითადად, უარყოფითი სემანტიკის გამომხატველ წინადადებებში გვხვდება (ა. შანიძე 1976:149): <p><i>„წმიდანო მამანო, ვინაფთგან გიხილენით თქუენ, დაგუავიწყდა მებრ, თუ ქუეყანასა ზედა ვართ ჩუენ“</i> [გრიგ. 275:36-37].</p>
-მე	1. განუსაზღვრელობითი ნაწილაკი.	<ul style="list-style-type: none"> ● ერთვის კითხვით ნაცვალსახელებსა და ზმნიზედებს და მათ განუსაზღვრელობითად აქცევს: <i>ვინმე, რაიმე, რომელიმე, ოდესმე, სადამე...</i> (ა. შანიძე 1980:610; 1976:148). ● -მე დართული სიტყვა გამოიყენება კითხვით, უარყოფით ან დამოკიდ. წინადადებაში, -ლაც(ა) დართული - მტკიცებით წინადადებაში (თ. ყაუხჩიშვილი 1946:275).
	2. კითხვითი ნაწილაკი.	<ul style="list-style-type: none"> ● ძირითადად, დასტურდება ისეთ კითხვით წინადადებებში, რომლებშიც გვაქვს კითხვითი სიტყვა (კითხვითი ნაცვალსახელი ან კითხვითი ზმნიზედა) ან -ა კითხვითი ნაწილაკი (ა. შანიძე 1976:146) <p>თუ -ა კითხვითი ნაწილაკი შეუთავსებელია კითხვით სიტყვასთან, -მე შეთავსებადია, მეტიც,</p>

		<p>უფრო ხშირად სწორედ კითხვით სიტყვას ერთვის: <i>რადმე, უფალო, განიშორებ სულსა ჩემსა?</i> [ფს. 87:15]. (თ. უთურგაიძე 1966:220).</p> <ul style="list-style-type: none"> • -მე საკმაოდ იშვიათად დასტურდება ისეთ კითხვით წინადადებაში, რომელშიც არც კითხვითი სიტყვაა და არც კითხვითი -ა ნაწილაკი: <i>გვებისმე მუცელსა დედისასა თვისისასა მეორედ შესლვად და გამოშობად?</i> [ი. 3:4 C]. (თ. უთურგაიძე 1966:220). • შესაძლოა წინადადებაში გამოყენებული იყოს -ა და -მე კითხვითი ნაწილაკები ერთად. ამ შემთხვევაში: <ul style="list-style-type: none"> ა) -ა უშუალოდ მოსდევს -მე-ს (პირუკუ რიგი გამორიცხულია): <i>პოვოსმეა სარწმუნოვებაჲ ქუეყანასა ზედა?</i> [ლ. 18:8]. (ა. შანიძე 1976:146; თ. უთურგაიძე 1966:215). ბ) -მე ტმესის საფუძველზე ზმნაშია ჩართული, -ა კი აბსოლუტურ ბოლოში ერთვის მას: <i>კელ-მე-ეწიფებისა ძეთა სიძისათა გლოვად?</i> [მ. 9:15]. (თ. უთურგაიძე 1966:215). გ) ხშირად -ა და -მე ნაწილაკები წინადადების სხვადასხვა სიტყვას ერთვის: <i>არამე უპყრასა და აღმოიქუას იგი?</i> [მ. 12:11]. (თ. უთურგაიძე 1966:216).
--	--	---

		<ul style="list-style-type: none"> ● რადგან -მე ნაწილავს აქვს 2 ფუნქცია (განუსაზღვრელობითი და კითხვითი), -მე ნაწილავდართული კითხვითი სიტყვა (კითხვითი ნაცვალსახელი და კითხვითი ზმნიზედა) შესაძლოა განუსაზღვრელობითობასაც გამოხატავდეს და კითხვითობასაც, მაგ.: ვინმე შეიძლება ნიშნავდეს: 1. „ერთი, ვიღაც“; 2. „ვინ?“ ● -მე-ს ფუნქციის გარკვევაში (კითხვითია თუ განუსაზღვრელობითი) გვეხმარება: <ul style="list-style-type: none"> ა) <i>კონტექსტი.</i> ბ) <i>ტექსტის სხვადასხვა რედაქციის შედარება.</i> თუ ერთი და იმავე ტექსტის მეორე რედაქციაში -მე-ს შესატყვისად სხვა კითხვითი ნაწილაკი (-ა, ნუუკუე, ნუთუ) დასტურდება, -მე ნაწილაკიც კითხვითია: <p><i>მო-ვინ-მე-ართუა ჭამადი?</i> [ი. 4:33 DE].</p> <p><i>ნუთუ მოართუა ვინ მაგას ჭამადი?</i> DE.</p> <p>თუ ერთი და იმავე ტექსტის მეორე რედაქციაში -მე-ს შესატყვისად -მე-ნაწილაკიანი ნაცვალსახელების შესატყვისად გამოყენებულია ნაუსაზღვრ. ნაცვალსახელი ერთი, -მე ნაწილაკი განუსაზღვრელობითია: <p><i>კაცი ვინმე იყო მდიდარი</i> [ლ. 16:1 DE].</p> <p><i>კაც ერთ იყო მდიდარ</i> DE.</p> </p> გ) თუ გამოიყენება არა კითხვით სიტყვასთან, არამედ ზმნასთან ან არა უარყოფით ნაწილაკთან, მხოლოდ და მხოლოდ კითხვითია: <p><i>შემძლებელ არიან-მე ნაშობნი ქორწილისანი?</i> [მრ. 2:19 C].</p> <p><i>და ეგე არა-მე უწყი?</i> [კიმ., I, 139:4].</p> <p>(ე. ბაბუნაშვილი 1957:238-239).</p>
--	--	---

		<p>დ) -მე არა კითხვით წინადადებაში მხოლოდ განუსაზღვრელობითი ნაწილაკი იქნება.</p> <ul style="list-style-type: none"> • გარკვეული მოსაზრებით, -მე ძველ ქართულში არ წარმოადგენდა კითხვით ნაწილაკს, იგი ნატვრითი კილოს მაწარმოებელი სუფიქსი უნდა ყოფილიყო, როგორც თუშურში. (თ. უთურგაძე 1966: 226). არსებობს მოსაზრება, რომ -მე ნაწილაკისთვის სწორედ კითხვითობის გამოხატვა უნდა იყოს პირველადი ფუნქცია, განუსაზღვრელობის გამოხატვა მისთვის მეორეულია (ე. ბაბუნაშვილი 1957:243). • -მე ნაწილაკი, რომელიც კითხვითი და განუსაზღვრელობითი ფუნქციით გამოიყენებოდა ძველ ქართულში, ამავე მნიშვნელობით შედის სხვა ნაწილაკებისა და კავშირების შემადგენლობაში: <i>სამე, არამედ, ვითარმედ...</i> (ე. ბაბუნაშვილი 1957:243-245).
<p>-მე-ა</p>	<p>1. კითხვითი ე.წ. მრჩობლი ნაწილაკი, მიღებული -მე და -ა კითხვითი ნაწილაკების შეერთებით (პურუკუ რიგი გამორიცხულია).</p>	<ul style="list-style-type: none"> • როგორ იხსნება მრჩობლი -მე-ა ნაწილაკების გამოყენება ძველ ქართულში? • ერთი მოსაზრებით, გადამწერთათვის დაიხრდილა -მე ნაწილაკის კითხვითი ფუნქცია, ამიტომ საჭირო გახდა მასზე უფრო ცოცხალი, მოქმედი -ა ნაწილაკის დართვა (თ. ყაუხჩიშვილი 1946:287). • გარკვეული მოსაზრებით, -მე ძველ ქართულში არ წარმოადგენდა კითხვით ნაწილაკს, იგი ნატვრითი კილოს მაწარმოებელი სუფიქსი უნდა ყოფილიყო, როგორც თუშურში. კითხვითობას ოდენ -ა ნაწილაკი გამხატვდა (თ. უთურგაძე 1966:

		226).
-მცა	1. თხრობითი კილოს ზმნას კავშირებითი კილოს გაგებას აძლევს (დამოკიდებულ წინადადებაში).	<ul style="list-style-type: none"> • -მცა = მე (განუსაზღვრელობითი ნაწილაკი) + ცა (მიმართებითი ნაწილაკი). ძველ ქართულში რამდენიმე ფუნქციით გამოიყენება. ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა თხრობითი კილოს ზმნისთვის კავშირებითი კილოს მინიჭება. ასეთ შემთხვევაში -მცა ნაწილაკი ვერ იგუებს კავშირებითის მწკრივებს და ზმნა ყოველთვის თხრობითი კილოს მქონე მწკრივებით (წყვეტილი ან უწყვეტელი) გადმოიცემა (ა. შანიძე 1981:37-38; ზ. სარჯველაძე 1997:161; ნ. კოტინოვი 1978:105-106; დ. მელიქიშვილი 1980:64; გ. ნინუა 1971:113). ეს ფუნქცია -მცა ნაწილაკს მხოლოდ რთული ქვეწყობილი წინადადების დამოკიდებულ წინადადებაში აქვს: <ul style="list-style-type: none"> „არარაჲ აქუს, რადთა ჭამონ“ [მრკ. 8:2 DE]. ზმნა II კავშირებითის მწკრივშია. შდრ.: „არარაჲ აქუს, რადთამცა ჭამეს“. C. ზმნა წყვეტილშია. „ევედრებოდა მას, რადთამცა საკრველთა მათგან განეტევა წმიდაჲ მუშანიკ“ [შუმ.17:18-19].
	2. გამოხატავს თხრობითი კილოს მომავალ დროს.	<ul style="list-style-type: none"> • ძველ ქართულში თხრობითი კილოს მომავალი დროის გამოსახატავად კავშირებითის მწკრივების გვერდით გამოიყენებოდა: ზმნა თხრობითი კილოს მწკრივში + -მცა ნაწილაკი (ნ. კოტინოვი 1978:105-106; დ. მელიქიშვილი 1980:64). ამ შემთხვევაში არ იყო სავალდებულო დამოკიდებული წინადადების არსებობა: <ul style="list-style-type: none"> „უბადოო, შენ-ღა თავი თჳსი არა შეიწყალე და

		<p>განსდევ ღმრთისაგან, შენ <u>მემცა</u> შემიწყალეა?“ [შუმ.]. „მე შემიწყალეა?“</p> <p>„<u>ჯმნულმცა ვარ</u> მე თქუენგან, რამეთუ მე აქა არღარა მოქცევად ვარ“ [ევსტ. 34:21]. „მოგშორდებით“.</p>
	<p>3. გამოიყენებოდა ბრძანებითი კილოს საწარმოებლად.</p>	<ul style="list-style-type: none"> • ბრძანებითი კილოს გამოხატვის ფუნქციით -მცა ნაწილაკი ერთვოდა ზმნის აწმყოს მწკრივის ფორმას (ბრძანებითის მწკრივი გამორიცხული იყო) და გამოხატავდა ბრძანებას II ან III პირებისადმი ან I პირისადმი მრავლობითი რიცხვის შემთხვევაში (ნ. კოტინოვი 1978:106; ზ. სარჯველაძე 1997:161; გ. ნინუა 1971:112-113; გ. ნინუა 1966:120-121): <p>„<u>ხოლო ესემცა ივით</u>“ [მ. 24:43 DEX]. <i>უწყოდეთ</i> C. პირველ შემთხვევაში აწმყოს მწკრივია გამოყენებული, მეორეში - I ბრძანებითის.</p> <p>„<u>ნუმცა ვინ შევალს ხილვად მისა</u>“ [შუმ. 18:2].</p>
	<p>4. გამოიყენებოდა ირეალური პირობით-შედეგობითი რთული ქვეწყობილი წინადადების საწარმოებლად.</p>	<ul style="list-style-type: none"> • -მცა ნაწილაკის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა პირობითობის გამოხატვა. სწორედ ამან განაპირობა ირეალურ პირობით-შედეგობით წინადადებაში - მცა ნაწილაკის გამოყენება ორივე კომპონენტში. პირველ კომპონენტში პირობას გამოხატავს, მეორეში - შედეგს (ნ. კოტინოვი 1978:106-107; ზ. სარჯველაძე 1997:161). დამოკიდებულ წინადადებაში -მცა ერთვის კავშირებს: უკუეთუთუ. ამ შემთხვევაში პირობის გამომხატველი ზმნა წარმოდგენილია უწყვეტლის, წყვეტილის ან II შედეგობითის მწკრივების ფორმით, ხოლო შედეგის გამოსახატავად - უწყვეტლის, წყვეტილის, II შედეგობითის ან იშვიათად აწმყოს (თუ ზმნა სტატიკურია) ფორმით (ა. შანიძე 1976:166; პ. გაჩეჩილაძე 1960:246-247): <p>„<u>უკუეთუმცა აქა იყავ, არამცა მოკუდა ძმა იგი ჩემი</u>“ [ი. 11:32]. -„აქ რომ ყოფილიყავი, არ</p>

		<p>მოკვდებოდა ჩემი ძმა“</p> <p><i>„უკუეთუმცა ღმრთეებამ ჯორცითა არა დაეფარა, კაციმცა ვერ მიეახლა ღმერთსა“</i> [ევსტ. 38:21-22].</p>
	<p>5. II თურმეობითის გაგებასაც იძლეოდა ხოლმე</p>	<ul style="list-style-type: none"> • -მცა ნაწილაკინ ფორმებს ზოგჯერ II თურმეობითის გაგებაც ჰქონდა [პ. გაჩეჩილაძე 1960:249]: <i>„რამეთუ არა უწყოდა, რადთამცა მიუგო, რამეთუ შეშინებულ იყვნეს“</i> [მრ. 9:6 C]. „რომ მიეგო“. • ვითარმცა = „თითქოს“ (ზოგჯერ ამ მნიშვნელობითაც დასტურდება). • -მცა ნაწილაკინი კონსტრუქცია საშუალო ქართულში ნატვრითობას გამოხატავს. • ძველ ქართულში უიშვიათესად შესაძლოა -მცა კავშირებითის მწკრივის ფორმასაც ერთვოდეს, რაც მისი ფუნქციის მოშლას უკავშირდება [ნ. კოტინოვი 1978:107].
<p>ნუ</p>	<p>1. უარყოფითი ნაწილაკი, მოქმედების ამკრძალავი</p>	<ul style="list-style-type: none"> • ნუ + აწმყო/აწმყოს ხოლმეობითი • ამ ფუნქციით ერთვის ზმნის აწმყოს ან აწმყოს ხოლმეობითის მწკრივის ფორმას და გამოხატავს უკუთქმით ბრძანებით (აკრძალვით) კილოს: <i>„ნუ კაც-ჰკლავ, ნუ იპარავ, ნუ ცილსა ჰსწამებ!“</i> [მ. 10:19] (აწმყო). • <i>„ნუ იყოფინ ჩემდა, თუმცა ვეიზარე საქმეთა და ცოდვათა ვარქენისთა!“</i> [შუშ. 14:6] (აწმყოს ხოლმ.). • დასტურდება ბრძანებით წინადადებაში, ამ ფუნქციით არ გამოიყენება კითხვით წინადადებაში. • ბერძნულის გავლენით ნუ ნაწილაკი და ზმნა შესაძლოა სხვა სიტყვით (სიტყვებით) გათიშული იყოს ერთმანეთისგან: <i>„ნუ შრომასა მახუედრებ მე“</i> [ლ. 11:7].

		<ul style="list-style-type: none"> ქმნის კომპოზიტებს: ნუვინ, ნუთუ, ნუღარ, ნუსადა...
	<p>2. კითხვითი ნაწილაკი (ფუნქციურად ნუუკუე, ნუთუ, განა კითხვითი ნაწილაკების იდენტური)</p>	<ul style="list-style-type: none"> ამ ფუნქციით გამოიყენება კითხვით წინადადებაში (რიტორიკულში), მაგრამ მხოლოდ ძველ ქართულში და მხოლოდ ნათარგმნ ძეგლებში და წარმოადგენს ბერძნული μλ-ს კალკს, რომელიც ბერძნულში დაეჭვებით, ყოყმანით უარყოფას, უკეთ, უარყოფის სურვილს (ეგებ არ, იქნებ არ) გამოხატავს, იშვიათად - კითხვითობასაც (კ. დანელია 1998:111): <i>„ხოლო იყოსმე ვინ თქუნთაგანი კაცი, რომელსა სთხოვდეს ძმ თვისი პურსა, ქვაჲ ნუ მისცესა მას?“</i> [მ. 7:9 C]. <i>„იქნება თქვენგანი ვინმე კაცი, რომელსაც მისი ძე სთხოვს პურს, განა//ნუთუ ქვას მისცემს?“</i> ჩვენი აზრით, გამოხატავს უარყოფით კითხვითობას რიტორიკულ კითხვით წინადადებაში. არა + ნუ შესაძლებელია ერთ კითხვით წინადადებაში. ამ შემთხვევაში უფრო ცხადია, რომ „ნუ“ არ წარმოადგენს უარყოფით ნაწილაკს: <i>„ანუ შორის ერსა ესემლევენსა არა ნუ იძიოსა შური</i>

		<p>სულმან ჩემმან?“[იერ. 9:9]O].</p> <p>„ან ასეთ ხალხში განა//ნუთუ არ იძიებს შურს ჩემი სული?“</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიბლიურ წიგნთა გვიანდელ ქართულ რედაქციებში მთარგმნელ-რედაქტორები ნუ-ს ცვლიდნენ კითხვითი ნიუანსის შემცველი ქართულისთვის უფრო ბუნებრივი ნუუკუე, ანუ, ნუთუ (იშვიათად) ნაწილაკებით ან სულ ტოვებდნენ ხოლმე (კ. დანელია 1998:112): <p>„ნუ შენცა გალილეადთ ხარ?“[ი. 7:52 FHIK]. ნუუკუე G.</p> <p>„განა//ნუთუ შენც გალილეიდან ხარ?“</p>
	3. მაქვემდებარებელი კავშირი „ თუ, რამეთუ “ (კ. დანელია 1998:110)	<ul style="list-style-type: none"> • ამ ფუნქციით მასთან შეწყობილი ზმნა უწყვეტლის ან I კავშირებითის მწკრივების ფორმითაა წარმოდგენილი: <p>„მათ ეგრე ეგონა, მძინარებას ძილისასა ნუ იტყოდა [ი. 11:13] (კ. დანელია 1998:111).</p>
ნუთუ	1. კითხვითი ნაწილაკი „ ეგებ, განა “. (ფუნქციურად ნუ, ნუუკუე კითხვითი ნაწილაკების იდენტური)	<ul style="list-style-type: none"> • ნუთუ ნეოლოგიზმს წარმოადგენს IX საუკუნის მწერლობაში (კ. დანელია 1998:112): <p>„ნუთუ შენცა გალილეველ ხარ?“[ი. 7:52].</p> <ul style="list-style-type: none"> • ნუთუ-ს შემცველ წინადადებაში სხვა კითხვითი ნაწილაკი (-ა, -მე) არ გამოიყენება. • იგი ერთგვარი დადასტურებით-ჩაკითხვითი ნაწილაკია (ე. ბაბუნაშვილი 1957:238).
ნუცა	1. უარყოფითი ნაწილაკი ნურც	<ul style="list-style-type: none"> • ნუ+ცა - უარყოფითი ნაწილაკი -ცა ელექტიტ გართულებული. დროთა განმავლობაში არცა და ვერცა ფორმების მსგავსად განუვითარდა რ თანხმოვანი (ა. შანიძე 1980:610):

		<p>„ნუცა სიჭაბუკესა შენსა განჰვაჭრი ქრისტეანედ და ნუცა ძმათა და ნათესავთა შენთა განეშორებ“ [აბ. 66:14-15]</p>
ნულარა	1. უარყოფითი ნაწილაკი ნულარ	<p>ნუ ნაწილაკი გაძლიერებულია -და და რა (//არა) ნაწილაკებით:</p> <p>„ნულარა აწყინებ“ [მოქც. ქართლ. 156:25]</p>
ნულუკუე	1. კითხვითი ნაწილაკი „ ნუთუ, განა “; „შესაძლოა, ეგების“ (ფუნქციურად ნუ, ნუთუ კითხვითი ნაწილაკების იდენტური.)	<ul style="list-style-type: none"> • ნულუკუე = ნუ + უკუე (თ. ყაუხჩიშვილი 1946: 267). • ნულუკუე შესაძლებელ არსა მუცელსა დედისასა შესლვად და მეორედ შობად? [ი. 3:4]. • ძველ ქართულში პოლისემიური იყო: ნაწილაკადაც გამოიყენებოდა და კავშირდაც, ერთგვარ კავშირ-ნაწილაკს წარმოადგენდა. კითხვითი ნაწილაკის ფუნქციით გამოყენება მეორეული უნდა იყოს და თარგმანის გავლენით უნდა აიხსნას (ვ. დანელია 1998:113). • ნულუკუე შესაძლებელ არსა მუცელსა დედისასა შესლვად და მეორედ შობად? [ი. 3:4]. • ნულუკუე ერთგვარი დადასტურებით-ჩაკითხვითი (ე. ბაბუნაშვილი 1957:238), კითხვით-დაეჭვებითი ნაწილაკია (ლ. ც.).
	2. მაქვემდებარებელი კავშირი 2.1. „რათა არ“, „რომ არ“ (შ. ძიძიგური 1973:109) 2.2. „თუ, თუკი, რომ“ (ვ. დანელია 1998:113)	<ul style="list-style-type: none"> • პირვანდელ ფუნქციას მაქვემდებარებელ კავშირად გამოყენება წარმოადგენდა შემდეგი მნიშვნელობებით: 1) „რათა არ“, „რომ არ“ - ნეგატიური შინაარსის მაქვემდებარებელი კავშირი მიზნის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებაში: „ნუცა დაუგებთ მარგალიტსა თქუენსა წინაშე ღორთა, ნულუკუე დათრგუნონ იგი ვერჯითა მათითა“ [მ. 7:6 DE] რადთა არა C . 2) „თუ, თუკი, რომ“ პირობითი კავშირი პირობით

		<p>წინადადებაში:</p> <p>„ნუუუე ცნას და მომკლას?!“ [აგ. ძეგლ. I, 18:6].</p> <p>„რომ გაიგოს და მომკლას?!“ (კ. დანელია 1998:112-113).</p>
-ო	სხვათა სიტყვის ნაწილაკი	<ul style="list-style-type: none"> • -ო ნაწილაკი გამოიყენება მესამე პირის ნათქვამის გადმოსაცემად. დაერთვის სხვადასხვა მეტყველების ნაწილებს სიტყვის ბოლოს ძირითადად ზმნას, აუსლაუტში (ა. შანიძე 1980:610). ძირითადად, წინადადების ბოლო წევრს ერთვის: (ა. შანიძე 1980:610): <p>„მოგუესმა აქა, ვითარმედ სპარსთა იერუსალჴში დაიპყრესო“ [მოქც. ქართლ. 126:13-15]</p> <p>„შენ სთქუ: დავარღვო და სამსა დღესა აღვაშენო ეგეო“ [ევსტ. 41:4-5]</p> <ul style="list-style-type: none"> • ასევე გამოიყენება I და II პირთა ნათქვამის გადმოსაცემად, როდესაც პირი მრავლობით რიცხვში დგას (ა. შანიძე 1980:610).
-რად	1. მიმართებითი ნაწილაკი (გამოიყენებოდა -ცა ნაწილაკის ფუნქციით).	<ul style="list-style-type: none"> • მიმართებითი ნაწილაკის ფუნქციით ძველ ქართულში სპორადულად გამოიყენებოდა რად ნაცვალსახელიც, რომელიც -იგი, -ესე, -ეგე ნაცვალსახელებსა და -ცა ნაწილაკს ენაცვლებოდა კითხვით სიტყვებთან (კითხვით ნაცვალსახელებსა და კითხვით ზმნიზედებთან) მიმართების გამოსახატავად (ე. ბაბუნაშვილი 1957:226-228): <p>კითხვითი სიტყვა + რად = მიმართებითობა:</p> <p>„რაოდენი-რად ყო ღმერთმან მათ თანა“ [საქ. მოც. 15:4].</p> <p>„და ვითარცა წარვიდის. მესხულად დაავიწყდის, ვითარ-რად არს“ [კათ. ეპისტ. 1:24].</p> <p>ვითარ-რად = „როგორც“</p>

		<ul style="list-style-type: none"> • დამკვიდრებული ორთოგრაფიული წესის თანახმად, მიმართებითი ნაწილაკის ფუნქციით გამოყენებისას რად კითხვით სიტყვას დეფისით უკავშირდება. • შესაძლოა რად -ცა ნაწილაკიან ფორმას დაუკავშირდეს და მიმართებითობა ერთგვარად მრჩობლად იყოს გამოხატული: <i>„ვითარცა-რად წყალმან ცეცხლი მოტყინარე დაშრიტის მეყსეულად და განაგრილის სიმჭურვალე მისი, ეგრეთვე წყაროდ ცრემლთა დაშრეტს ცოდვისა აღსა და განაგრილებს ყოველსა“</i> [იოანე მინჩხი 21, 174:3]. <i>„რომელიცა-რად ჩემგან სარგებელ გეყოს“</i> [მრ. 7:11 C].
	<p>2. კითხვითი ნაცვალსახელი</p>	<ul style="list-style-type: none"> • ძირითადი ფუნქციით კითხვითი ნაცვალსახელია (ა. შანიძე 1976:47; ზ. სარჯველაძე 1997:67 და სხვ.), მიმართებითობა და კავშირად გამოყენება მეორეულია.
	<p>3. მაქვემდებარებელი კავშირი</p> <p>(გამოიყენებოდა როცა მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციით).</p>	<ul style="list-style-type: none"> • თუ ძველ ქართულში რად გამოიყენებოდა დროის მაქვემდებარებელი კავშირის ფუნქციით (ა. შანიძე 1976:145; ზ. სარჯველაძე 1997:160), ახალ ქართულში რა გვაქვს ამავე ფუნქციით (მიღებული და დამავალი დიფტონგის მოშლით): <i>„მი-რად-ვედ კარსა ზედა სამოთხისასა... და შე-რად-ვედ შინა, ჯდა ესე დედაკაცი ანასტოს“</i> [მოქც. ქართ. 122:34-47]. <i>მი-რად-ვედ</i> = „როცა მივედი“ „რა მივედი“. <i>შე-რად-ვედ</i> = „როცა შევედი“ „რა შევედი“

-რე	1. ზმნისართული ფუნქციით გამოხატავს ნაირგვარობას.	<ul style="list-style-type: none"> • ესრე, ეგრე, ვიდრე ფორმებში -რე ნაწილაკი ნაირგვარობის გამომხატველია (ლ. ნოზაძე 1988:121; თ. ყაუხჩიშვილი 1946:273): <i>„ესრწთ გამოიყვანნა იგინი“</i> [177:30]
	2. სიმცირის, სიცოტავის, ოდნაობის გამომხატველი.	<ul style="list-style-type: none"> • დაერთვის ყველა მეტყველების ნაწილას და აძლევს მნიშვნელობას - ოდნავ, მცირე, ცოტა (ლ. ნოზაძე 1988:124): <i>„და ვარქუ მე სანატრელსა მას ხუაშიადად-რე“</i> [შუმ. 14:3].
რეცა	მიახლოებითობის, მიმსგავსების გამომხატველი ნაწილაკი - თითქოს	<ul style="list-style-type: none"> • ძველ ქართულში თითქოს ნაწილაკის ნაცვლად მიახლოებითობის, მიმსგავსების გამოსახატავად რეცა ნაწილაკია გამოყენებული: <i>„მოიყვანნა იგინი და შეკრიბნა და ამბორს-უყოფდა, რეცა სიყუარულითა“</i> [დავ. ტირ. 187:8-9]. <i>„ეტყვიედ რომელნიმე რეცა სიტყვითა ლიქნისაითა“</i> [აბ. 66:13-14]. <i>„ტყუილით რეცა თუ სასწაულსა და კურნებასა რასმე განასთქუმედ ერსა შორის“</i> [აბ. 72:2-3].
	2. ზმნისართული მნიშვნელობით „ოდნავ; უფრო, ძლიერ“	<ul style="list-style-type: none"> • რეცა ზმნისართის ფუნქციითაც გამოიყენებოდა ძველ ქართულში. (ზ. სარჯველაძე 2001:176).
სამე	1. ნაწილაკი (დადასტურებითი - ლ. ც.) <i>„მაშ, დიახ“; „ცხადია“</i> (ზ. სარჯველაძე 2001:183)	<ul style="list-style-type: none"> • სამე < სა + მე. სა იგივეა, რაც სადა სიტყვაში, ხოლო -მე კითხვით-განუსაზღვრელობითი ნაწილაკია (ე. ბაბუნაშვილი 1957:244). <i>„მალწ მოხუედით. დიდად სამე არს ლაშქარი უზომო, ვიდრემე ხართ“</i> [მოქც. ქართლ. 140:34-36].

	2. განუსაზღვრელი ნაწილაკი „თურმე, ეგების“ (ე. ბაბუნაშვილი 1957:244)	<ul style="list-style-type: none"> როცა სამე განუსაზღვრელობითის ფუნქციით არის გამოყენებული, ჭირს „ზღვარის გავლება ნაწილაკსა და ზმნიზედას შორის) (ე. ბაბუნაშვილი 1957:244)⁴⁹. განუსაზღვრელობის შინაარსს მას -მე განუსაზღვრელობითი ნაწილაკი ანიჭებს.
	3. ზმნიზედა (განუსაზღვრელობითი, თუმცა ამ ჯგუფს ცალკე არ გამოყოფენ და აერთიანებენ ადგილის ან დროის ზმნიზედებში) „სად?“, „სადმე“; „ოდესმე“, „ზოგჯერ“ (ზ. სარჯველაძე 2001:183)	
	4. კითხვით ნაწილაკი ფუნქციურად -მე კითხვ. ნაწილაკის ეკვივალენტი (ე. ბაბუნაშვილი 1957:243)	„თავი შენი სამე დასდვა ჩემ ზედა?“ [ი 13,38 C].
უტე	დაე	ძველი ქართული ენისათვის დამახასიათებელი ნაწილაკი, მიღებულია ზმნისგან უტევე (ა. შანიძე 1976:149): „ <i>ნურარაჲ გგლიან, უტე, მოკუდეს</i> “ [შუმ. 22:24-25].
-ლა	1. „ჯერ, ჯერ კიდევ, კვლავ, ისევ, კიდევ“ მიუთითებს დროზე	- ლა ნაწილაკის ძირითადი ფუნქციაა დროზე მითითება. ამ ფუნქციით გვხვდება თითქმის ყველა მეტყველების ნაწილთან (ე. ბაბუნაშვილი 1957:234): „ <i>აქამომდე ცოცხალ-ლა არსა საწყალობელი იგი?</i> “ [შუმ. 21:21-22].

⁴⁹ ამიტომ ცხრილში ზმნიზედური და ნაწილაკური ფუნქცია ცალ-ცალკე გავიტანეთ.

	<p>2. „მხოლოდ, მარტო“ მიუთითებს გამორჩევითობას</p>	<p>ამ ფუნქციით შედარებით იშვიათად, თუმცა მაინც დასტურდება ძველ ქართულში -ღა ნაწილაკი (ე. ბაბუნაშვილი 1957:234): <i>„ვითარცა განვლო ნანა დედოფალმან, მაშინღა ნელიად-ნელიად გამოვიდოდა ყოველი ერი“</i> [მოქც. ქართლ. 118:29-32].</p>
<p>-ყე/-კე</p>	<p>1. მრავალგზისობის გამომხატველი ნაწილაკი (დასტურდება ხოლმე ნაწილაკის ფუნქციით)</p>	<ul style="list-style-type: none"> • მრავალგზისობის გამომხატველი ხოლმე ნაწილაკის ფუნქციით ქართულ დიალექტებში გამოიყენება -ყე ნაწილაკი, რომელიც რიგ დიალექტებში ფონეტიკურ -კე ვარიანტსაც იძლევა. ზმნას დაერთვის I და II პირის ფორმასთან ობიექტის სიმრავლის აღსანიშნავად. ფერეიდნულ დიალექტში სუბიექტის სიმრავლესაც გამოხატავდა. XI-XVIII საუკუნეებში ფართოდაა გავრცელებული მისი გამოყენების შემთხვევები მრავლობითობის ფუნქციით. ივ. ქავთარაძის მოსაზრებით, -ყე ნაწილაკს ჰქონდა კითხვით-დადასტურებითი ნაწილაკის (ხომ, აკი კიდეც) მნიშვნელობაც, მაგრამ დროთა განმავლობაში იმარჯვებს ხოლმე-ს ფუნქციით გამოყენება (ივ. ქავთარაძე 1961:23-26). • -ყე ნაწილაკის გავრცელების არე ძირითადად ფერეიდნული, ინგილოური, კახური, მთიულური, ქიზიყური, მოხეური დიალექტებია. დასავლეთ საქართველოში იმერულში, რაჭულსა და ლეჩხუმურში დასტურდება. ქვემო იმერულსა და მთიულურში -ყე ნაწილაკს ფონეტიკური -კე ვარიანტი შეესაბამება. სალიტერატურო ენის გავლენით -ყე ნაწილაკი თანდათან იკარგება დიალექტებშიც. საჭიროების შემთხვევაში ნაწილაკის ფუნქციებს სხვა ელემენტები (-თ, ხოლმე) ინაწილებენ (ა. ჩიქობავა 1925:56).

	<p>2. თანდებული</p>	<ul style="list-style-type: none"> • -ყე ნაწილას ფერიდნულში ჰქონდა თანდებულის ფუნქცია. ამავე ფუნქციით გვხვდება გარე კახურშიც -ყე/-ყენ ფორმაც, რომელსაც ქართულში -გან, ხანდახან კი -კენ თანდებული შეესატყვისება (ა. ჩიქობავა 1925:56).

<p>-ცა</p>	<p>1. მიმართებითი ნაწილაკი.</p>	<ul style="list-style-type: none"> • დაერთვის კითხვით სიტყვას (კითხვით ნაცვალსახელსა და კითხვით ზმნიზედას) და მიმართებითად აქცევს მას (ეს უკანასკნელი გამოიყენება დამოკიდებულ წინადადებაში წევრ-კავშირად) (ე. ბაბუნიშვილი 1957:222): <i>„რამეთუ არავინ არს განდგომილთაგანი, რომელსაცა არა ვსძლუ“</i> [კონსტ. 167:23]. <i>„გულნი მათნი განფიცებულ იყვნეს ვითარცა რვალნი და დაყენებულ ვითარცა სამყაროდ“</i> [გობრ. 175:4-176:1]. • ადრეულ საფეხურზე მიმართებითობის ფუნქციით თავად კითხვითი სიტყვები გვევლინებოდა, მეორე საფეხურზე მათ დაერთო ჩვენებითი ნაცვალსახელები (ესე, ეგე, იგი) ნაწილაკის ფუნქციით (ე. ბაბუნიშვილი 1957:218), ხოლო შემდეგ მათ ნაცვლად -ცა ნაწილაკი იქნა გამოყენებული. ძველი ქართული ენა ამ სამივე საფეხურის თანაარსებობას ასახავს.
	<p>2. „და, კიდევ, აგრეთვე“ (ფუნქციურად უდრის -ვე ნაწილაკსაც)</p>	<ul style="list-style-type: none"> • ნაწილაკი მიუთითებს, რომ სიტყვა, რომელსაც -ცა დაერთო, უკავშირდება სხვა სიტყვას, რომელიც უკვე ითქვა ან იგულისხმება (ე. ბაბუნიშვილი 1957:218). <i>„ნოცა მოასწავა სარწმუნოებაჲ ეკლესიისაჲ კიდობანსა მას შინა“</i> [გობრ. 179:28-29]. <i>„რამეთუ მისა არს სუფევად უკუნითი უკუნისამდე და მერმეცა, ამენ“</i> [მოქც. ქართლ. 99:3-5] <i>„მეცა, ხუცესი დედოფლისა შუშანიკისი, თანა ვჰყვანდი ეპისკოპოსსა მას“</i> [შუმ. 13:12-13]. • იმავე ფუნქციით გამოიყენება ზმნებთანაც: <i>„გინებს გზათა ჩემთა ცნობად გლახაკისა მხევლისა თქუენისათა, და გაუწყო-ცა“</i> [მოქც. ქართლ. 105:31-

		<p>33].</p> <p><i>„დასნეულდა სნეულებითა მით, რომლითაცა მოცა-კუდა“</i>[მოქც. ქართლ. 104:27-28].</p> <ul style="list-style-type: none"> • -ცა შედის უარყოფითი ნაწილაკების შემადგელობაშიც ამავე მნიშვნელობით (ამ შემთხვევაში მიუთითებს ცნობილ, უკვე ხსენებულ უარყოფით ნაწილაკზე). როგორც წესი, წინადადებაში ორი უარყოფითი ნაწილაკის არსებობისას -ცა უკანასკნელს ერთვოდა: <p><i>„არა შურებინ, არცა სთავნ“</i> [მ. 6:28 C]. შდრ.: <i>„არცა შურების, არცა სთავნ DE</i> (ე. ბაბუნიშვილი 1957:220-221).</p> <ul style="list-style-type: none"> • ფუნქციურად უდრის -ვე ნაწილაკსაც. ეს მნიშვნელობა ახლოსაა „აგრეთვე“ მნიშვნელობით გამოყენებასთან (ე. ბაბუნიშვილი 1957:221): <p><i>„ეგრევე მეორემან და მესამემან და ვიდრე შჯდადმდე“</i>[მ. 22:26 DE]. შდრ.: ეგრეცა C.</p>
-ცა-ეგე	მიმართებითი ნაწილაკი	<ul style="list-style-type: none"> • ძველ ქართულში დასტურდება მიმართებითი ნაწილაკების ორმაგი გამოყენება ერთი და იმავე ფუნქციით (ა. შანიძე 1976:147; ზ. სარჯველაძე 1997:161...) <i>„რომელთაცა-ესე ღირს ვიქმენ მე მიმთხუევად“</i> [აბ. 47:11-12].
-ცა-ესე	მიმართებითი ნაწილაკი	<ul style="list-style-type: none"> • ძველ ქართულში დასტურდება მიმართებითი ნაწილაკების ორმაგი გამოყენება ერთი და იმავე ფუნქციით (ა. შანიძე 1976:147; ზ. სარჯველაძე 1997:161...): <p><i>„ვითარცა-ესე მე აღგიარებ შენ“</i> [კონსტ. 169:38].</p>

-ცა-იგი	მიმართებითი ნაწილაკი	<ul style="list-style-type: none"> • ძველ ქართულში დასტურდება მიმართებითი ნაწილაკების ორმაგი გამოყენება ერთი და იმავე ფუნქციით (ა. შანიძე 1976:147; ზ. სარჯველაძე 1997:161...): <i>„ვითარცა-იგი შემძლებელ იყოს“</i> [გობრ. 183:15]. <i>„ვითარცა-იგი წინადასწარ სთქუ“</i> [კონსტ. 169:28].
-ცა-რად	მიმართებითი ნაწილაკი	<ul style="list-style-type: none"> • შესაძლოა რად -ცა ნაწილაკიან ფორმას დაუკავშირდეს და მიმართებითობა ერთგვარად მრჩობლად იყოს გამოხატული (ფ. ერთელიშვილი (1957:226-228): <i>„არად დაოჯტევეს მათ თანა ყ’დვე, რაოდენიცა-რად ღ’თის მოყოჯარეთა კაცთა მიეცა“</i> [კიმ, 1, 93:36]. <i>„ვითარცა-რად წყალმან ცეცხლი მოტყინარე დაშრიტის მეყსეულად და განაგრილის სიმჯურვალე მისი, ეგრეთვე წყაროდ ცრემლთა დაშრეტს ცოდვისა ალსა და განაგრილებს ყოველსა“</i> [იოანე მინჩხი 21, 174:3].
-ძი	დაექვების ნაწილაკი: „თუ“, „აბა“	<ul style="list-style-type: none"> • შესაძლებლობის, დაექვების სემანტიკას აჩენს წინადადებაში: ვინძი, რაძი, ნეტარძი - თუ ვინ, თუ რა, ნეტარ თუ. ივარაუდება დი > ძი პროცესი (ვ. თოფურია 1944:171-175): <i>„სძინავს-ძი ანუ ჰღვძავს“</i> [გრიგ. 294:13].
ხოლო	1. დაექვების გამოხატველი ნაწილაკი - „ეგებ, იქნებ“.	<ul style="list-style-type: none"> • ძველ ქართულში დაექვების, შესაძლებლობის სემანტიკის გამოსახატავად გამოიყენებოდა ხოლო ნაწილაკი: <i>„წარვიდე ოპიზას და მსწრაფლ ხოლო მივიდე ძმათა ჩემთა თანა, რომელ დაუტევენ მუნ“</i> [გრიგ. 255:7-8]. <i>მსწრაფლ ხოლო მივიდეს ამა გიორგისა, ოპიზის წინამძღურისა</i> [გრიგ 255:12].

		<p>ხოლო-ს ამ ფუნქციით გამოყენებისას ზმნა კავშირებითის მწკრივის ფორმითაა წარმოდგენილი და კავშირებითი კილოს გამომხატველია: „<i>იქნებ/ეგებ მივიდე</i>“.</p>
	<p>2. გამორიცხვითი, შეზღუდვითი ნაწილაკი - „მხოლოდ, მარტო“.</p>	<ul style="list-style-type: none"> • ხოლო ძირითად შემთხვევაში გამორიცხვითი ან შეზღუდვითი ნაწილაკია („<i>მხოლოდ, მარტო</i>“) (შ. ძიძგური 1973:408-410; უ. ცინდელიანი 1981:30). ამ ფუნქციით ხშირად კომბინირებს თუ-სთან უარყოფით წინადადებაში: „<i>ჩუნი არა ხოლო თუ დედოფალი ოდენ იყავ, არამედ ჩუნი ყოველთა ვითარცა შვილთა გუხედევდ</i>“ [შუშ. 14:1-2]. • დადებით წინადადებაში ხოლო ამ ფუნქციას ვერ ასრულებს. არა ნაწილაკის გარეშე ხოლო და თუ ერთ კომბინაციაში ცალ-ცალკე ოდენობებია: „<i>ხოლო თუ უნდეს ღმერთსა, ადრე იქმნას განქარვებად მათი</i>“ [ზარზ. 337:7-8].
	<p>3. ზოგჯერ „კი“ ნაწილაკის ფუნქცია</p>	<ul style="list-style-type: none"> • ხოლო ზოგჯერ კი ნაწილაკსაც შეესაბამება (შ. ძიძგური 1973:405): „<i>მეორესა ხოლო წელსა</i>“ [გ. მთაწმიდ.] (შ. ძიძგური 1973:405).
	<p>4. კავშირი - მაერთებელი, მაპირისპირებელი კავშირი.</p>	<ul style="list-style-type: none"> • „<i>და მიიმართა კოლტმან მან ღორებისამან კბოდესა მას ზღუდედ და დაიშთვნეს ზღუასა მას შინა, ხოლო მწყემსნი იგი მათნი ივლტოდეს</i> [მრ. 5:13-14].
	<p>5. იწყებს წინადადებას (უფუნქციოა)</p>	<ul style="list-style-type: none"> • ძველ ქართულში საკმაოდ ხშირია წინადადების დადწყება ხოლო და და კავშირებით, რაც უცხო ენის გავლენის შედეგი უნდა იყოს (ვ. დანელია 1998 წ.). „<i>ხოლო იყო ხილვითა დიდ, ჯორციითა თხელ, ჰასაკითა სრულ ...</i>“ [ხანძთ.].

<p>ხოლო თუ// თუ ხოლო</p>	<p>1. დაექვების (შესაძლებლობის) გამომხატველი ნაწილაკები</p>	<ul style="list-style-type: none"> • ძირითადია შეზღუდვითი ნაწილაკი ხოლო და მასზე დართული პირობითი თუ კავშირი. ხოლოთუ ხშირად გართულებულია ვითარ, გინც ელემენტებით. თითოეული კიდე უფრო აძლიერებს დაექვების სემანტიკას (უ. ცინდელიანი 1981:30): <i>„წარგიყვანო შენ სხუასა ადგილსა, სთნდეს ხოლოთუ ღმერთსა“</i> SB. • დაექვების ნაწილაკებს შეესაბამება ვინ იცის, ვინ უწყის შესატყვისები ცალკე ან ნაწილაკებთან ერთად (ვინ უწყის... ხოლოთუ, ვინ უწყის... თუ და სხვ.) (უ. ცინდელიანი 1981:33). <i>„ხოლო საუკუნესა მას ცხორებასა, ვინ უწყის, რად უმჯობეს არს!“</i> [კონსტ. 169:16-17].
	<p>2. კავშირი</p>	<ul style="list-style-type: none"> • გარკვეულ შემთხვევებში (პირობითი დამოკიდებულ წინადადებებში) ხოლოთუ დასტურდება კავშირის ფუნქციითაც (უ. ცინდელიანი 1981:38): <i>„ევედრებოდე ღმერთსა შენსა, გინც-ხოლოთუ განმარინნეს ჩუენ“</i> (უ. ცინდელიანი 1981:38).
<p>ჰე</p>	<p>დადასტურებითი ნაწილაკი</p>	<ul style="list-style-type: none"> • ხოლო პიტიახშმან ჰრქუა მას: „ჰე, ჰე, განისუენე!“ [შუმ. 21:12-14]. • ჰე მალევე მოიშალა სალიტერატურო ენაში, დიალექტებში კი სხვადასხვა ფუნქციით შემორჩა, ძირითადად, შორისდებულისა (ა. შანიძე 1976:147; ზ. სარჯველაძე 1997:161).
<p>ჰელამე ჰელამეთუ, ჰეთუმცა</p>	<p>1. დაექვების გამომხატველი ნაწილაკები</p>	<ul style="list-style-type: none"> • ჰელამეთუ, ჰეთუმცა • რთული შედგენილობის ნაწილაკები, გამოიყენებოდა დაექვების, შესაძლებლობის გამოსახატავად ძირითადად თარგმანებში (უ.

		<p>ცინდელიანი 1981:38):</p> <p>„საღბუნნი და წამალი დაგდვა, რაღთა ჰელამეთუ განიკურნო“ [შუმ. 18:13-14].</p>
	2. კავშირი	<p>• გარკვეულ შემთხვევებში (პირობით დამოკიდებულ წინადადებებში) დასტურდება კავშირის ფუნქციითაც (უ. ცინდელიანი 1981:38):</p> <p>„რამეთუ მე ვერ ძალ-მიც უცხოთა ეკალთა გლეჯად ჰელითა ჩემითა, ჰეთუმცა ვითარ შეუძლე ჩემთა ეკალთა აღმოფხურად“ (titus).</p>